# საარბიტრო

სპორტული გაზეთი ორშაბათი 14 მარტი 2005 №55 (2378) ფასი 50 თეთრი


## ჟირესის თავის ტკივილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარსარდალი ალენ ჟირესი თბილისშია და ფიქრობს. ფიქრი კი ახლა ისე სჭირდება ჟირესს, როგორც არასდროს, რადგან ნაკრების წამყვანი ფეხბურთელებიდან ზოგი უთამაშებელია, ზოგი ავადაა და ზოგიც ბოლო დროს კარგად ვერ თამაშობს. ჟირესს წესისამებრ სანაკრებო მატჩამდე ორი კვირით ადრე, ანუ გუშინ უნდა დაესახელებინა საბერძნეთო და სათურქეთო შემადგენლობა, მაგრამ ეს უბრალოდ ვერ შეძლო. ჟირესი სიას ხვალ გამოამზეურებს.



## საშინელება გრძელდება

ლუის ფაბიანოს დედა გაიტაცეს

12

## ქართველებს ჩეხური ოქრო და ვერცხლი ჩამოუსხეს

ჩვენმა ძიუდოისტებმა შვიდი მედალი ირგუნეს

15

# ივერიელი ივერიას დაუბრუნდა

## 13 ბედნიერი რიცხვია



# მწვრთნელშეწირვა

## გია გეგუჩაძე მოხსნეს





ხვიჩა ქასრაშვილი გია გეგუჩაძის სკამზე ორი თამაშით დაჯდება

*გია გეგუჩაძის „დინამომ“ თემურ მახარაძის „ზესტაფონთან“ მეორედაც წააგო. პირველად ეს თასის მერვედფინალში 14 თებერვალს მოხდა, მეორედ კი ამ უქმეებზე, ჩემპიონატის 23-ე ტურში. ორივე შეხვედრის ანგარიში გახლდათ 0:1.*

*მესამე ჯერი კი აღარ იქნება — გეგუჩაძეს პოსტი დაატოვებინეს. ვინ იქნება „დინამოს“ ახალი მთავარი მწვრთნელი თვის ბოლოს გახდება ცნობილი, მანამდე კი საქართველოს ყველაზე ტიტულოვან გუნდს ხვიჩა ქასრაშვილი გაუძღვება.*



# გეგუჩაძე და დინამო დამთავრდა

## ორ თამაშს ქასრაშვილი ითამაშებს

გია გეგუჩაძე თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი აღარ არის. „დინამოს“ დროებით თავკაცად ხვიჩა ქასრაშვილი დაინიშნა, ვინც გუნდს საქართველოს ჩემპიონატის მხოლოდ ორ ტურში უხელმძღვანელებს და ამის მერე გაირკვევა „დინამოს“ ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა.

გუშინ „დინამოს“ მმართველ დირექტორ დავით პეტრიაშვილსა და გეგუჩაძეს შორის მოლაპარაკება გაიმართა და ვერდიქტიც გამოცხვა. გეგუჩაძის გუნდიდან წასვლის მიზეზი საყოველთაოდ ცნობილია — მეორე ეტაპზე „დინამომ“ ექვსი მატჩი ითამაშა, ოთხი წააგო და ორი მოიგო, ხუთი გოლი გაიტანა და ოთხი გაუშვა, თასის გათამაშებას მერვედფინალიდან გამოეთიშა, ხოლო ჩემპიონატში მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა.

გეგუჩაძე „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად შარშან, აპრილში დაინიშნა ივო შუშაკის ნაცვლად, თუმც ჩემპიონატში ხელი მოეცარა, მაგრამ მისმა გაწვრთნილმა „დინამომ“ თასი არავის დაუთმო. გეგუჩაძე დავით პეტრიაშვილის ფავორიტი გახლდათ. სხვათა შორის, როცა პეტრიაშვილს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა სურდა, გეგუჩაძე მაშინ მისი მხარდამჭერი იყო.

როგორც კი გეგუჩაძე „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი გახდა, რადიკალურ ზომებს მიმართა, გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელი დაითხოვა, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა, სანდრო იაშვილიც, მაგრამ დიდ წარმატებასაც მიაღწია — გუნდი უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოახვედრა. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში არც ერთი ქართული კლუბი ევროტურნირზე ასე შორს მანამდე არ წასულა.

„დინამოს“ ჩავარდნები პირველ ეტაპზეც ჰქონდა, „თბილისთან“ სულაც 0:5 წააგო. საშუასეზონო პერიოდში „დინამომ“ ათი ახალი ფეხბურთელი დაიმატა, მაგრამ გუნდიდან წავიდნენ ჯაბა კანკავა, დავით კვირკველია და გიორგი შაშიაშვილი. „დინამოს“ სატრანსფერო პოლიტიკა კარგი გამოდგა თუ ცუდი, ეს სეზონის ბოლოს გამოჩნდება, ისე კი, პეტრიაშვილს არაერთხელ უთქვამს, სატრანსფერო პერიპეტიებზე პასუხისმგებლობას მე და მწვრთნელი ერთად ვიღებთო.

რაც შეეხება ქასრაშვილს, ის წინა სეზონში გეგუჩაძის თანაშემწე იყო „დინამო 2“-ში, ხოლო როცა გეგუჩაძე პირველ გუნდში გადავიდა, „დინამო 2“-ს სეზონის ბოლომდე თავკაცობდა. მიმდინარე სეზონში კი „დინამო 2“-ის ხელმძღვანელად ჯემალ მახარაშვილი დაინიშნა და ქასრაშვილი მისი ასისტენტი შეიქნა.

ახლა კი მას დროებით პირველი „დინამო“ მიანდეს.

**დავით თავართქილაძე**



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს უმაღლესი ლიგის 16 ჩემპიონატი მეორე ეტაპი 23 ტური

# მარცვალაძემ მჭიდი ვერ დაცალა

ბოლნისი. 12 მარტი. 14 საათი. თამაზ სტეფანია. 1 300 (ტევადობა 3 000)

## სიონი 1:1 ვიტ ჯორჯია

0:1 მარცვალაძე (13), 1:1 გოგოლაძე (57)

**სიონი:** ბობლიაშვილი, ი. ვაშაკიძე, სიდამონიძე, ბ. შელია, თ. უგრეხელიძე, ბაჯელიძე, ალავიძე, სვანიძე (ნ. ლაბაძე 80), ლ. ჩხაიძე (გოგოლაძე 46; რუსია 70), დათვაძე, გიორგი შენგელია
*სათადარიგონი:* ასლანაძე, ოქროპირიძე, ჩაჩუა, ავალიანი
**მწვრთნელი:** გიგლა იმნაძე

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ინწკირველი, პ. დათუნაიშვილი, თ. კობიაშვილი, იმედაშვილი (გველესიანი 61), რაზმაძე, დილმელაშვილი, ლ. კვარაცხელია (ე. მერებაშვილი 79), ფეიქრიშვილი, გ. გოჩაშვილი (ჩილვინაძე 63), მარცვალაძე
*სათადარიგონი:* ბ... შვილი, გ. კვახაძე, დ. ლომაია, ებანოიძე
**მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი

**გაფრთხილება:** სიდამონიძე (6)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე; ა. მეშკოვი (სამივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

**ილია ნანობაშვილი** ბოლნისიდან

„ვიტ ჯორჯიას“ იტალიელი მწვრთნელი კი ჰყავს, მაგრამ გუნდი „იტალიურად ვერ თამაშობს“ — ზედიზედ მეორე მატჩია, სასურველ ანგარიშს ვერ ინარჩუნებს. წინა ტურში „ბათუმთან“ თამაშის მსგავსად, ვიტელებმა ამჯერადაც ოთარ მარცვალაძის გოლით მოიგეს პირველი ტაიმი, თუმც მეორე ნახევარში დავთრები აერიათ.

საქართველოს ჩემპიონები უძლიერესი შემადგენლობით ჩავიდნენ ბოლნისში, მასპინძლებს კი ტრავმირებული ნახევარმცველები — გრიგოლ დოლიძე და დავით ქოქიაშვილი აკლდათ. ჯანი კარნევალის ბიჭებმა მსაჯის სასტვენისთანავე მოუჭირეს მარწუხებს, მარცვალაძეს პირველივე წამებზე შეეძლო გატანა, მაგრამ ახლო მანძილიდან ტრიბუნებს გადააცილა ბურთი.

ეს სიგნალი იყო, ოთარმა მაინც მიითვალა თავისი ულუფა — დავით იმედაშვილის ჯარიმიდან ჩაკიდებულს ჯერ დავით დილმელაშვილმა შეუცვალა მიმართულება, მერე კი მარცვალაძემ ჩალურსმა მინდია ბობლიაშვილის კარში — 1:0.

ორიოდ წუთში ვიტელთა მკვირცხლმა მთავარმეგოლემ მახვილი კუთხიდან გაისროლა, თუმც „სიონის“ გოლკიპერმა ხელებში გააქვავა ბურთი.

ბოლნისელთა სამკაციანი დაცვა — ვაშაკიძე, სიდამონიძე, შელია — სტუმართა მჩხვლეტავ შეტევებს ვერ აუდიოდა — თბილისელები დილმელაშვილ-რაზმაძის ჩაუქობით ნახევარდაცვის ცენტრშიც გაბატონდნენ, ხოლო მარჯვენა ფლანგზე ფეიქრიშვილი რამდენჯერმე იოლად დაუსხლტა თავის მეურვეებს. სტატისტმა „სიონმა“ მხოლოდ ტაიმის მიწურულს ჩართო სიჩქარე.

გოლი თითქოს მწიფდებოდა, მაგრამ სერგო ჭურაძემ მასპინძელთა ჩია გამთამაშებელ დავით დათვაძეს 6-7 მეტრიდან დარტყმული სასწაულად აუღო და ტაიმიც ასე მორჩა.

სწრაფტემპიანი თამაში „ანტრაქტის“ შემდეგაც გაგრძელდა. 50-ე წუთზე მარჯვნიდან შეჭრილ მარცვალაძეს დუბლის შესრულებამდე და ინტრიგის მოსპობამდე მილიმეტრები დააკლდა — კარის ჯვარედინს გაარტყა ბურთი. საპასუხო შეტევისას კი „ვიტ ჯორჯიას“ კარის ძელიც შეტოკდა, როცა თენგიზ უგრეხელიძის ჩაწოდებულს ეულად მყოფმა გიორგი შენგელიამ ურქინა თავით.

სულ მალე „თამაზ სტეფანიას“ სტადიონი ლამის დაინგრა: შეცვლაზე შესულმა ბოლნისელმა დავით გოგოლაძემ საჯარიმოს მისადგომებიდან ბრწყინვალე დარტყმით გაათანაბრა, თუმც „სიონის“ გადამრჩენმა რამდენიმე წუთში ფეხი იტკინა და ისევ სათადარიგო სკამს დაუბრუნდა.

ეს იყო და, ვიტელებმა ისევ დაალაგეს თამაში. ჯანი კარნევალის სულ ოფლი ასხამდა და ქართულ-რუსულ-იტალიურად შეტევისკენ მოუწოდებდა შეგირდებს. მარცვალაძეს დაღლა დაეტყო, თუმც ბოლნისელთა დაცვის ღრიჭო ერთხელ მაინც იპოვა და... ისევ ბობლიაშვილმა გაამწარა.

„სიონს“ ძალიანაც უნდოდა მოგება, მაგრამ მატჩის საფინალო სპურტისას უფრო სტუმრები ჩანდნენ სამქულიანზე დაგეშილნი. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ „ვიტ ჯორჯია“ ლიდერებს ვერ მიუახლოვდა, ქვემოქართლელებს კი უშუალო კონკურენტების, „ბათუმისა“ და „კოლხეთის“ მარცხმა მოულბო გული.

ასე ჩათამაშდა შარშანდელი ხმაურიანი „ოქროს მატჩის“ მონაწილეთა ჯახი და რა გასაკვირია, რომ ბოლნისური ფანობა გაალმასებული დაუხვდა ჩემპიონებს, თუმც აური ვნახეთო, ასეთი არაფერი ყოფილა.



„ვიტ ჯორჯია“ ოთარ მარცვალაძის გოლით დაწინაურდა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

**საქართველოს უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი მეორე ეტაპი**

**23 ტური**




# ზესტაფონური დინამომეტრი

## მახარაძემ დინამო ზუსტად აწონა

თბილისი. 12 მარტი. 14 საათი. ოლიმპი. 1 500 (ტევადობა 3 000)

**დინამო 0:1 ზესტაფონი**

0:1 სულაკაძე (8)

**დინამო:** კუნეგატო, ლ. ჭელიძე (დ. ოდიკაძე 46), სილაგაძე, ჭიჭველიშვილი, ორბელაძე, კანდელაკი, ნემსაძე, ჯამარაული, კაკალაძე, დვალი (რომერო 85), მელქაძე. *სათადარიგონი:* მამალაძე, კაშია, კ. მახარაძე, ლ. ნოზაძე, გ. ჭელიძე
**მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე

**ზესტაფონი:** ქვაჩახია, შ. ღონღაძე, ს. თოდუა, შაგგულიძე, ძამსაშვილი, სულაკაძე, გუჩუა (ნუდნი 87), კ. ჩხეტიანი, გ. თურმანიძე (ზესარაშვილი 68), იონანიძე, ზირაქიშვილი (ბ. ნოზაძე 57). *სათადარიგონი:* ბზიკაძე, კვერნაძე, ხინგავა, გვარუციძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** ქვაჩახია (21), ნემსაძე (32), იონანიძე (65), ჭიჭველიშვილი (70)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

კობა ინასარიძე

0:1 „ვიტ ჯორჯიასთან", „თბილისთან", „ზესტაფონთან" და ისევ „ზესტაფონთან", ოღონდ თბილისში — აი, თბილისის „დინამო" ზამთრის შესვენების შემდეგ.

შედეგი: „ზესტაფონმა" „დინამო" ჯერ თასისთვის ბრძოლიდან ჩამოიშორა, შაბათს კი ჩემპიონატში ლიდერობა დააკარგვინა.

არადა, წინა ტურში ლანჩხუთში, „ტორპედოსთან" მატჩისას ვფიქრობდით, „დინამო" მოფერიანდა და ძველებურად ათამაშდებაო, მაგრამ რა გამოვიდა, აგერ, „ზესტაფონთან" გამოჩნდა.

მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ „დინამოს" დაცვის ხაზი ახლაც შეცვალა — გიორგი შაშიაშვილის ნაცვლად მარჯვენა ფლანგზე ლაშა ჭელიძე გამოჩნდა და... შესვენებაზე შეიცვალა. შაშიაშვილი, ალბათ, მოგეხსენებათ, უკვე ვლადიკავკაზის „ალანიას" ფეხბურთელია და ახალ გუნდს დღეს-ხვალ შეუერთდება. კიდევ კარგი, რუსეთის ჩემპიონატი დაიწყო და გუნდებს ახალი ფეხბურთელების დამატება ალარ შეუძლიათ, თორემ, ვინ იცის, „დინამოს" შემდეგი ტურის წინაც რომელიმე ფეხბურთელი გაესხვისებინა და ისევ სალაპარაკო იქნებოდა, გია გეგუჩაძე იძულებულია, ტურიდან ტურამდე ახალი შემადგენლობა ათამაშოსო. თუმც აქ „დინამოს" სატრანსფერო პოლიტიკაზე ლაპარაკი მგონი, უადგილოა და თამაშის ამბები მოვყვეთ. თამაშისა, ცალკარაც რომ შეგვიძლია ვუწოდოთ.

„ზესტაფონი" მატჩის დასაწყისშივე, მე-8 წუთზე დაწინაურდა, მერე სადღაც ტაიმის შუაში ვალტერ გუჩუამ „დინამოს" კარისკენ ერთხელაც უზუსტოდ დაარტყა და მორჩა, სტუმრებს თბილისელთა ბრაზილიელი მეკარე ჯონატას კუნეგატო ალარ შეუწუხებიათ. კუნეგატოს საქმე მცველებისგან უკან დაგორებული ბურთის მოგერიება იყო. ბრაზილიელს ეს ხან კარგად გამოსდიოდა, ხანაც ბურთი აუტში მიფრინავდა.

— ბოლო დროს, გინდა პარადოქსი თქვით, გინდ სხვა რამ, ფაქტია, უიღბლობა დაგვჩემდა და გოლები ვერ გაგვაქვს. დღესაც, მთელი თამაში ჩვენი იყო, მაგრამ რაც გამოგვივიდა თავადაც ნახეთ — თქვა ნამატჩევს „დინამოს" თავკაცმა.

ჩვენ კი, აი, რა ვნახეთ: შესვენებამდე თბილისელებმა მეტოქის კართან ერთადერთი სახიფათო მომენტი შექმნეს. ჯაბა დვალმა დაურტყა ზურაბ ქვაჩახიას ძალიან ახლოდან, მაგრამ მეკარემ ბურთს თითები წაჰკრა და გუნდი გადაარჩინა — ბურთი ხარიხას მოხვდა და მერე ზესტაფონელებმა მოიგერიეს. პირველ ტაიმში სულ ეს იყო, რაც „დინამომ" შეძლო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუმრები ცენტრის ხაზს სულ ორსამჯერ გადასცდნენ და 45 წუთი ბურთი ქვაჩახიას ახლომახლოს ტრიალებდა, მაგრამ ასეთ უპირატესობას „დინამოსთვის" შედეგი არ მოუტანია და რად გინდა.

მეორე ტაიმში, უფრო ზუსტად 65-ე წუთზე ლევან მელქაძეს ჰქონდა საგოლედ ჩინებული შანსი, მაგრამ მიზანმა უმტყუნა და ასევე ძალიან ახლოდან ბურთი კარს ააცილა. მეტი მომენტი „დინამოს" არც მეორე 45 წუთში ჰქონია. უპირატესობა კი იცოცხლეთ, პირველის მსგავსად „ზესტაფონი" კუნეგატოს კარს არც მეორე ტაიმში მიახლოებია. ეგ კი არა, იყო რამდენიმე ეპიზოდი, როცა სტუმართა თერთმეტივე ფეხბურთელი საკუთარ საჯარიმოში გამაგრდა და „დინამოს" კარში არ დაარტყმევინა.

კიდევ ეს ვნახეთ: არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა „დინამო" მეტისმეტად რომ დაინდო და ათი თუ ცხრა კაცით არ დატოვა. არ მოვყვებით იმის თვლას, რამდენი დინამოელი რამდენი ორთაბრძოლისას იმსახურებდა გაფრთხილებას და შემდეგ გაძევებას, მაგრამ ერთის თქმა კი შეგვიძლია: ფანიაშვილი ვალდებული იყო 65-ე წუთზე „დინამოს" კაპიტანი გიორგი ნემსაძე გაეძევებინა. ეს, ალბათ, თავად ფანიაშვილმაც კარგად იცოდა, მაგრამ, რატომღაც, წითელი ბარათის ნაცვლად ჯიბიდან ყვითელი ამოიღო და ყველას გასაკვირად, ის ზურაბ იონანიძეს უჩვენა, ვინც იმ ეპიზოდში უბრალო იყო...

მატჩის ერთადერთი გოლი კი მართლაც ერთ რამედ ღირდა და ულამაზესი იყოო რომ ვთქვათ, მოდავე არ გვეყოლება: „დინამომ" საკუთარი საჯარიმოდან ბურთი ხეირიანად რომ ვერ მოიგერია, ამით გოჩა სულაკაძემ ისარგებლა და დაახლოებით 25 მეტრიდან შეუჩერებლად ისეთი ამოსცხო, ათი კუნეგატო არ იყო ამ დარტყმულის ამღები — ბურთი შორეულ ცხრიანს მოარტყა...

მატჩის შემდეგ გია გეგუჩაძემ რაც თქვა, ზემოთ წაიკითხავდით, „ზესტაფონელთა" თავკაცის თანაშემწე დავით გინძეხაძემ კი, „ზესტაფონის" წარმატება უფრო მსაჯების დამსახურება რომ ჰგონიათ, დღევანდელმა მატჩმა ყველაფერი კარგად დაგვანახაო. გინძეხაძის თქმითვე, „ზესტაფონი" თბილისში მოგებას თუ არ ელოდა, არც წაგებად ყოფილა ჩამოსული.




**გიორგი თურმანიძემ და „ზესტაფონმა" „დინამო" საბოლოოდ გაიხადეს**

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

დღეს, 15 საათზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართება პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას პრესკონფერენცია

საქართველოს უმაღლესი ლიგა
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საქართველოს უმაღლესი ლიგა მეორე 16 ჩემპიონატი ლიგა ეტაპი 23 ტური

# წააგე? აგერაა მსაჯი!
## დავიწყებული მარცხის გემო მლაშეა

ფოთი. 12 მარტი. 14 საათი. ფაზისი. 100 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 1:2 ლოკომოტივი

1:0 თოდუა (33პ), 1:1 ლაცაბიძე (60), 1:2 რ. ონიანი (81)

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, ცქიფურიშვილი, მინდაძე, გოროზია, ქუტიძე, გ. თოდუა, კუნჭულია, თაყაძე (ტყებუჩავა 83), ე. მარგალიტაძე, ვართაგავა (ქითანავა 58), ლებანიძე (ზ. ქუთათელაძე 65)
*სათადარიგონი:* გიზო შენგელია; გ. კილასონია, ლ. აკობია, ქობულაძე
**მწვრთნელი:** სერგო გაბელაია

**ლოკომოტივი:** გვარამაძე, მახვილაძე, გიგაური, გ. ონიანი, სეთურიძე, ქებაძე (დ. ფოფხაძე 88), ზ. ლაცაბიძე, რ. ონიანი, მანჩხავა, სირბილაძე, ალავერდაშვილი (კახელიშვილი 46)
*სათადარიგონი:* სტურუა; ეძონია, რამონი, ფეანი
**მწვრთნელი:** ნოდარ აკობია

**გაფრთხილება:** მარგალიტაძე (14), გოროზია (16), ცქიფურიშვილი (35, 57), რ. ონიანი (61)

**გაძევება:** ცქიფურიშვილი (57)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); გ. ცირდავა (გულრიფში); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**ინსპექტორი:** მ. ქელიძე; **დირექტორი:** გ. სორდია



გიორგი კახელიშვილის (მარცხნივ) გამოჩენამ მასპინძლებს ხასი...ი წაუხდინა

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

**რაც** სერგო გაბელაია „კოლხეთის" სათავეში ჩაუდგა, მას შემდეგ ფოთში არც ერთ სტუმარ გუნდს არ უმარჯვია. ასე იყო შაბათამდე, მაგრამ ეს ტრადიცია ისევ იმ „ლოკომოტივმა" დაარღვია, რომელმაც კოლხებს უკვე მესამე საამსეზონო მარცხი აგემა.

ნამატჩევს წაგებით განაწყენებული „კოლხეთის" თავკაცობა ჯოხს მსაჯებზე ტეხავდა. განსაკუთრებით კლუბის ვიცე-პრეზიდენტი, როსტომ ჩიქოვანი არ ცხრებოდა, რომელიც ისე აღშფოთებული იყო, გეგონებოდათ, პაატა დოგრაშვილმა და მისმა ბრიგადამ ქვეყანა დააქციაო.

არადა, მსაჯებს შეცდომები კი ჰქონდათ, მაგრამ ამას თამაშის შედეგზე გავლენა ნაღდად არ მოუხდენია. ეს კი არა, რამდენიმე ეპიზოდზე სტუმრებს უფრო უნდა გამოეთქვათ პროტესტი, მაგრამ მათ შეხვედრა მოიგეს და სასაყვედურო არაფერი დარჩენიათ. აი, „კოლხეთს" რომ ემარჯვა, მაშინ მსაჯებზე აუგს ხომ არავინ იტყოდა...

ასე იყო თუ ისე, თავად შეხვედრა ძალიან ცუდი საცქერი გამოდგა. თავიდანვე ვთქვათ, „ლოკომოტივმა" მეტოქე აშკარად დაჩაგრა და სამი ქულაც ალალად მოიპოვა. თუმცა პირველი ტაიმის შემდეგ მოგებულის გამოცნობა ძნელი იყო, რადგან „კოლხეთი" შესვენებამდე დაწინაურდა.

გოლი 33-ე წუთზე გავიდა, როცა რკინიგზელთა საჯარიმოში ნუკრი მანჩხავასა და ივანე თაყაძის ორთაბრძოლაში დოგრაშვილმა სტუმარი დაადანაშაულა და პენალტი გია თოდუამ უნაკლოდ შეასრულა — 1:0.

მეორე ტაიმში ნოდარ აკობიამ გიორგი ალავერდაშვილი სეხნია კახელიშვილით შეცვალა და, როგორც შემდგომ გამოჩნდა, გაუმართლა კიდეც. სწორედ კახელიშვილის აქტიურობამ დაუდო სათავე კოლხთა წაგებას.

მასპინძლებს საქმე ცუდად 57-ე წუთიდან წაუვიდათ, როცა საჯარიმოში შესაჭრელად „შემზადებული" კახელიშვილი ზაზა ცქიფურიშვილმა ზედ წინა ხაზთან ბოლო იმედის ჯარიმით შეაჩერა. მსაჯმა წესების დამრღვევი გააფრთხილა და, რადგან მას პირველ ტაიმში ერთი ყვითელი ბარათი უკვე ჰქონდა, უმალ გააძევა კიდეც.

ჰოდა, სამიოდ წუთში კაცნაკლული „კოლხეთი" გატყდა — შეცდა ზურაბ ბათიაშვილი, კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და შვიდიოდ მეტრიდან ზაზა ლაცაბიძემ კარის ბადე კინაღამ გახია.

ეს იყო და, „ლოკომოტივი" მთელ მოედანზე გაბატონდა და კოლხთა კართან ხიფათმაც იმატა. სტუმართაგან განსაკუთრებით ირაკლი სირბილაძე აქტიურობდა, რომელსაც სულ მცირე ორჯერ შეეძლო გოლის გატანა.

თბილისელებს მატჩის მიწურულს გაუმართლათ, თუმც ისევ კოლხთა შეცდომის ხარჯზე. ამჯერზე კახა გოროზიამ შესცოდა, ბურთი რიგიანად ვერ დაიმორჩილა და იმავ სირბილაძეს დასარტყმელად გაუსწორა. ირაკლიმაც საჩუქარი შეირგო და კარში დაჰკრა, თუმც ბურთი ძელს გაარტყა — იქიდან ასხლეტილს კი როინ ონიანმა მიუსწრო და სამი მეტრიდან მეტოქის კარი უპრობლემოდ დალაშქრა — 1:2.

ჭიათურა. 12 მარტი. 14 საათი. თემურ მაღრაძე. 200 (ტევადობა 11 700)

### დილა 1:3 ტორპედო

0:1 მეგრელაძე (15), 1:1 ლაბაძე (67), 1:2 ჯიქია (75), 1:3 მეგრელაძე (80)

**დილა:** თ. ილურიძე, ლ. გოჩაშვილი, ხაჭაპურიძე, დ. ხანიშვილი, დ. მაისურაძე, გ. ჩიტაია (თომაშვილი 80), რევაზიშვილი, კ. ხანიშვილი, ჯობაძე (ა. ლაბაძე 66), სამადაშვილი (ბ. ჩიტაია 59), სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* ა. მაისურაძე; მასურაშვილი, ოლგესაშვილი, ჯალაბაძე
**მწვრთნელი:** მერაბ ხუციშვილი

**ტორპედო:** მერლანი (რევიშვილი 67), ბაქრაძე, გამეზარდაშვილი, ლ. მერებაშვილი (ებრალიძე 46), გ. მერებაშვილი, რაქვიაშვილი, ბოლქვაძე, ნერგაძე, კოშკაძე, სოსელია (რ. ჯიქია 46), მეგრელაძე
*სათადარიგონი:* დ. ბარაბაძე, დ. ონიანი, მ. ლონლაძე, გ. ახალაია
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**გაფრთხილება:** ხანიშვილი (30)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ი. აფციაური (დუშეთი); მ. მაისურაძე (თბილისი)

**ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

# ესაა უმაღლესი ლიგა?
## ტორპედო ჭიათურაში გამოჯანმრთელდა

**ნუკრი ლოლაძე** ჭიათურიდან

**სტადიონის** დისკვალიფიკაციის გამო გორის „დილამ" ქუთაისის „ტორპედოს" ჭიათურაში უმასპინძლა.

თავიდანვე ვთქვათ, რომ უმაღლეს ლიგას მონატრებული ორასამდე ჭიათურელი ქომაგი უფრო მაღალი დონის ფეხბურთს ელოდა (ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის).

პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი „ტორპედომ" შექმნა, როცა გია მეგრელაძის დარტყმული თამაზ ილურიძემ მოიგერია. მერე გორელთა კართან სახიფათო საჯარიმო დაინიშნა, თუმც დავით ბოლქვაძემ სუსტად დაარტყა.

„მასპინძლები" მე-15 წუთზე გატყდნენ — ბოლქვაძე და მეგრელაძე მეკარესთან პირისპირ გავიდნენ და ქუთათურთა მთავარმეგოლემ კიდევ ერთი ბურთი შეიმატა აქტივში — 0:1.

ამის შემდეგ თამაში ძალიან დაბალ ტემპში გაგრძელდა და საგოლე მომენტებიც აღარ იქმნებოდა. ტაიმის მიწურულს „დილა" ოდნავ გააქტიურდა, თუმც ამით ვერაფერი იხეირა.

მეორე ნახევარი ისევ ტორპედოელთა შეტევებით დაიწყო. მეგრელაძემ ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა შეცვლაზე შესული რევაზ ჯიქია, მაგრამ „დილას" გოლკიპერმა შესაშურად ითამაშა.

66-ე წუთზე გორელთა რიგებში ალექსანდრე ლაბაძე გამოჩნდა და მყის გოლიც გაიტანა — 1:1.



გია მეგრელაძის გოლებმა „ტორპედოს" მოგება გაიხსენა

გორელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა, ილურიძის ბაქანზე შექმნილი არეულობით ტორპედოელმა ჯიქიამ ისარგებლა და 1:2.

მალე ბექა ჩიტაიამ გაუშვა გათანაბრების შანსი, წუთში კი მეგრელაძემ იმავ ჯიქიას პასით დუბლი შეასრულა და მატჩს წერტილი დაუსვა.

*ოთარ გაბელია:* „გამარჯვების მიუხედავად ჩვენი თამაშით ძალიან უკმაყოფილო ვარ. ბიჭები რატომღაც ძალიან ბევრ ბურთს კარგავდნენ უაზროდ."

*მერაბ ხუციშვილი:* „შეგვეძლო მოგვეგო, მაგრამ ფორტუნამ უფრო „ტორპედოს" გაუღიმა. ქუთაისელებს წარმატებებს ვუსურვებ."


თქვენი ინტერვიუ
ზურაბ ხიზანიშვილთან
«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net


*რუბრიკის მესამე რესპონდენტი ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ, ეროვნული ნაკრების მესამე თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, ვისაც ალენ ჟირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნის სამკლავურიც კი ანდო.*

*ახალგაზრდა უცოლო კაცის გლაზგოური ცხოვრების დეტალები შესაკითხად ალბათ იქით იქნება, ხოლო აქეთ უფრო ვინძლო საფეხბურთო კითხვები წამოვა.*

*მოკლედ, იაქტიურეთ და კითხვები 18 მარტამდე მოგვაწოდეთ, ხოლო „თქვენს ინტერვიუს" ხიზანიშვილთან არაუგვიანეს 23 მარტისა იხილავთ.*

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

23 ტური

მეორე ეტაპი

ბათუმი. 12 მარტი. 14 საათი. დინამო. 300 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 0:1 თბილისი

0:1 იაშვილი (40)

**ბათუმი:** თოთლაძე, ი. მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, გალოგრე, ხუჯაძე (ხარაზი 33), ლ. ხმალაძე (ლლონტი 53), ცანავა, ბესო თედორაძე, დარჩიძე, გონჩაროვი (ხომერიკი 60)
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე, გოგიშვილი, გ. მანჯავა, დუმბაძე
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**თბილისი:** გრიშიკაშვილი, ბ. ულენტი (ტომარაძე 80), ლოლაძე, მინ ჩოი, შ. ჯიქია (რ. ბარაბაძე 87), მესხი, მიქიაშვილი, იაშვილი, ქემოკლიძე, ფოფხაძე, გეწაძე
*სათადარიგონი:* ჯინჭარაძე, ბოჭოიძე, მიქელაძე, დევდარიანი
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**გაფრთხილება:** გონჩაროვი (24), მესხი (37), ცანავა (75), ბეგლარ თედორაძე (82), იაშვილი (82)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

# სანდრო იაშვილი წარმოგიდგენთ... თბილისმა დინამო ბათუმში ჩამოაგდო

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

**კრიზისში** მყოფ „ბათუმს“ ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „თბილისი“ ესტუმრა.

ამის მიუხედავად, მასპინძლებს მოგება თავისუფლად შეეძლოთ. ისე კი, გოგიტიძის შეგირდები ერთადერთი ფორვარდის, ბორის გონჩაროვის მარიფათს შეჰყურებდნენ... „ბათუმი“ ბევრს უტევდა, მაგრამ... გოლის გატანა ვერა და ვერ მოახერხა. თბილისელებმა კი რამდენიმე ნახევარმომენტი შექმნეს და გუნდის ლიდერის, ახალგაზრდა სანდრო იაშვილის აქტიურობით გოლიც გაიტანეს — მე-40 წუთზე მარჯვენა ფლანგიდან რევაზ გეწაძემ ჩააწოდა საჯარიმოში და იაშვილი იოლად გაუმკლავდა მეტოქე მცველებს — თავით უნაკლოდ დაარტყა — 0:1.

საინტერესო ფეხბურთელი ჩანს თბილისელთა კორეელი ლეგიონერი მინ ჩოიც, რომელიც ლუის ცაკარიასმა მოედნის ცენტრში ათამაშა და, ფაქტობრივად, გუნდის ყოველი შეტევის წამომწყები გახლდათ.

ზღვისპირელებმა პირველ ტაიმში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შექმნეს. 21-ე წუთზე ვიტალი დარჩიძის პასით გონჩაროვი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ამან გამოცდილი სოსო გრიშიკაშვილის მოტყუება ვერ მოახერხა — მეკარე მომხვდურს ფეხებში ჩაუხტა და სიტუაცია განმუხტა. გონჩაროვი წაიქცა, მსაჯმა კი იგი სიმულაციისთვის ყვითელი ბარათით დასაჯა.

გონჩაროვს მალე ისევ არ გაუმართლა: ვანო მახარაძემ შორიდან უძლიერესად დაარტყა და ბათუმელთა თავდამსხმელმა დასწრებაზე ვეღარ იხეირა.

მეორე ტაიმშიც იგივე სცენარი ვნახეთ — „ბათუმი“ უტევდა, მაგრამ შეტევათა უმრავლესობა ოდენ საჯარიმოში ჩაწოდებით მთავრდებოდა.

ცაკარიასის ბიჭები კი კონტრშეტევების იმედად იყვნენ. მასპინძლებს განსაკუთრებით თბილისელთა „ჯოკერი“ სანდრო იაშვილი აწკივებდა თავს.

75-ე წუთზე შოთა ჯიქია გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე, დიაგონალური გადაცემა გაუკეთა იაშვილს, რომელმაც თითქოს ვარჯიშზე იყო, წამებში მოახერხა ბურთის დამუშავება და კარში დარტყმა — ირაკლი თოთლაძემ იხსნა კარი.

მატჩის მიწურულს კი გაწევ-გამოწევაც იყო. მსაჯმა ზურაბ ანიაშვილმა დაშავებულ გეწაძეს მოედნიდან გასვლა თხოვა, გეწაძე კი დროის გაყვანის მიზნით ფეხს არ უჩქარებდა. ამით განაწყენებულმა ბეგლარ თედორაძემ თბილისელს „ხელი წააშველა“, რამაც უკვე იაშვილი გაალიზიანა. სანდრო თანაგუნდელს გამოესარჩლა და ბეგლარს წაეკინკლავა, რაც შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა.

მსაჯმა მალევე დაამშვიდა მოთამაშეები და თედორაძე და იაშვილი ყვითელი ბარათებით „დაასაჩუქრა.“

მალე კი მსაჯის საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა. ამ მოგებით თბილისელები სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ.

*ლუის ცაკარიასი:* „მოთამაშეებმა ზუსტად შეასრულეს ჩემი დავალება. სწორედ ამის წყალობით მოვიგეთ და ბედნიერი ვარ.“

*ამირან გოგიტიძე:* „გამოცდილ ფეხბურთელებთან ერთად გუნდში ახალგაზრდებიც არიან და ახლა მათ შეთამაშება სჭირდებათ. „ბათუმი“ ჩამოყალიბების სტადიაშია.“

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 23 | 14 | 4 | 5 | 45:26 | 46 |
| დინამო | 23 | 14 | 3 | 6 | 45:23 | 45 |
| ტორპედო | 23 | 12 | 7 | 4 | 37:19 | 43 |
| ვიტ ჯორჯია | 23 | 10 | 7 | 6 | 37:27 | 37 |
| ლოკომოტივი | 23 | 9 | 10 | 4 | 31:19 | 37 |
| ზესტაფონი | 23 | 10 | 2 | 11 | 22:38 | 32 |
| ბათუმი | 23 | 6 | 8 | 9 | 25:21 | 26 |
| კოლხეთი | 23 | 6 | 5 | 12 | 23:31 | 23 |
| სიონი | 23 | 6 | 3 | 14 | 21:47 | 21 |
| დილა | 23 | 2 | 3 | 18 | 15:50 | 9 |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს პირველი ლიგა ჩემპიონატი

მეორე წრე

16 17 ტური

# ნაბიჯი უმაღლესი მიზნისკენ

**სოსო კოტორეიშვილი**

თბილისი. 13 მარტი. 14 საათი. ფკ ამერის სკოლა. 350 მაყურებელი

## ამერი 3:0 ოლიმპი

1:0 დეკანოსიძე (22პ), 2:0 დავითაშვილი (35), 3:0 დეკანოსიძე (63)

**ამერი:** ნაჭყეპია, ბერიანიძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, ზ. ჯელაძე, გ. ჯელაძე, გ. ჩხეტიანი (სილაგავა 34), დეკანოსიძე, კაიდარაშვილი (ბჟალავა 74), დავითაშვილი, სევასტოპულო
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**ოლიმპი:** ალავიძე, როსტომაშვილი, ჩაგელიშვილი, ხიდეშელი, კაკაბაძე, ხოხონიშვილი, მოდებაძე (ვერულაშვილი 35), გოგოხია, კობახიძე, დევდარიანი, ბარამიძე (ტომარაძე 74)
**მწვრთნელი:** გელა გომელაური

**გაფრთხილება:** ალავიძე (20), როსტომაშვილი (28), გ. ჯელაძე (64)

**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)

**ზამთრის** შესვენების შემდეგ „ამერმა“ გუშინ პირველი მატჩი გამართა გლდანში, საკუთარ მოედანზე და მეტად საჭირო სამი ქულით გაიმდიდრა მარაგი. საქმე ისაა, რომ უმაღლეს ლიგას დამიზნებულმა ამერელებმა წინა ტურში, გორში, „ცხინვალთან“ 0:1 წააგეს და სატურნირო ვითარება გაირთულეს.

მატჩის დასაწყისშივე გამოჩნდა, რომ გიორგი ჩიხრაძეს შესატევად მოემართა გუნდი. მეტოქის კარზე დაგეშილი ფორვარდების, სულიკო დავითაშვილისა და ტრავმამოშუშებული დავით სევასტოპულოს პასებით მომარაგება გიორგი დეკანოსიძესა და ალექსანდრე კაიდარაშვილს ევალებოდათ, ფლანგებიდან კი „ოლიმპის“ კარს გიზო ჯელაძე და გივი ჩხეტიანი ემუქრებოდნენ.

პირველი საგოლე მომენტი მასპინძლებმა მეათე წუთზე შექმნეს. საჯარიმოში შერბენილ დავითაშვილს დეკანოსიძემ პასი არ დაუგვიანა, ამერელმა ფორვარდმა პირისპირ შეყრილ ალავიძეს გვერდი კი აუარა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ზუსტად დარტყმა ვეღარ შეძლო. 22-ე წუთზე კი პირველად აჟღერდა „ეს კი ასე უბერავს“, რაც გოლის აღნიშვნის ამერული წესია. გოლი მასპინძლებმა პენალტით გაიტანეს — დავით სევასტოპულოს მოცელვისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი გიორგი დეკანოსიძემ ზუსტად შეასრულა. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ გუშინ დეკანოსიძე ამერელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული იყო, მოედნის ცენტრში ჯარასავით მოტრიალემ მახვილგონივრული პასებითაც დაგვამახსოვრა თავი და ულამაზესი გოლითაც.

63-ე წუთზე მასპინძლებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, გიზო ჯელაძის მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი მეტოქის საჯარიმოს ხაზის წინ დავითაშვილს მიუვიდა, რომელმაც ერთი შეხებით ორიოდ მეტრში მდგარ დეკანოსიძეს დაუგორა, „დეკამ“ შეუჩერებლივ ცაციათი დაჰკრა და ბურთი ალავიძის კარის ცხრიანში შეჭედა.

ამ გოლამდე, პირველ ტაიმში, „ამერმა“ ერთის გატანაც მოახერხა. 35-ე წუთზე გიზო ჯელაძემ მოედნის ცენტრში თავით ჩაჭრა მეტოქის პასი, მცველს გადავლებული ბურთი სულიკო დავითაშვილმა მოიგდო და საჯარიმოში შეჭრილმა, ისე, რომ მეკარის მოტყუება აღარ უცდია, დაბალი დარტყმით კარში შეაგორა.

ცხადი იყო, რომ „ამერს“ სამბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება არ გაუჭირდებოდა. ეგ კი არა, მასპინძლებს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, კიდევ გაიტანდნენ. დეკანოსიძემ ორჯერ კვლავ შორეული დარტყმით სცადა ანგარიშის გაზრდა, სულიკო დავითაშვილსა და დავით სევასტოპულოს კი თითოჯერ მიეცათ თავის გამოჩენის შანსი.



[illegible] ფოტო

გიორგი დავითნიძე (№5) და „ამერი“ „ოლიმპზე“ მაღლა ახტნენ

ისე არ გაგვიგოთ, აქაოდა, ოლიმპელები ყურებჩამოყრილნი იდგნენ და ნაჭყეპიას კარისკენ ერთხელაც არ გაწეულან. სტუმრები კი ცდილობდნენ, მაგრამ მასპინძლები უნარიანად იცავდნენ თავს და რამდენჯერმე ნაჭყეპიამაც იყოჩაღა. რახან სიტყვა „ამერის“ დაცვაზე ჩამოვარდა, შევნიშნოთ, რომ გუშინ ცენტრში ტრადიციულად მოთამაშე დავითნიძე-ხვადაგიანის წყვილს ფრთებს ზვიად ჯელაძე და ჯაბა ბერიანიძე უმაგრებდნენ. პირველის გამოცდილებამ მარცხენა ფლანგი უხიფათო გახადა, მეორეს კი, ეტყობა, ანთალიური შეკრება მოხდენია და მარჯვენა მცველის ამპლუაში რიგიანად გამოიყურებოდა.

**ჩიხურა 0:0 რუსთავი**

**მაღაროელი 0:2 ვიტ ჯორჯია**

**საგარეჯო 0:2 კახეთი**

**დინამო 2 3:1 გურია**

**სპარტაკი 1:0 მერანი**

**ლოკომოტივი 2 0:1 ცხინვალი**

**ივერია 0:3 ბორჯომი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 17 | 14 | 1 | 2 | 47:20 | 43 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 12 | 3 | 2 | 29:9 | 39 |
| სპარტაკი | 17 | 11 | 6 | 0 | 32:15 | 39 |
| ამერი | 17 | 12 | 1 | 4 | 48:8 | 37 |
| კახეთი | 17 | 11 | 2 | 4 | 30:21 | 35 |
| დინამო 2 | 17 | 9 | 1 | 7 | 42:27 | 28 |
| ცხინვალი | 17 | 8 | 3 | 6 | 23:20 | 27 |
| ივერია | 17 | 6 | 5 | 6 | 16:20 | 23 |
| ჩიხურა | 17 | 6 | 3 | 8 | 16:20 | 21 |
| გურია | 17 | 6 | 3 | 8 | 17:26 | 21 |
| ლოკომოტივი 2 | 17 | 5 | 4 | 8 | 21:25 | 19 |
| რუსთავი | 17 | 4 | 2 | 11 | 18:32 | 14 |
| მერანი | 17 | 4 | 1 | 12 | 19:32 | 13 |
| ოლიმპი | 17 | 3 | 4 | 10 | 15:30 | 13 |
| საგარეჯო | 17 | 2 | 4 | 11 | 16:42 | 10 |
| მაღაროელი | 17 | 0 | 3 | 14 | 8:50 | 3 |

# იტალია

## სერია A. XXVIII ტური

### მილანი 1:0 სამპდორია

1:0 კაკა (65)
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა (კოსტაკურტა 44), სტამი, მალდინი (სერჟინიო 35), გატუზო, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა (ამბროზინი 76), კაკა, კრესპო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, პავანი, ფალკონე, პიზანო (გასბარონი 69), დიანა (დონი 77), პალომბო, ვოლპი, ტონეტო, ფლაკი, როსინი (კუტუზოვი 20)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: სტამი, კოსტაკურტა
მსაჯი: როზეტი
70 000 მაყურებელი

### კიევო 0:1 იუვენტუსი

0:1 ოლივერა (87)
კიევო: მარკეჯანი, მანდელი, დანა, ლანა, პოტენცა, ლუსიანო, სამარკო, ბარონიო (ბრიგი 87), სემიოლი (დ. ფრანჩესკინი 76), ძანკეტა (ფ. კოსატო 46), პელისიერი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი, ზალაიეტა, დელ პიერო (ოლივერა 77), ტრეზეგე (იბრაჰიმოვიჩი 59)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: კამორანეზი, ძებინა, დანა, კოსატო, ოლივერა
გაძევება: ოლივერა (87), პოტენცა (87)
მსაჯი: პაპარესტა
24 514 მაყურებელი

### ლაციო 1:1 ინტერი

1:0 ა. ფილიპინი (45), 1:1 კრუზი (70)
ლაციო: სერენი, ოდო, სივილია, ფ. კოუტუ, ძაური, ა. ფილიპინი, ლივერანი (სეზარი 82), ჯანიკედა, ე. ფილიპინი, ბაცანი (დაბო 76), როკი (მუცი 78)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, მატერაცი, ზე მარია (ვან დერ მეიდე 72), ხ. ვერონი, ემრე, კ. ძანეტი (დ. სტანკოვიჩი 66), კილი გონსალესი (კოკო 58), ადრიანო, ხ. კრუზი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ადრიანო, ჯანიკედა, მუცი, ჯანიკედა, მატერაცი, ე. ფილიპინი
გაძევება: ჯანიკედა (56)
მსაჯი: ტრეფოლონი
55 000 მაყურებელი

### პალერმო 1:5 უდინეზე

0:1, 0:2 დი მიკელე (29, 36), 0:3 მუნტარი (45), 0:4 დი მიკელე (54), 1:4 სანტანა (70), 1:5 იაკინტა (83)
პალერმო: გუარდალბენი, კონტეში, ბიავა, ბარძალი, გროსო, მ. გონსალესი (ბალისტრერი 65), ბარონე, კორინი, სანტანა (რაიმონდი 72), ძაული (მორონე 65), ბრიენძა
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო (გუსტავო 65), ფელიპე, ბელერი, დ. პიზარო (პაზიენცა 87), დ. ძენონი, პინცი, მუნტარი, მაური, დი მიკელე, იაკინტა (ფავა 83)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: კონტეში, პიზარო
მსაჯი: მესინა
33 108 მაყურებელი

### კალიარი 3:0 რომა

1:0 ძოლა (24), 2:0 ესპოზიტო (41), 3:0 სუაცო (48)
კალიარი: იეცო, დ. ლოპესი, მალტალიატი, ბეგა, აგოსტინი, კონტი (ხ. ალვარესი 70), ბუდელი (ალბინო 73), გობი, მ. ესპოზიტო, ძოლა (ლანგელა 45), სუაცო
მწვრთნელი: დანიელე არიგონი



ლაციო — ინტერი. რომაელები ანტონიო ფილიპინის უზადო თავურით დაწინაურდნენ

REUTERS რომიდან

# რომას დიდი ძოლა გადახდა

რომა: ძოტი, შავიერი, მ. ფერარი, დელასი (კივუ 46), კუფრე, პეროტა, დაკური (აკილანი 56), დე როსი, ტოტი, მონტელა (ჩერჩი 73), ა. კასანო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ფერარი, კონტი, დელასი, ესპოზიტო, ალვარესი
გაძევება: დე როსი (57)
მსაჯი: კოლინა
21 000 მაყურებელი

### ატალანტა 1:0 პარმა

1:0 ადრიანუ (79)
ატალანტა: კალდერონი, რივალტა, ნატალი, სალა, მოტა, მინგაცინი (ლაცარი 52), ბერნარდინი, მონტოლივო, ბელინი (ადრიანუ 61), მარკოლინი (მილაჩიო 86), მაკინვა
მწვრთნელი: დელიო როსი
პარმა: ბუჩი, პ. კანავარო, ბონერა, ბოვო, ბეტარინი (კონტინი 14), მარკიონი (პიზანუ 12), სიმპლისიო, ბოლანო (ოლივე 72), ბრეშიანო, მორფეო, ჯილარდინო
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
გაფრთხილება: მორფეო, ბოლანო
მსაჯი: პიერი
20 000 მაყურებელი

### ბოლონია 1:1 სიენა

1:0 ბელუჩი (56პ), 1:1 მაკარონე (65)
ბოლონია: პალიუკა, ჟუარესი, ტორიზი, გამბერინი, ნერვო, ლოვიზო (ჯუნტი 62), ლ. კოლუჩი, კაპუანო, ლოკატელი (ჩიპრიანი 76), ბელუჩი (კ. ამორუზო 84), ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
სიენა: მანინგერი, არჯილი (მაკარონე 59), მინანი, პორტანოვა, ალბერტო, დაველსა, კოცა, ვერგასოლა, ფალზინი, კიეზა (პასკუალე 68), ტ. ფლო
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: კოცა, მანინგერი, ჯუნტი
მსაჯი: დატილო
16 000 მაყურებელი

### ლეჩე 2:2 ფიორენტინა

1:0 დალა ბონა (28), 2:0 ვუჩინიჩი (31), 2:1 იორგენსენი (47), 2:2 მაჯო (86)
ლეჩე: სიჩინიანო, ანჯელო (ჯაკომაცი 76), სტოვინი, დიამუტენე, რული, კასეტი, ლედესმა, დალა ბონა, ვუჩინიჩი, ხ. ვალდესი (კონანი 87), პინარდი
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
ფიორენტინა: ლუპატელი, უიფალუში, ვიალი (მაჯო 46), დაინელი, კიელინი, დი ლივიო (რიგანო 46), პიანჯერელი, ობოდო, არიატი, იორგენსენი, მიკოლი (ფანტინი 78)
მწვრთნელი: დინო ძოფი
გაფრთხილება: ობოდო, არიატი, კიელინი, ლედესმა, პიანჯერელი
მსაჯი: გაბრიელე
15 000 მაყურებელი

### ბრეშა 2:3 ლივორნო

1:0 კარაჩოლო (16პ), 1:1 დოგა (51), 1:2 პროტი (66პ), 1:3 დანილევიჩუსი (85), 2:3 კარაჩოლო (89)
ბრეშა: კასტელაცი, ჟ. მარტინესი, ძობოლი, მარეკო (ძამბრელა 55), სტანკევიჩიუსი, სკული (დელ ნერო 72), მილანეტო, დი ბიაჯო, ვომე, მანინი (ვონლანტენი 80), კარაჩოლო
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
ლივორნო: ამელია, მელარა (ა. ლუკარელი 84), გრანდონი, გალანტე, ბალერი, რუოტოლო, პასონი, დოგა, ვიჯანი (ლიჩკა 89), პროტი, დანილევიჩუსი
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
გაფრთხილება: ბალერი, მილანეტო, დანილევიჩუსი
გაძევება: დი ბიაჯო (70)
მსაჯი: აიროლდი
15 000 მაყურებელი

### რეჯინა 0:2 მესინა

0:1 კრისტანტე (13), 0:2 დაგოსტინო (40)
რეჯინა: პავარინი, კანარზა (ბორიელო 46), დე როზა, ი. ფრანჩესკინი (ძამბონი 76), მესტო, პარედესი, ტედესკო, ბალესტრი, ჯ. კოლუჩი, ნაკამურა (ესტევესი 81), ბონაცოლი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
მესინა: სტორარი, კრისტანტე, რეზაეი, არონიკა, პარიზი, კოპოლა (კუჩარი 76), დონატი, რაფაელი, დაგოსტინო, ილიევი (ზორო კპოლო 55), ძამპანა (იანაგისავა 81)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: პარიზი, არონიკა, კოლუჩი, კრისტანტე, რაფაელი, დე როზა, ბალესტრი, ტედესკო, სტორარი
მსაჯი: დე სანტისი
30 000 მაყურებელი

**ჩემპიონმა** „მილანმა“ ბრაზილიელი კაკას გოლით „სამპდორია“ დაამარცხა. ეს გოლი შეხვედრის დასრულებამდე 25 წუთით ადრე გავიდა და მას შემდეგ დარჩენილი მონაკვეთი საკმაოდ ამაღელვებელი გამოდგა. ამის დასტურად, თუნდაც იმ ეპიზოდს მოვიტანთ, როდესაც გენუელი ფრანჩესკო ფლაკის დარტყმული იაპ სტამმა ცარიელი კარის ხაზიდან გამოიტანა.

ერთი სიტყვით, თუ ჩემპიონთა თასზე „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მიღწეულ ორ გამარჯვებასაც მივათვლით, „შავ-წითლებმა“ ზედიზედ ცხრა გამარჯვება მოიპოვეს და აქედან ექვს შემთხვევაში ანგარიში 1:0 იყო. ამასთან დაკავშირებით, „სამპდორიასთან“ შეხვედრის შემდეგ „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადა:

„ეს შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს თავდამსხმელებს მოწინააღმდეგე მცველები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ“.

მილანელებს ანგარიშის გახსნა პირველ ტაიმშივე შეეძლოთ, როდესაც რუი კოშტამ დაარტყა, ბურთმა კი გზაში ასხლეტის გამო გეზი იცვალა და ხარიხას მოხვდა, თუმცა მოგვიანებით მასპინძლებსაც (სხვათა შორის, მათ ამ შეხვედრაში ტრავმის გამო პაოლო მალდინი და ალესანდრო ნესტა დაკარგეს) დაასხა ციმა ოფლმა: 62-ე წუთზე იურიდიულად მათმა და გენუაში მხოლოდ გაქირავებულმა ვიტალი კუტუზოვმა საჯარიმოს შიგნიდან გაარტყა ძელს. ამ ამბიდან რამდენიმე წუთში კი „მილანმა“ ანგარიში გახსნა — ფრანჩესკო ანტონიოლის კარში გოლის გატანას ანდრეა პირლოს პასი და შორეულ ძელთან კაკას მოზომილი თავური დაჭირდა.

„გამარჯვება ჩვენმა ხასიათმა მოგვიტანა, მაგრამ ამასთან აუცილებლად უნდა დავძინო, რომ დაცვაში „სამპდორია“ ძალიან კარგად იყო ორგანიზებული“ — დასძინა ანჩელოტიმ.

ხოლო „რომას“ ოცნება, გზა გაიკაფოს ჩემპიონთა ლიგისკენ, დიდი შანსია ოცნებადვე დარჩეს, რადგან ლუიჯი დელ ნერის გუნდმა სარდინიაზე, „კალიარისთან“ სრულიად სამარცხვინოდ წააგო 0:3.

მასპინძლები 24-ე წუთზე ვეტერანმა ვარსკვლავმა ჯანფრანკო ძოლამ დააწინაურა, როდესაც „რომას“ მცველის, მატეო ფერარის გამოტანილი ბურთი იხელთა და დაბალი დარტყმით დაუმიზნა კარს. ამის შემდეგ ძოლამ ჯარიმა ჩააწოდა და მაურო ესპოზიტოს გაატანინა, ხოლო მე[illegible] წუთზე და[illegible] მეც შეაგდო.

თუმცა, დამარცხებას „რომა“ საბოლოოდ მაშინ შეეგუა, როდესაც დანიელე დე როსიმ ხსენებული სუაცოს უკნიდან მოცელვისთვის წითელი ბარათი მიიღო.

„ინტერმა“ „ლაციოსთან“ შაბათს ითამაშა 1:1. ეს გახლდათ მილანელთა მეჩვიდმეტე ფრე მიმდინარე სეზონში. აღსანიშნავია, რომ თავიდან რომაელები იგებდნენ, მაგრამ შემდეგ რობერტო მანჩინის ახალმა გუნდმა ძველი გუნდისთვის ანგარიშის გათანაბრება შეძლო. დავძინოთ, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ტაბლოზე 0:0 ეწერა, „ინტერის“ ბრაზილიელმა ფორვარდმა ადრიანომ გოლი შეაგდო, მაგრამ მსაჯმა ხელით თამაში შენიშნა და არ ჩათვალა.

აღსანიშნავია ისიც, რომ შეხვედრის მიწურულს „ინტერს“ კიდევ ერთხელ არ გაუმართლა — ყოფილი ლაციოელის, დეიან სტანკოვიჩის ღონიერმა დარტყმულმა ხარიხა შეაზანზარა.

**პაპუნა ძედია**

## სერია B. XXX ტური

### ბარი 0:1 ასკოლი

0:1 ბუკი (10)

### ჩეზენა 1:0 ტორინო

1:0 კიარამიტარო (72)

### კროტონე 1:1 ემპოლი

0:1 ალმირონი (18), 1:1 პორკია (37)

### ჯენოა 3:1 არეცო

1:0 სტელონე (17), 2:0 დ. მილიტო (20), 2:1 სპინეზი (45), 3:1 სტელონე (51)

### მოდენა 2:0 კატანძარო

1:0 გრაფიედი (37), 2:0 ტიში (44პ)

### პესკარა 2:1 პერუჯა

1:0 კროჩე (32), 2:0 რუსო (62), 2:1 ფერეირა პინტუ (79)

### პიაჩენცა 0:1 სალერნიტანა

0:1 ლანძარო (16)

### ვენეცია 2:0 ვიჩენცა

1:0 დ. ანდერსონი (69), 2:0 კ. ესპოზიტო (84)

### ალბინოლეფე — ტრევიზო

*გადაიდო*

### ვერონა — ტრიესტინა

*გადაიდო*

### ტერნანა — კატანია

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 30 | 15 | 11 | 4 | 53:32 | 56 |
| ემპოლი | 30 | 13 | 12 | 5 | 43:25 | 51 |
| პერუჯა | 30 | 13 | 9 | 8 | 35:25 | 48 |
| ტრევიზო | 29 | 14 | 6 | 9 | 37:30 | 48 |
| ტორინო | 30 | 14 | 6 | 10 | 32:25 | 48 |
| ვერონა | 29 | 13 | 7 | 9 | 50:36 | 46 |
| ასკოლი | 30 | 12 | 9 | 9 | 42:40 | 45 |
| პიაჩენცა | 30 | 13 | 4 | 13 | 33:34 | 43 |
| ალბინოლეფე | 29 | 11 | 8 | 10 | 40:34 | 41 |
| ჩეზენა | 30 | 11 | 8 | 11 | 35:40 | 41 |
| ტერნანა | 29 | 10 | 10 | 9 | 36:37 | 40 |
| ვიჩენცა | 30 | 11 | 6 | 13 | 46:49 | 39 |
| კატანია | 29 | 9 | 12 | 8 | 31:34 | 39 |
| პესკარა | 30 | 9 | 12 | 9 | 32:38 | 39 |
| მოდენა | 30 | 11 | 8 | 11 | 30:29 | 37 |
| სალერნიტანა | 30 | 9 | 9 | 12 | 35:40 | 36 |
| ტრიესტინა | 29 | 10 | 6 | 13 | 33:40 | 36 |
| ბარი | 30 | 8 | 12 | 10 | 27:29 | 35 |
| არეცო | 30 | 6 | 14 | 10 | 39:41 | 32 |
| კროტონე | 30 | 7 | 10 | 13 | 29:35 | 28 |
| ვენეცია | 30 | 5 | 10 | 15 | 24:40 | 25 |
| კატანძარო | 30 | 5 | 7 | 18 | 25:54 | 22 |

*„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „კროტონეს“ — 3 და „ბარის“ — 1 ქულა*

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მილანი | 28 | 19 | 6 | 3 | 47:17 | 30 | 63 | 14 | 9 | 3 | 2 | 30:12 | 18 | 30 | 14 | 10 | 3 | 1 | 17:5 | 12 | 33 |
| 2 იუვენტუსი | 28 | 19 | 6 | 3 | 46:16 | 30 | 63 | 13 | 10 | 2 | 1 | 24:7 | 17 | 32 | 15 | 9 | 4 | 2 | 22:9 | 13 | 31 |
| 3 ინტერი | 28 | 10 | 17 | 1 | 50:33 | 17 | 47 | 14 | 7 | 6 | 1 | 26:14 | 12 | 27 | 14 | 3 | 11 | 0 | 24:19 | 5 | 20 |
| 4 სამპდორია | 28 | 14 | 5 | 9 | 31:21 | 10 | 47 | 14 | 7 | 3 | 4 | 14:9 | 5 | 24 | 14 | 7 | 2 | 5 | 17:12 | 5 | 23 |
| 5 უდინეზე | 28 | 13 | 6 | 9 | 41:28 | 13 | 45 | 13 | 6 | 3 | 4 | 19:10 | 9 | 21 | 15 | 7 | 3 | 5 | 22:18 | 4 | 24 |
| 6 პალერმო | 28 | 11 | 10 | 7 | 31:26 | 5 | 43 | 14 | 8 | 3 | 3 | 17:12 | 5 | 27 | 14 | 3 | 7 | 4 | 14:14 | 0 | 16 |
| 7 რომა | 28 | 10 | 8 | 10 | 46:43 | 3 | 38 | 13 | 6 | 5 | 2 | 28:18 | 10 | 23 | 15 | 4 | 3 | 8 | 18:25 | -7 | 15 |
| 8 ბოლონია | 28 | 9 | 10 | 9 | 28:26 | 2 | 37 | 14 | 6 | 5 | 3 | 18:12 | 6 | 23 | 14 | 3 | 5 | 6 | 10:14 | -4 | 14 |
| 9 კალიარი | 28 | 10 | 7 | 11 | 41:45 | -4 | 37 | 14 | 9 | 4 | 1 | 27:14 | 13 | 31 | 14 | 1 | 3 | 10 | 14:31 | -17 | 6 |
| 10 ლეჩე | 28 | 9 | 9 | 10 | 48:49 | -1 | 36 | 14 | 7 | 4 | 3 | 27:19 | 8 | 25 | 14 | 2 | 5 | 7 | 21:30 | -9 | 11 |
| 11 რეჯინა | 28 | 9 | 8 | 11 | 28:33 | -5 | 35 | 15 | 7 | 3 | 5 | 17:17 | 0 | 24 | 13 | 2 | 5 | 6 | 11:16 | -5 | 11 |
| 12 ლივორნო | 28 | 9 | 8 | 11 | 31:37 | -6 | 35 | 14 | 7 | 3 | 4 | 17:14 | 3 | 24 | 14 | 2 | 5 | 7 | 14:23 | -9 | 11 |
| 13 მესინა | 28 | 9 | 8 | 11 | 32:40 | -8 | 35 | 13 | 7 | 4 | 2 | 18:14 | 4 | 25 | 15 | 2 | 4 | 9 | 14:26 | -12 | 10 |
| 14 ლაციო | 28 | 9 | 7 | 12 | 35:38 | -3 | 34 | 15 | 5 | 5 | 5 | 22:20 | 2 | 20 | 13 | 4 | 2 | 7 | 13:18 | -5 | 14 |
| 15 ფიორენტინა | 28 | 7 | 10 | 11 | 29:37 | -8 | 31 | 14 | 6 | 4 | 4 | 21:16 | 5 | 22 | 14 | 1 | 6 | 7 | 8:21 | -13 | 9 |
| 16 პარმა | 28 | 7 | 8 | 13 | 30:45 | -15 | 29 | 14 | 6 | 6 | 2 | 21:16 | 5 | 24 | 14 | 1 | 2 | 11 | 9:29 | -20 | 5 |
| 17 კიევო | 28 | 7 | 7 | 14 | 21:39 | -18 | 28 | 14 | 5 | 4 | 5 | 12:14 | -2 | 19 | 14 | 2 | 3 | 9 | 9:25 | -16 | 9 |
| 18 ბრეშა | 28 | 7 | 5 | 16 | 23:37 | -14 | 26 | 15 | 3 | 3 | 9 | 10:18 | -8 | 12 | 13 | 4 | 2 | 7 | 13:19 | -6 | 14 |
| 19 სიენა | 28 | 4 | 14 | 10 | 27:42 | -15 | 26 | 14 | 2 | 8 | 4 | 14:21 | -7 | 14 | 14 | 2 | 6 | 6 | 13:21 | -8 | 12 |
| 20 ატალანტა | 28 | 4 | 9 | 15 | 24:37 | -13 | 21 | 15 | 4 | 6 | 5 | 15:15 | 0 | 18 | 13 | 0 | 3 | 10 | 9:22 | -13 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მონტელა (რომა) | 19 |
| ადრიანო (ინტერი) | 15 |
| შევჩენკო (მილანი) | 14 |
| ჯილარდინო (პარმა) | 14 |
| ესპოზიტო (კალიარი) | 14 |

### XXVIII ტური

19-20 მარტი

| | | |
|---|---|---|
| სამპდორია | : | ატალანტა |
| მესინა | : | ბოლონია |
| კიევო | : | ბრეშა |
| ლივორნო | : | კალიარი |
| ინტერი | : | ფიორენტინა |
| სიენა | : | ლაციო |
| უდინეზე | : | ლეჩე |
| რომა | : | მილანი |
| პარმა | : | პალერმო |
| იუვენტუსი | : | რეჯინა |

## სერია C1/A

### XXVIII ტური

ფ. ანდრია — ფროზინონე 1:1; მანტოვა — პისტოიეზე 2:1; ნოვარა — ლუკეზე 0:2; პიზა — პრო პატრია 1:0; პრატო — აკირეალე 1:1; სანჯოვანეზე — კომო 1:1; ს. ტორესი — კრემონეზე 2:1; სპეცია — პავია 0:0; ვიტორია — ლუმეცანე 0:2

## სერია C1/B

### XXVIII ტური

ბენევენტო — ნაპოლი 0:2; ფერმანა — ჯულიანოვა 1:0; ლანჩანო — ფოჯა 1:2; რეჯანა — კიეტი 2:0; რიმინი — მარტინა 2:0; სორა — პეზარო 2:2; სპალ — ჩიტადელა 2:2; ტერამო — სამბენედეტეზე 0:2. პადოვა — აველინო დღეს გაიმართება

# გერმანია

**ბუნდესლიგა XXV ტური**

# შალკე ცალკედ დარჩა




შალკე — ბაიერნი. ოლივერ კანი ლინკოლნის დარტყმულისას ამაოდ გაისარჯა

### შალკე 1:0 ბაიერნი

1:0 ლინკოლნი (69)
შალკე: ფ. როსტი, უიდე კამპუისი, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ვერმანტი, კობიაშვილი, ლინკოლნი (დ. როდრიგესი 90), ასამოა (ჰამიტ ალტინტოპი 8), აილტონი, სანდი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, დემიკელისი, ლიზარაზუ (თ. ლინკე 87), ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი (ჰაშემიანი 72), დაისლერი (შვაინსტაიგერი 46), ბალაკი, კ. პიზარო, პ. გერერო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: კრსტაიჩი, კობიაშვილი, ლუსიო, ბალაკი
მსაჯი: ფანდელი
61 524 მაყურებელი

### ფრაიბურგი 2:3 ნიურნბერგი

1:0 კუჯუ (7), 1:1 ლ. მიულერი (23), 2:1 ბაირამოვიჩი (59), 2:2, 2:3 მინტალი (85, 90)
ფრაიბურგი: გოლცი, ხიზანეიშვილი, მოჰამადი, კრუპკე, ჰერმელი (ოგო 70), ბერნერი (დორნი 90), ბაირამოვიჩი, სანუ (ანტარი 66), კუჯუ, იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ნიურნბერგი: ლანგერბაინი, ს. მიულერი, ბოზაცკი, ნიკლი, ლ. მიულერი, ლარსენი, ვაგეფელდი (ბანოვიჩი 66), ლაგერბლომი (ა. ვოლფი 46), მინტალი, ვიტეკი, შროტი (დაუნი 54),
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ბაირამოვიჩი, ლაგერბლომი, ვოლფი, ბანოვიჩი
მსაჯი: ვაგნერი
17 000 მაყურებელი

### ვერდერი 0:0 მაინცი

ვერდერი: რაინკე, უმითი (სტალტერი 46), ისმაელი, ფარენჰორსტი (შუნტი 67), შულცი, ბოროვსკი, ფ. ერნსტი, ფ. ბაუმანი, მიკუ, კლასნიჩი, ნ. ვალდესი (კლოზე 59)
მწვრთნელი: თომას შააფი
მაინცი: ვახე, აბელი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, ვაიგელტი, ბაბაცი (ბოდოგი 90), ბალიტჩი, და სილვა, ფ. გერბერი, ტიურკი (იოვანოვიჩი 66), კეისი (აუერი 80)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: უმითი, ისმაელი, ბალიტჩი, ფრიდრიხი, იოვანოვიჩი
მსაჯი: შიპელი
39 301 მაყურებელი

### დორტმუნდი 0:2 შტუტგარტი

0:1, 0:2 მაისნერი (43, 90პ)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, კ. მეცელდერი (გამბინო 80), ბრჟენსკა, ვიორნსი, დედე, კელი, როსიცკი, კრინგე, შმოლარეკი, რიკენი (ევერტონი 65), კოლერი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, მ. ბაბელი, შტრანცლი, სოლდო, მაისნერი, ტიფერტი, ა. გლები, კაკაუ (ბ. ჟივკოვიჩი 54), კურანი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: კრინგე, ბრჟენსკა, დედე, მაისნერი, სოლდო, კურანი, შტრანცლი
გაძევება: მეირა (48), ვიორნსი (90)
მსაჯი: მეიერი
75 000 მაყურებელი

### ლევერკუზენი 3:3 ჰერტა

1:0 პონტე (5), 2:0 ბუტი (13პ), 2:1, 2:2 მარსელინიო (24, 29), 2:3 ნოინდორფი (62), 3:3 ვორონინი (84)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ბ. შნაიდერი, კალსენ-ბრაკერი (კასტრო 83), პლასენტე, დუმი (ფრანცა 46), რამელო, ბაბიჩი, ფრაიერი, პონტე, კრჟინოვეკი (ბიროფკა 74), ვორონინი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ფატი, ნ. კოვაჩი, ტ. მარქსი, ჟილბერტო, ნოინდორფი (ჟ. რეინა 90), მარსელინიო (მადლუნგი 83), ვიშნიარეკი (რაფაელი 55)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: რამელო, პლასენტე
გაძევება: ვან ბურიკი (11)
მსაჯი: ფლაიშერი
22 506 მაყურებელი

### ლაუტერნი 1:0 გლადბახი

1:0 ალტინტოპი (45)
ლაუტერნი: თ. ერნსტი, ლემბი, პერჩი, ვენცელი, ბლანკი, სფორცა, რიდლი, ენგელარდტი, გიასულა (ტებერი 72), ამანატიდისი (ზაიცი 64), ჰალილ ალტინტოპი (კოსოვსკი 90)
მწვრთნელი: კურტ იარა
გლადბახი: კ. კელერი, ფუკალი, კ. მური, ვან კერკჰოვენი, იანსენი (ბროიხი 59), ტიისი, კლუგე (დემო 79), ბიომე, ულიხი (ვან ჰუტი 59), სვერკოში, ნოივილი
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
გაფრთხილება: ენგელარდტი, ტიისი
მსაჯი: კინჰოფერი
39 906 მაყურებელი

### არმინია 3:4 ჰამბურგი

0:1 ლაუტი (2), 1:1 პორკელიო (21), 2:1 ვატა (27), 2:2 ბარბარესი (38), 2:3 ბულარუზი (43), 2:4 მაჰდავიკია (71), 3:4 ბაკლი (87)
არმინია: ჰაინი, ლენსე (ლეონი 72), ბორგესი, გაბრიელი, შულერი, კაუფი, დამაიერი (ბოაკიე 46), ოვომოიელა, პორკელიო, ბაკლი, ფ. ვატა (პინტო 72)
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
ჰამბურგი: ვიახტერი, შლიკე, ბულარუზი, ვან ბუიტენი, ბრეჩკო, ბენჯამინი, იაროლიმი, ბაინლიხი, ბარბარესი (ბ. რაინჰარდტი 90), ტაკაჰარა (მაჰდავიკია 46), ლაუტი (კუჩუკოვიჩი 90)
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: ჰაინი, ბრეჩკო, შულერი, ბოაკიე, ბენჯამინი, ბრეჩკო
გაძევება: ბრეჩკო (81)
მსაჯი: ვაკი
26 601 მაყურებელი

### ვოლფსბურგი 1:0 ჰანოვერი

1:0 მენსეგეში (6)
ვოლფსბურგი: იენჩი, თ. რიტერი, კიროგა, ჰოფლანდი, ტიამი, კარჰანი, შნოორი, ფიშერი, მენსეგეში (ტ. მარიჩი 83), კლიმოვიჩი (ტოპიჩი 74), მ. პეტროვი (ჰრგოვიჩი 86)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ვინისიუსი, დე გუცმანი, ლალა (თ. შნაიდერი 89), დაბროვსკი (პაუნოვიჩი 46), კრუპნიკოვიჩი, ლეანდრო, სტაინერი (კაუფმანი 59)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: კლიმოვიჩი, ჰოფლანდი, შნოორი, ლალა, დე გუცმანი, პაუნოვიჩი
მსაჯი: ბრიხი
25 901 მაყურებელი

### ჰანზა 3:1 ბოხუმი

1:0, 2:0 დი სალვო (36, 49), 3:0 პრიკა (52), 3:1 ედუ (70)
ჰანზა: შობერი, ჰარტმანი (ჰილი 76), მიორლე, ლაპაჩინსკი, მაული, ლანცი, პერსონი, ვორბეკი (თ. რასმუსენი 73), ლიტმანენი, პრიკა, დი სალვო (რიდლევიჩი 90)
მწვრთნელი: იორგ ბერგერი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კნავსი, მაიხელბეკი, პ. ბიონიგი, ცდებელი (პროისი 79), ფ. ტაპალოვიჩი (ბეკმანი 52), მისიმოვიჩი, ვოში, ლოკვენცი, ედუ
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: პრიკა, კნავსი, კოლდინგი
მსაჯი: ფროილიხი
18 600 მაყურებელი

**გელზენკირხენის** „აუფშალკეზე“ გუშინ ბუნდესლიდერები არკვევდნენ ურთიერთობას — ლევან კობიაშვილის „შალკემ“ ბრაზილიელი ლინკოლნის მიერ ჯარიმიდან ჩინებულად შესრულებული დარტყმით დაამარცხა ფელიქს მაგათის გუნდი და „ბაიერნსაც“ სამი ქულით გაექცა. ჩვენებურმა თავი იმითლა გამოიჩინა, რომ მსაჯმა ფანდელმა ერთ-ერთ ეპიზოდში უხეშობისთვის ყვითელი ბარათი აუფრიალა.

ბრემენის „ვერდერის“ დაცვა გამოკეთებულა — „მაინცისგან“ გოლი არ გაუშვეს, თუმც ვერც თავად გაუტანეს და ფრეს დასჯერდნენ. რაც იმას ნიშნავს, რომ „ლიონთან“ საშინელი მარცხის შემდეგ ბრემენელთა ქომაგები გამარჯვებას ამაოდ ელოდნენ. მარტო ნელსონ ვალდესმა სამი ნაღდი საგოლე მომენტი გააცუდა, ერთი კი ფაბიან ერნსტმა მიითვალა. „ცხადია, მოგება გვსურდა და ვუტევდით კიდეც, მაგრამ ამაოდ“ — დაიჩივლა თომას შააფმა, „ვერდერის“ მწვრთნელმა.

ბერლინის „ჰერტამ“ კი ლევერკუზენში იყოჩაღა. დედაქალაქელები მეცამეტე წუთისთვის 0:2-ს აგებდნენ და თან კაცნაკლულნი დარჩნენ — დიკ ვან ბურიკი გაუძევეს. მიუხედავად ამისა, მარსელინიომ პირველი ტაიმის ხუთწთიან მონაკვეთში დუბლი შეასრულა.

შესვენების შემდეგ „ლევერკუზენმა“ „ჰერტას“ წილ მოედნის ნახევარზე დაიბუდა და არაერთი ხალსაყრელი მომენტი გააცუდა, სანამ სტუმარი ნოინდორფი მესამე გოლს გაიტანდა. მხოლოდ ამის შემდეგღა მოახერხა ანდრეი ვორონინმა გაქვითვა და „ლევერკუზენს“ ქულა გადაურჩინა.

სასწაული მოხდა და როსტოკის „ჰანზამ“ შინ პირველი მატჩი მოიგო, როსტოკელებმა „ბოხუმი“ იმსხვერპლეს. ანტონიო დი სალვომ პირველი ტაიმის ბოლოს და მეორის დასაწყისში თითო გოლი შეაგდო, მესამე კი რადე პრიკამ მიითვალა, ბოხუმელთაგან ერთი ედუმ გაქვითა.

გოლუხვი შეხვედრა გაიმართა ბილეფილდში, სადაც „ჰამბურგმა“ მასპინძლებს აჯობა. ტრავმამოშუშებულმა ბენი ლაუტმა მეორე წუთზევე დააწინაურა სტუმრები, მაგრამ „არმინიამ“ მალევე სათავისოდ შეაბრუნა ვითარება. მასიმილიან პორკელიომ საჯარიმო დარტყმით იხეირა, ხოლო ფატმირ ვატამ ახლოდან შეაგდო. ამის შემდეგ „ჰამბურგი“ გამოცოცხლდა და სამი გოლი მიართვა მასპინძლებს. სერჟი ბარბარესმა და ხალიდ ბულარუზმა შესვენებამდე იყოჩაღეს, ხოლო მეჰდი მაჰდავიკიამ — მეორე ტაიმში. „არმინიამ“ ერთი კი გაიფართხალა, მაგრამ დელრონ ბაკლიმ მხოლოდ ანგარიშში სხვაობის შემცირება მოახერხა.

„ფრაიბურგი“ გამარჯვებასთან ახლოს იყო, მაგრამ შეხვედრის ბოლო ხუთ წუთში „ნიურნბერგისა“ და ბუნდესლიგის მთავარმა გოლეადორმა მარეკ მინტალმა გაილაშქრა და სამი ქულა სტუმრებს ერგოთ. ფრაიბურგელთა პირველი გოლი სამეულ კუჯუმ ალექსანდრე იაშვილის პასით გაიტანა.

„ლაუტერნმა“ ჰალილ ალტინტოპის მიერ პირველი ტაიმის მიწურულს გატანილი გოლით აჯობა გლადბახის „ბორუსიას“, ხოლო „ვოლფსბურგმა“ მისავათებულ „ჰანოვერს“ მოუგო. „მგელთაგან“ გოლი არგენტინელმა კარლოს მენსეგემ მიითვალა, რომელსაც მარტინ პეტროვის პასი გემრიელი კერძივით შეირგო.

**გაგა ხუციშვილი**

## II ბუნდესლიგა

**XXV ტური**

### აუე 3:2 ერფურტი

1:0 ჰაიდრიხი (3), 2:0 ტრენკოპფი (47), 3:0 ჩიპევი (64), 3:1 ს. კელერი (67), 3:2 დვორაკი (78)

### ობერჰაუზენი 0:3 კიოლნი

0:1 პოდოლსკი (13პ), 0:2 რანი (35), 0:3 ებერსი (67)

### ზაარბრიუკენი 0:1 დინამო

0:1 ოსვალდი (39)

### ალენი 3:1 კოტბუსი

0:1 ბერჰალტერი (13), 1:1 იუგოვიჩი (16), 2:1, 3:1 სვიტლიცა (49, 82პ)

### ალემანია 2:0 ტრირი

1:0 ბუდისა (31ს.კ.), 2:0 დ. გომესი (60)

### ესენი 2:1 კარლსრუე

0:1 მენერი (20), 1:1 კოენი (27), 2:1 რისტაუ (45)

### უნტერჰახინგი 0:1 დუისბურგი

0:1 აჰანფუფი (30)

### ფიურტი — ბურგჰაუზენი

*გადაიდო*

### მიუნხენი — აინტრახტი

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუისბურგი | 25 | 16 | 3 | 6 | 39:23 | 51 |
| კიოლნი | 24 | 15 | 5 | 4 | 49:25 | 50 |
| ფიურტი | 24 | 13 | 4 | 7 | 38:29 | 43 |
| აინტრახტი | 24 | 12 | 4 | 8 | 42:33 | 40 |
| მიუნხენი | 24 | 11 | 7 | 6 | 35:30 | 40 |
| აუე | 25 | 12 | 3 | 10 | 39:28 | 39 |
| ალემანია | 25 | 11 | 4 | 10 | 44:31 | 37 |
| ბურგჰაუზენი | 24 | 9 | 6 | 9 | 33:40 | 33 |
| ტრირი | 25 | 7 | 11 | 7 | 32:36 | 32 |
| ზაარბრიუკენი | 24 | 9 | 4 | 11 | 33:33 | 31 |
| კოტბუსი | 25 | 8 | 6 | 11 | 27:32 | 30 |
| უნტერჰახინგი | 24 | 9 | 2 | 13 | 33:36 | 29 |
| ალენი | 25 | 7 | 7 | 11 | 26:31 | 28 |
| დინამო | 24 | 8 | 4 | 12 | 31:40 | 28 |
| ესენი | 25 | 5 | 11 | 9 | 30:40 | 26 |
| კარლსრუე | 23 | 5 | 8 | 10 | 27:36 | 23 |
| ერფურტი | 24 | 5 | 8 | 11 | 24:38 | 23 |
| ობერჰაუზენი | 24 | 6 | 5 | 13 | 27:48 | 23 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 შალკე | 25 | 17 | 2 | 6 | 40:27 | 13 | 53 | 13 | 10 | 1 | 2 | 24:16 | 8 | 31 | 12 | 7 | 1 | 4 | 16:11 | 5 | 22 |
| 2 ბაიერნი | 25 | 15 | 5 | 5 | 46:24 | 22 | 50 | 13 | 10 | 2 | 1 | 30:8 | 22 | 32 | 12 | 5 | 3 | 4 | 16:16 | 0 | 18 |
| 3 შტუტგარტი | 25 | 13 | 6 | 6 | 45:30 | 15 | 45 | 12 | 9 | 1 | 2 | 28:12 | 16 | 28 | 13 | 4 | 5 | 4 | 17:18 | -1 | 17 |
| 4 ვერდერი | 25 | 13 | 5 | 7 | 53:27 | 26 | 44 | 13 | 7 | 4 | 2 | 25:11 | 14 | 25 | 12 | 6 | 1 | 5 | 28:16 | 12 | 19 |
| 5 ჰამბურგი | 25 | 14 | 1 | 10 | 45:39 | 6 | 43 | 12 | 8 | 0 | 4 | 21:16 | 5 | 24 | 13 | 6 | 1 | 6 | 24:23 | 1 | 19 |
| 6 ჰერტა | 25 | 10 | 11 | 4 | 43:24 | 19 | 41 | 12 | 4 | 7 | 1 | 21:10 | 11 | 19 | 13 | 6 | 4 | 3 | 22:14 | 8 | 22 |
| 7 ლევერკუზენი | 25 | 11 | 7 | 7 | 45:34 | 11 | 40 | 12 | 8 | 3 | 1 | 30:15 | 15 | 27 | 13 | 3 | 4 | 6 | 15:19 | -4 | 13 |
| 8 ვოლფსბურგი | 25 | 12 | 1 | 12 | 40:36 | 4 | 37 | 13 | 9 | 0 | 4 | 32:14 | 18 | 27 | 12 | 3 | 1 | 8 | 8:22 | -14 | 10 |
| 9 ლაუტერნი | 25 | 10 | 6 | 9 | 33:32 | 1 | 36 | 13 | 8 | 2 | 3 | 18:11 | 7 | 26 | 12 | 2 | 4 | 6 | 15:21 | -6 | 10 |
| 10 ჰანოვერი | 25 | 9 | 5 | 11 | 27:29 | -2 | 32 | 13 | 5 | 2 | 6 | 16:16 | 0 | 17 | 12 | 4 | 3 | 5 | 11:13 | -2 | 15 |
| 11 არმინია | 25 | 9 | 5 | 11 | 30:34 | -4 | 32 | 12 | 5 | 3 | 4 | 16:14 | 2 | 18 | 13 | 4 | 2 | 7 | 14:20 | -6 | 14 |
| 12 დორტმუნდი | 25 | 8 | 8 | 9 | 29:34 | -5 | 32 | 12 | 4 | 4 | 4 | 14:13 | 1 | 16 | 13 | 4 | 4 | 5 | 15:21 | -6 | 16 |
| 13 ნიურნბერგი | 25 | 7 | 7 | 11 | 43:47 | -4 | 28 | 12 | 2 | 5 | 5 | 18:20 | -2 | 11 | 13 | 5 | 2 | 6 | 25:27 | -2 | 17 |
| 14 გლადბახი | 25 | 7 | 7 | 11 | 27:39 | -12 | 28 | 13 | 7 | 2 | 4 | 21:18 | 3 | 23 | 12 | 0 | 5 | 7 | 6:21 | -15 | 5 |
| 15 მაინცი | 25 | 7 | 6 | 12 | 32:40 | -8 | 27 | 12 | 6 | 3 | 3 | 19:12 | 7 | 21 | 13 | 1 | 3 | 9 | 13:28 | -15 | 6 |
| 16 ჰანზა | 25 | 4 | 8 | 13 | 22:48 | -26 | 20 | 13 | 1 | 4 | 8 | 10:28 | -18 | 7 | 12 | 3 | 4 | 5 | 12:20 | -8 | 13 |
| 17 ბოხუმი | 25 | 4 | 7 | 14 | 30:53 | -23 | 19 | 13 | 3 | 5 | 5 | 20:22 | -2 | 14 | 12 | 1 | 2 | 9 | 10:31 | -21 | 5 |
| 18 ფრაიბურგი | 25 | 3 | 7 | 15 | 20:53 | -33 | 16 | 12 | 2 | 4 | 6 | 11:20 | -9 | 10 | 13 | 1 | 3 | 9 | 9:33 | -24 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მინტალი (ნიურნბერგი) | 21 |
| ბაკლი (არმინია) | 15 |
| კლოზე (ვერდერი) | 12 |
| მაკაი (ბაიერნი) | 12 |
| მარსელინიო (ჰერტა) | 12 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 12 |
| აილტონი (შალკე) | 12 |

### XXVI ტური

19-20 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ლევერკუზენი | : | ლაუტერნი |
| შტუტგარტი | : | ფრაიბურგი |
| ჰამბურგი | : | დორტმუნდი |
| ჰერტა | : | არმინია |
| ჰანოვერი | : | გლადბახი |
| ბოხუმი | : | ვოლფსბურგი |
| ბაიერნი | : | ჰანზა |
| მაინცი | : | შალკე |
| ნიურნბერგი | : | ვერდერი |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

**XXV ტური**

ვოლფსბურგი (მ) — ვერდერი (მ) 0:1; დიუსელდორფი — ვუპერტალი 2:0; კილი — დორტმუნდი (მ) 3:1; იურდინგენი — ქემნიცი 0:3; კიოლნი (მ) — არმინია (მ) 1:1. *ბრაუნშვაიგი — მიუნსტერი, ჰერტა (მ) — ლიუბეკი, ოსნაბრიუკი — პადერბორნი და ჰამბურგი (მ) — უნიონი გადაიდო*

### სამხრეთ რეგიონალლიგა

**XXIII ტური**

ოფენბახი — ჰოფენჰაიმი 6:2; მაინცი (მ) — ნოტინგენი 0:1. *კობლენცი — ზიგენი, მიუნხენი (მ) — ბაიერნი (მ), ფოიხტი — ელვერსბერგი, კიკერსი — რეგენსბურგი, აალენი — პფულენდორფი, აუგსბურგი — შტუტგარტი (მ) და ვეჰენი — დარმშტადტი გადაიდო*

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. XXVIII ტური

**ბარსელონა 2:0 ბილბაო**

1:0 ლუის პრიეტო (19ს.კ.), 2:0 ჟიული (38)
ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, სილვინიო, ხავი, მარკესი (ალბერტინი 65), ჟიული, დეკო (ინიესტა 65), რონალდინიო, ეტოო (მაქსი ლოპესი 77)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ბილბაო: არანსუბია, ლაკრუსი, ლუის პრიეტო, ორბაისი, მურილიო, დელ ორნო, ხავი გონსალესი (ლორენტე 46), ირაოლა, გურპეგი (ტიკო 61), ესკერო, ეჩებერია (იულენ გერერო 79)
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: დეკო, პუიოლი, დელ ორნო, ალბერტინი, რონალდინიო, ლაკრუსი, სილვინიო
მსაჯი: მეხია დავილა
80 000 მაყურებელი

**ხეტაფე 2:1 რეალი**

1:0 ალბიოლი (37), 2:0 რიკი (47), 2:1 სოლარი (88)
ხეტაფე: არაგონესესი, იანგუასი, მ. პერნია, ბელენგერი, დ. რივასი, გაბი (კომე 60), რ. ალბიოლი, ვივარ დორადო, მარიო კოტელო, კრაიოვიანუ (მიჩელი 66), რიკი (იორდი 73)
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
რეალი: კასილიასი, რაულ ბრავო (პალენსია 60), ი. ელგერა, ვ. სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ (ოუენი 64), გუტი, გრავესენი, ზიდანი (სოლარი 68), რაული, რონალდო
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო
გაფრთხილება: ალბიოლი, სამუელი, გრავესენი, მარიო კოტელო, იორდი, ელგერა, კომე, გუტი
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
14 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 1:0 ვალენსია**

1:0 ტორესი (12)
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ველასკო, ა. ლოპესი, სერხი, პერია (გარსია კალვო 30), პაბლო, კოლსა, ხორხე (რ. ნუნიესი 67; მარსელო სოსა 82), გრონკიაერი, ლუქსენი, ფ. ტორესი
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
ვალენსია: კანისარესი, ფ. აურელიო (ფიორე 82), რ. აიალა, მარჩენა, კარბონი, დ. ნავარო, ალბელდა, სისოკო (დი ვაიო 64), რუფეტე (ხისკო 64), აიმარი, მისტა
მწვრთნელი: ანტონიო ლოპესი
გაფრთხილება: სისოკო, გრონკიაერი, ლოპესი, ლუქსენი, პაბლო, მარჩენა, მარსელო სოსა, კანისარესი, ალბელდა
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
54 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 4:1 ესპანიოლი**

1:0 ფორლანი (25), 1:1 ლოპო (30), 2:1 სორინი (49), 3:1 რიკელმე (56პ), 4:1 ფიგეროა (82)
ვილიარეალი: რეინა, გონსალო, არუაბარენა, სორინი (ს. კაზორლა 75), კიკე ალვარესი, ხავი ვენტა, ხოსიკო, რიკელმე (ექტორ ფონტი 86), მარკოს სენა, ფორლანი, გიარე (ფიგეროა 46)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
ესპანიოლი: კამენი, იბარა, დავიდ გარსია, ლოპო, სოლდევილა, ხარკე, იტო (კორო 61), მაქსი როდრიგესი, დანი, ტამუდო, ოსკარ სერანო (დე ლა პენია 73)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: იტო, კამენი
მსაჯი: მედინა კანტალეხო
22 000 მაყურებელი

# რეალმა ჩემპიონი გამოაცხადა



REUTERS მადრიდიდან

ხოსე მარია გუტიმ „რეალი" უკვე გამოიტირა

**სევილია 0:1 სარაგოსა**

0:1 მილიტო (33)
სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო, დავი კასტედო, პაბლო ალფარო (კეპა 46), დანიელ ალვესია, ბაპტისტა, რენატო, ადრიანო, მარტი, ხესუს ნავასი (ფერნანდო სალასი 70), ანტონიტო (დარიო სილვა 46)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
სარაგოსა: ლუისი, არანსაბალი, კუარტერო (პონციო 60), გ. მილიტო, კაპი, გალეტი, სავიო, ოსკარი (ხენერელო 78), მოვილია, საპატერი, ვილა (ჩანი 69)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: კუარტერო, ვილა, დანიელ ალვესი, დარიო სილვა
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
35 000 მაყურებელი

**მალაგა 1:2 ბეტისი**

0:1 ხუანიტო (4), 0:2 ედუ (17), 1:2 ფერნანდო (25)
მალაგა: არნაუ, ლიტოსი, ხუანიტო, ვალკარსე, ფ. სანსი (ამოროზო 72), ხერარდო, მ. რომერო, დუდა, მიგელ ანხელი, ხუან როდრიგესი (ტოტე 31), ფერნანდო (ვანჩოპე 68)
მწვრთნელი: ანტონიო ტაპია
ბეტისი: დობლასი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, რივასი, მელი, არზუ (ბენხამინი 84), ფერნანდო (კანიასი 68), ხოაკინი (ვარელა 89), მ. ასუნსაო, რ. ოლივეირა, ედუ
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: მელი, ხუანიტო, ვანჩოპე, არზუ
მსაჯი: ესკინას ტორესი
20 000 მაყურებელი

**ალბასეტე 0:1 დეპორტივო**

0:1 კოლოჩინი (37)
ალბასეტე: ვალბუენა, ოსკარ მონტიელი (ალვარო 46), მინგო, გასპარი, სანტი, პაკო პენია, ფრანსისკო (ოლივერა 63), მარკ გონსალესი, პაჩეკო, მიკელი, პერალტა (ხ. რედონდო 81)
მწვრთნელი: მარტინ მონტეაგუდო
დეპორტივო: მუნუა, რომერო, კოლოჩინი, ჟორჟე ანდრადე, დუშერი, სერხიო, სკალონი, ვიქტორი, ვალერონი (პაბლო ამო 88), ტრისტანი (ლუკე 69), მუნიტისი (ფრანი 81)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: მუნიტისი, სანტი, მინგო
მსაჯი: პერეს ლასა
16 000 მაყურებელი

**ლევანტე 4:0 ოსასუნა**

1:0, 2:0 ხუანმა (7, 21), 3:0 მანჩევი (36), 4:0 სერხიო გარსია (63)
ლევანტე: მორა, ალექსისი (მარტი 76), პინილიოსი, ხესულე, კულებრასი, კამაჩო, რივერა, ხოფრე, ხუანმა, სერხიო გარსია (კონგო 82), მანჩევი (ტიტო 71)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
ოსასუნა: ელია, კუელიარი, კრუჩაგა, ექსპოზიტო, კორალესი, პაბლო გარსია, ორტისი (მიგელ ფლანიო 46), პუნიალი (მოა 70), დელპორტი (მუნიოსი 46), ვებო, ჩენგე მორალესია
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: დელპორტი, ვებო, ალექსისი, ექსპოზიტო, მოა
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
20 000 მაყურებელი

**სოსიედადი 2:1 ნუმანსია**

1:0 კოვაჩევიჩი (8), 1:1 ტევენეტი (49), 2:1 ბარკერო (85)
სოსიედადი: რიესგო, როსატო (ბრეშე 88), ლუის ალბერტო, ლაბაკა, ლოპეს რეკარტე, კარპინი, არანზუბრუ (ბარკერო 71), მიკელ ალონსო, ხაბიერ პრიეტო (დე პაულა 71), კოვაჩევიჩი, გარი ურანგა
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
ნუმანსია: ხუანმა, პინიოლი, ოჩოა, ტარანტინო, ხუან პაბლო, მიგელ პერესი (ხუან მორენო 80), მერინო (ტევენეტი 12), ხუანლუ, პალასიოსი, როსი (პულპო გონსალესი 36), მიგელი
მწვრთნელი: მაქსიმო ერნანდესი
გაფრთხილება: როსი, პულპო გონსალესი, ლოპეს რეკარტე
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
23 000 მაყურებელი

**რასინგი 3:0 მალიორკა**

1:0 ანდერსონი (1), 2:0 აგანსო (4), 3:0 ბენაიუნი (51)
რასინგი: აუატე, კასარი, მორატიონი, ხუანმა, რეგრაგი, მორანი, მ. რეგუერო, ანდერსონი (პარი 85), აგანსო (ტორადო 75), ხავი გერერო, ბენაიუნი (პარი 85)
მწვრთნელი: ნანდო იოსუ
მალიორკა: მოია, ივან რამისი, დავიდ კორტესი (ტუნი 53), პოლი, ბალესტეროსი, დე ლოს სანტოსი, კამპანო, არანგო, ფელიპე (ხორხე ლოპესი 66), ლუის გარსია, რომეო (კორეა 70)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ხუანმა, დე ლოს სანტოსი, ანდერსონი, პოლი
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
16 000 მაყურებელი

**ვისთვის** სამწუხაროდ, ვისთვის კი პირიქით, პრიმერადივიზიონის მიმდინარე სეზონმა მთავარი ინტრიგა დაკარგა. გუშინ „რეალმა" „ბარსელონას" დაწევის ბოლო შანსი გაუშვა ხელიდან.

რატომ ბოლო? იკითხავს მადრიდული კლუბის გამოუსწორებელი ოპტიმისტი გულშემატკივარი და დაითვლის რომ 11-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა „რეალს" თეორიულად ჯერ კიდევ შეუძლია.

ჩვენც მანდ ვართ, მაგრამ საქმე ის არის, რომ თავად მადრიდელები ამბობენ, შანსი აღარ გვაქვსო და რაკი აღიარებენ...

თუმცა ჯერ „ბარსას" თამაშზე ვთქვათ.

„ბარსელონამ" ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსისთან" მარცხი „ბილბაოსთან" მოგებით „აინაზღაურა".

ფრანკ რაიკარდის ბიჭებმა ბასკ მეტოქეს თავისუფლად ნავარდის საშუალება მხოლოდ პირველი ტაიმის საწყის ათ წუთში მისცეს, მერე კი არანსუბიას კარზე დაიგეშნენ ისე, რომ საცოდავ ბასკ მცველს, ლუის პრიეტოს მე-19 წუთზე საკუთარ კარში გაატანინეს ბურთი — დეკომ შორიდან დაარტყა, უიღბლო პრიეტომაც აისხლიტა. ტაიმის მიწურულს კი ლუდოვიკ ჟიულიმ შეაგდო მეორე გოლი ჩახვეული დარტყმით, ფრანგს რონალდინიომ უპასა ჩინებულად.

შესვენებისას „კამპ ნოუზე" შეკრებილმა ხალხმა დიდი ჰოლანდიელისა და „ბარსელონას" ოდინდელი მწვრთნელის, რინუს მიხელსის ხსოვნას პატივი ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით მიაგო.

მეორე ტაიმში კი, ყველას გასაკვირად, „ბარსელონა" დადგა — 2:0 საკმარისიაო, იფიქრეს ალბათ კატალონიელებმა და ხოსება ეჩებერია და ძმანი მისნი ამოქმედდნენ, მაგრამ უნაღდეს მომენტებს ვერ იყენებდნენ: „ბილბაოს" კაპიტანი ვიქტორ ვალდესთან ორჯერაც დარჩა პირისპირ, თუმც „ბარსას" მეკარის დაჯაბვნა ვერ შეძლო.

„რეალი" კი გუშინ „ხეტაფესთან" დამარცხდა, რის მერეც ხოსე მარია გუტიერესმა, იგივე გუტიმ, თქვა: „ჩვენი გაჩემპიონება პრაქტიკულად წარმოუდგენელია. საქმე მხოლოდ 11-ქულიან სხვაობაში არ არის. ჩვენ ვერა და ვერ ვიპოვეთ ჩვენი თამაში."

„რეალის" გულშემატკივრების დასამშვიდებლად ვერც ვანდერლეი ლუშემბურგომ თქვა რამე: „ვერ ამიხსნია, რა გვემართება. ერთადერთი რაც დანამდვილებით ვიცი, ის არის, რომ „ხეტაფემ" აბსოლუტურად დამსახურებულად გაიმარჯვა. იმედი მაქვს, სეზონის დარჩენილ [illegible] მუყაითად გამოვიყენებთ და მეორე ადგილს მაინც დავიკავებთ."

დავძინოთ, რომ „რეალმა" ბოლო ხუთი საპრიმერო მატჩიდან სამი წააგო. ამას „იუვენტუსთან" მარცხიც შეგიძლიათ მიათვალოთ.

თუმცა, ლუშემბურგოს თქმისა არ იყოს, ძნელად რომ „რეალი" მეორე ადგილსაც ასცდეს. მთავარი ბრძოლა კი აწი ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი კიდევ ორი ადგილისთვის გაიმართება.

ამ ბრძოლაში უშუალო მოქიშპის, „სევილიას" განადგურების მერე „ვილიარეალი" დაწინაურდა და ერთხელაც დაამტკიცა, რომ დიეგო ფორლანი და ხუან რომან რიკელმე ნაადრევად ჩამოსაწერნი არ იყვნენ.

ისე, სევილიელებს კიდევ გაუმართლათ, რაკი ლიგაში მოხვედრის სხვა მსურველებიც დამარცხდნენ. „სევილიამ" შინ „სარაგოსასთან" წააგო, ვალენსია" კი მადრიდში „ატლეტიკოსთან" დამარცხდა.

„სევილიასთვის" ეს მიჯრით მეხუთე მოუგებელი თამაში გამოდგა, ერთადერთი გოლი კი თავის დროზე „რეალისგან" დაწუნებულმა არგენტინელმა მცველმა გაბრიელ მილიტომ თავურით გაიტანა.

„ვალენსიას" კი ასევე თავურით, ფერნანდო ტორესმა შეუგდო. გოლი ადრიანად გავიდა, რის მერეც ვალენსიელებმა ლონივრად შეუტიეს და თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში საკმაო უპირატესობასაც ფლობდნენ. მაგრამ ჩემპიონს აქედან არაფერი გამოუვიდა და მეშვიდე, მისთვის არასაპატიო ადგილზე ჩავარდა.

**ლადო ხომერიკი**

## სეგუნდადივიზიონი

### XXVIII ტური

**ფეროლი 1:2 სელტა**

0:1 კანობიო (22), 1:1 მარიო (44პ), 1:2 ანხელი (82)

**პოლი ეხიდო 1:0 ხიმნასტიკი**

1:0 პედრო ვეგა (50)

**ტენერიფე 1:0 ხერესი**

1:0 კეკო (68)

**ვალიადოლიდი 1:2 ეიბარი**

1:0 ხაირო (9), 1:1 სილვა (13), 1:2 ლორენტე (51)

**კადისი 0:1 მურსია**

0:1 კარერა (89)

**მალაგა B 0:1 უელვა**

0:1 ასკორა (44)

**სალამანკა 2:1 სპორტინგი**

1:0 რობერტი (25), 1:1 პაბლო ალვარესი (65), 2:1 ზე ტო (79)

**კორდობა 3:0 ალმერია**

1:0 ვილა (60), 2:0 რუანო (68), 3:0 ანდერსონი (81)

**ელჩე 2:1 ლეირა**

0:1 კრუსატი (67), 1:1, 2:1 მოიზესი (85, 86პ)

**სიუდად მურსია 2:0 ტერასა**

1:0, 2:0 გუიზა (3, 12)

**პონტევედრა 1:3 ალავესი**

0:1 რუბენ ნავარო (23), 1:1 ხავი როდრიგო (53), 1:2 ნენე (54), 1:3 რუბენ ნავარო (55)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტა | 28 | 15 | 10 | 3 | 39:22 | 55 |
| ეიბარი | 28 | 15 | 7 | 6 | 38:26 | 52 |
| კადისი | 28 | 14 | 7 | 7 | 42:21 | 49 |
| ელჩე | 28 | 14 | 6 | 8 | 39:31 | 48 |
| უელვა | 28 | 13 | 8 | 7 | 29:18 | 47 |
| ალავესი | 28 | 13 | 6 | 9 | 41:35 | 45 |
| ვალიადოლიდი | 28 | 12 | 8 | 8 | 39:33 | 44 |
| ხერესი | 28 | 11 | 10 | 7 | 26:22 | 43 |
| ხიმნასტიკი | 28 | 12 | 6 | 10 | 28:25 | 42 |
| ტენერიფე | 28 | 9 | 12 | 7 | 26:29 | 39 |
| სპორტინგი | 28 | 10 | 8 | 10 | 29:26 | 38 |
| პოლი ეხიდო | 28 | 9 | 11 | 8 | 28:26 | 38 |
| ლეიდა | 28 | 10 | 5 | 13 | 32:36 | 35 |
| ფეროლი | 28 | 8 | 10 | 10 | 39:34 | 34 |
| სალამანკა | 28 | 9 | 5 | 14 | 36:41 | 32 |
| მალაგა B | 28 | 8 | 8 | 12 | 21:32 | 32 |
| მურსია | 28 | 9 | 5 | 14 | 22:38 | 32 |
| სიუდად მურსია | 28 | 6 | 12 | 10 | 33:41 | 30 |
| ტერასა | 28 | 8 | 6 | 14 | 30:39 | 30 |
| ალმერია | 28 | 7 | 8 | 13 | 23:33 | 29 |
| კორდობა | 28 | 6 | 6 | 16 | 19:31 | 24 |
| პონტევედრა | 28 | 3 | 10 | 15 | 25:45 | 19 |

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბარსელონა | 28 | 20 | 5 | 3 | 53:18 | 35 | 65 | 15 | 12 | 2 | 1 | 30:6 | 24 | 38 | 13 | 8 | 3 | 2 | 23:12 | 11 | 27 |
| 2 რეალი | 28 | 17 | 3 | 8 | 48:25 | 23 | 54 | 14 | 11 | 0 | 3 | 31:9 | 22 | 33 | 14 | 6 | 3 | 5 | 17:16 | 1 | 21 |
| 3 ვილიარეალი | 28 | 13 | 8 | 7 | 48:26 | 22 | 47 | 14 | 10 | 3 | 1 | 29:8 | 21 | 33 | 14 | 3 | 5 | 6 | 19:18 | 1 | 14 |
| 4 ბეტისი | 28 | 12 | 9 | 7 | 45:36 | 9 | 45 | 14 | 9 | 4 | 1 | 26:14 | 12 | 31 | 14 | 3 | 5 | 6 | 19:22 | -3 | 14 |
| 5 ესპანიოლი | 28 | 13 | 6 | 9 | 35:33 | 2 | 45 | 13 | 9 | 3 | 1 | 21:10 | 11 | 30 | 15 | 4 | 3 | 8 | 14:23 | -9 | 15 |
| 6 ვალენსია | 28 | 11 | 10 | 7 | 41:29 | 12 | 43 | 14 | 8 | 4 | 2 | 23:12 | 11 | 28 | 14 | 3 | 6 | 5 | 18:17 | 1 | 15 |
| 7 სევილია | 28 | 12 | 7 | 9 | 32:33 | -1 | 43 | 14 | 8 | 4 | 2 | 20:14 | 6 | 28 | 14 | 4 | 3 | 7 | 12:19 | -7 | 15 |
| 8 ატლეტიკო | 28 | 12 | 6 | 10 | 32:25 | 7 | 42 | 14 | 10 | 3 | 1 | 20:8 | 12 | 33 | 14 | 2 | 3 | 9 | 12:17 | -5 | 9 |
| 9 დეპორტივო | 28 | 10 | 12 | 6 | 38:35 | 3 | 42 | 14 | 5 | 6 | 3 | 21:20 | 1 | 21 | 14 | 5 | 6 | 3 | 17:15 | 2 | 21 |
| 10 ბილბაო | 27 | 10 | 8 | 9 | 42:36 | 6 | 38 | 13 | 8 | 4 | 1 | 29:16 | 13 | 28 | 14 | 2 | 4 | 8 | 13:20 | -7 | 10 |
| 11 სარაგოსა | 28 | 11 | 5 | 12 | 33:40 | -7 | 38 | 13 | 9 | 0 | 4 | 21:16 | 5 | 27 | 15 | 2 | 5 | 8 | 12:24 | -12 | 11 |
| 12 სოსიედადი | 28 | 10 | 5 | 13 | 36:40 | -4 | 35 | 14 | 7 | 3 | 4 | 17:19 | -2 | 24 | 14 | 3 | 2 | 9 | 19:21 | -2 | 11 |
| 13 ლევანტე | 28 | 9 | 7 | 12 | 33:40 | -7 | 34 | 14 | 6 | 4 | 4 | 18:15 | 3 | 22 | 14 | 3 | 3 | 8 | 15:25 | -10 | 12 |
| 14 მალაგა | 28 | 10 | 4 | 14 | 27:36 | -9 | 34 | 15 | 7 | 3 | 5 | 16:17 | -1 | 24 | 13 | 3 | 1 | 9 | 11:19 | -8 | 10 |
| 15 ხეტაფე | 27 | 8 | 8 | 11 | 27:31 | -4 | 32 | 15 | 8 | 3 | 4 | 19:12 | 7 | 27 | 12 | 0 | 5 | 7 | 8:19 | -11 | 5 |
| 16 რასინგი | 28 | 8 | 7 | 13 | 29:40 | -11 | 31 | 14 | 6 | 5 | 3 | 20:16 | 4 | 23 | 14 | 2 | 2 | 10 | 9:24 | -15 | 8 |
| 17 ოსასუნა | 28 | 8 | 7 | 13 | 36:51 | -15 | 31 | 14 | 6 | 4 | 4 | 22:20 | 2 | 22 | 14 | 2 | 3 | 9 | 14:31 | -17 | 9 |
| 18 ალბასეტე | 28 | 5 | 9 | 14 | 25:41 | -16 | 24 | 15 | 3 | 6 | 6 | 10:15 | -5 | 15 | 13 | 2 | 3 | 8 | 15:26 | -11 | 9 |
| 19 მალიორკა | 28 | 6 | 6 | 16 | 28:48 | -20 | 24 | 13 | 4 | 3 | 6 | 20:22 | -2 | 15 | 15 | 2 | 3 | 10 | 8:26 | -18 | 9 |
| 20 ნუმანსია | 28 | 4 | 8 | 16 | 19:44 | -25 | 20 | 13 | 3 | 6 | 4 | 11:14 | -3 | 15 | 15 | 1 | 2 | 12 | 8:30 | -22 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 18 |
| ფორლანი (ვილიარეალი) | 17 |
| რ. ოლივეირა (ბეტისი) | 15 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 15 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 13 |
| ბაპტისტა (სევილია) | 13 |
| რიკელმე (ვილიარეალი) | 13 |

**XXIX ტური**

19-20 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ბეტისი | : | ალბასეტე |
| სარაგოსა | : | ატლეტიკო |
| დეპორტივო | : | ბარსელონა |
| ნუმანსია | : | რასინგი |
| ესპანიოლი | : | სოსიედადი |
| მალიორკა | : | სევილია |
| ვალენსია | : | ხეტაფე |
| ბილბაო | : | ლევანტე |
| ოსასუნა | : | ვილიარეალი |
| რეალი | : | მალაგა |



REUTERS

ნიცა — სტრასბური. მასპინძელი რობერტო ბისკონტი სტუმარმა იასინ აბდესადეკმა არ გაატარა

# სიდნეიმ მარსელი არ გაახარა
## რატომ წააგო პსჟ–მ?

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXIX ტური**

**ლიონი 2:1 ისტრი**

1:0 ჟუნინიო (20), 1:1 მ. ნდიაიე (31), 2:1 გოვუ (78)

**აიაჩო 1:0 პსჟ**

1:0 ანდრე ლუიზი (16პ)

**ბორდო 2:0 სენტ ეტიენი**

1:0 დარშევილი (16), 2:0 შამახი (90)

**მარსელი 2:1 ლანსი**

0:1 უტაკა (29), 1:1, 2:1 მარლე (31, 32)

**მეცი 1:1 რენი**

1:0 ბორბიკონი (23), 1:1 ა. ფრეი (45)

**ნანტი 2:0 კაენი**

1:0 ბაგაიოკო (13), 2:0 კეხერუ (90)

**ნიცა 0:0 სტრასბური**

**სოშო 1:0 ბასტია**

1:0 ილანი (1)

**ლილი 1:1 ტულუზი**

1:0 ოდემვინგი (60), 1:1 დ. მორეირა (74)

**ოსერი 2:2 მონაკო**

0:1 ჟ. როდრიგესი (46), 1:1 პიერონი (63), 1:2 მოდესტო (68), 2:2 ჟაური (78პ)

**ჩემპიონთა** ლიგაში „ვერდერის" განადგურებით ფრთაშესხმულმა „ლიონმა" ბოლოადგილოსან „ისტრთან" მატჩიც ლაღად, შეტევებით დაიწყო. პოლ ლე გუენის შეგირდებმა ანგარიშიც მალე გახსნეს, მაგრამ სტუმრებმა იქვე გაათანაბრეს და საბოლოოდ ქულასაც წაიღებდნენ, ოდნავ იღბალიც რომ წახმარებოდათ.

მასპინძლები ჟუნინიომ დააწინაურა, რომელმაც მორიგი ლამაზი ჯარიმით გამოიჩინა თავი, ხოლო მთლიანად სეზონში მე-10 გოლი გაიტანა. 31-ე წუთზე კი ლორან კურტუამ კუთხურიდან ახლო ძელთან ჩააწოდა ბურთი, სადაც პირველი ისტრელთა სენეგალელი ფორვარდი მახტარ ნდიაიე გაჩნდა და მძლავრი თავური დარტყმით აიღო გრეგორი კუპეს კარი.

ამის შემდეგ, სტუმრები მხოლოდ საკუთარი კარის დაცვაზე ზრუნავდნენ და 77-ე წუთამდე ეს მშვენივრად გამოსდიოდათ. მათი მეკარე ლორან ვებერი მთელი მატჩის განმავლობაში ბრწყინვალედ თამაშობდა, მაგრამ სიდნეი გოვუმ მას არანაირი შანსი არ დაუტოვა და „ლიონს" მნიშვნელოვანი სამი ქულა მოუტანა.

შესაბამისად, „ლიონმა" 8-ქულიანი ჰანდიკაპი შეინარჩუნა, ხოლო „ისტრი" კიდევ უფრო გამაგრდა ბოლო ადგილზე და პირველ დივიზიონში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება.

გაუჭირდა „ლიონის" უახლოეს მდევარ „მარსელსაც", მაგრამ საბოლოო ჯამში ფილიპ ტრუსიეს გუნდმაც იმარჯვა. „ლანსი" 29-ე წუთზე ჯონ უტაკას გოლით დაწინაურდა, მაგრამ ორი წუთიც არ გასულიყო, სტუმართა მცველებმა უყურადღებოდ რომ ითამაშეს და სტივ მარლემ ახლოდან გაათანაბრა.

გოლიდან წუთში მიზანს იმავე მარლეს თავურმა უწია, ხოლო მატჩის ბოლო წამებზე სტუმრებს ქულის გადარჩენის ჩინებული შანსი ჰქონდათ, მაგრამ ბურთი რამდენიმე მილიმეტრით ასცდა „მარსელის" კარს.

ისევ წააგო პსჟ-მ — პარიზელთა ქომაგები ტყუილად ფიქრობდნენ, რომ მათი გუნდი მდგომარეობიდან გამოვიდა. „სენ ჟერმენი" ისევ უსუსურად გამოიყურებოდა, „აიაჩოსთვის" კი ეს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იყო. კორსიკელებმა ამ მოგებით ელიტარულ დივიზიონში დარჩენის რეალური შანსი შეინარჩუნეს.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 29 | 16 | 11 | 2 | 41:16 | 59 |
| მარსელი | 29 | 15 | 6 | 8 | 37:27 | 51 |
| ლილი | 29 | 12 | 12 | 5 | 33:21 | 48 |
| მონაკო | 28 | 11 | 13 | 4 | 38:25 | 46 |
| ოსერი | 28 | 12 | 7 | 9 | 39:32 | 43 |
| ტულუზი | 28 | 11 | 9 | 8 | 29:27 | 42 |
| რენი | 29 | 11 | 7 | 11 | 33:32 | 40 |
| ბორდო | 29 | 8 | 15 | 6 | 31:25 | 39 |
| სოშო | 28 | 10 | 8 | 10 | 31:27 | 38 |
| ლანსი | 29 | 9 | 11 | 9 | 31:28 | 38 |
| სენტ ეტიენი | 28 | 8 | 13 | 7 | 34:27 | 37 |
| პსჟ | 29 | 8 | 12 | 9 | 28:32 | 36 |
| ნანტი | 29 | 8 | 9 | 12 | 24:28 | 33 |
| ნიცა | 29 | 7 | 12 | 10 | 32:40 | 33 |
| მეცი | 28 | 7 | 12 | 9 | 24:33 | 33 |
| სტრასბური | 28 | 7 | 10 | 11 | 31:34 | 31 |
| კაენი | 29 | 6 | 11 | 12 | 23:48 | 29 |
| აიაჩო | 28 | 5 | 13 | 10 | 21:29 | 28 |
| ბასტია | 29 | 6 | 8 | 15 | 21:35 | 26 |
| ისტრი | 29 | 3 | 13 | 13 | 17:32 | 22 |

**II დივიზიონი. XXIX ტური**

ამიენი — ლორიანი 0:0; კლერმონი — ანჟე 0:0; გრენობლი — ბრესტი 0:2; გენიონი — შატორუ 1:3; გენგამი — ლავალი 2:1; ლე ავრი — სედანი 0:0; ნიორი — ნანსი 1:2; რეიმსი — დიჟონი 0:5; ლე მანი — მონპელიე 2:0. კრეტეი — ტრუა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 29 | 16 | 6 | 7 | 42:27 | 54 |
| ლე მანი | 29 | 15 | 5 | 9 | 35:24 | 50 |
| სედანი | 29 | 13 | 8 | 8 | 29:26 | 47 |
| ტრუა | 27 | 13 | 6 | 8 | 45:37 | 45 |
| ბრესტი | 29 | 11 | 12 | 6 | 29:25 | 45 |
| დიჟონი | 29 | 10 | 12 | 7 | 32:25 | 42 |
| შატორუ | 29 | 9 | 15 | 5 | 35:29 | 42 |
| ლავალი | 29 | 12 | 6 | 11 | 33:32 | 42 |
| გენიონი | 29 | 10 | 11 | 8 | 24:25 | 41 |
| მონპელიე | 28 | 11 | 7 | 10 | 27:25 | 40 |
| გრენობლი | 29 | 10 | 9 | 10 | 35:35 | 39 |
| გენგამი | 28 | 10 | 6 | 12 | 35:35 | 36 |
| რეიმსი | 29 | 8 | 11 | 10 | 26:38 | 35 |
| ამიენი | 29 | 8 | 10 | 11 | 28:31 | 34 |
| ლორიანი | 28 | 9 | 6 | 13 | 33:38 | 33 |
| ანჟე | 29 | 7 | 11 | 11 | 28:34 | 32 |
| ლე ავრი | 29 | 8 | 7 | 14 | 18:27 | 31 |
| კლერმონი | 28 | 6 | 12 | 10 | 27:28 | 30 |
| კრეტეი | 27 | 6 | 9 | 12 | 24:28 | 27 |
| ნიორი | 29 | 6 | 7 | 16 | 23:39 | 25 |

# დაბდღვნილი დანფერმლაინი

### შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXX ტური**

**დანდი 0:2 რეინჯერსი**

0:1 ენდრიუსი (82), 0:2 რიკსენი (84)

**სელტიკი 6:0 დანფერმლაინი**

1:0 ჰართსონი (9), 2:0 მაკგიდი (62), 3:0 ჰართსონი (69), 4:0, 5:0 ს. პეტროვი (72, 75), 6:0 ბიტი (89)

**აბერდინი 3:0 ჰიბერნიანი**

1:0 ანდერსონი (12), 2:0 ველანი (13), 3:0 მაკი (85პ)

**ჰართსი 0:2 ინვერნესი**

0:1 დოდსი (55), 0:2 უილსონი (73პ)

**კილმარნოკი 3:0 დანდი იუნ.**

1:0, 2:0 ბოიდი (27, 78პ), 3:0 ინვინჩიბილე (88)

**ლივინგსტონი 1:1 მოზერუელი**

0:1 მაკდონალდი (19), 1:1 კრეიგანი (81ს.კ)



სელტიკი — დანფერმლაინი. სტანისლავ ვარგამ და გლაზგოელებმა მეტოქე ჰაერშიც დაჯაბნეს

**„სელტიკ პარკზე"** შეკრებილ 60 ათასამდე ქომაგს საყვარელმა გუნდმა სპექტაკლი აჩუქა. გლაზგოელებმა ბდღვირი ადინეს „დანფერმლაინს" და თანაქალაქელ „რეინჯერსთან" დოლი გააგრძელეს.

მასპინძლებს ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი, კრის სატონი აკლდათ, მაგრამ ეს მარტინ ონილის გუნდს არანაირად არ დასტყობიათ. გლაზგოელებმა მატჩი როგორც ჩვეულებრივ მწვავე იერიშებით დაიწყეს და გოლმაც არ დააყოვნა. მე-9 წუთზე ჯონ ჰართსონმა ალან ტომპსონის ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს დაუხვედრა ფეხი და სტუმართა მეკარე უშანსოდ დატოვა.

პირველ ტაიმში სელტიკელებმა კიდევ უამრავი მომენტი შექმნეს, მაგრამ მეორე გოლის გატანა ვეღარ შეძლეს. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში არ დაინდეს მეტოქე და კიდევ ხუთჯერ აიღეს სტილის კარი.

ჯერ ალან მაკგიდიმ იყოჩაღა, რომელიც ბელამის კარგი პასის შედეგად მეკარესთან პირისპირ დარჩა. შემდეგ იმავე ბელამის ჩაწოდებულს ჰართსონი შეეგება და თავისი მეორე გოლი შეაგდო. ამის შემდეგ გლაზგოელთა ბულგარელმა ლეგიონერმა სტილიან პეტროვმა იხეირა ორჯერ, ხოლო საბოლოო წერტილი შეხვედრას შეცვლაზე შესულმა კრეიგ ბიტიმ დაუსვა.

„დიდი ანგარიშით მოგება ძალიან გამიხარდა, რადგანაც ბურთების სხვაობა შესაძლოა მერე ძალიან გამოგვადგეს. ბოლო თამაშებში მაინცდამაინც დამაჯერებლად არ გამოვიყურებოდით, ამ ექვსმა გოლმა კი ცხადყო, რომ სასურველ ფორმას ვიბრუნებთ" — აღნიშნა „სელტიკის" თავკაცმა მარტინ ონილმა ნამატჩევს.

გუშინ კი „რეინჯერსმაც" მოიგო თავისი მატჩი. დაგეგმილი სამი ქულა „ჩაფრებმა" სტუმრად, დანდიში აიღეს. უქართველებოდ მოთამაშე გლაზგოელებმა ბოლო რვა წუთში გატეხეს მეტოქე, გოლები კი მცველებმა — მარვინ ენდრიუსმა და ფერნანდო რიკსენმა გაიტანეს.

ახლა „რეინჯერსი" მდევარ „სელტიკს" ისევ ოთხი ქულით უსწრებს და მთავარ მეტოქეზე ორი თამაშით მეტი აქვს ჩატარებული.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 30 | 23 | 6 | 1 | 63:14 | 75 |
| სელტიკი | 28 | 23 | 2 | 3 | 65:22 | 71 |
| აბერდინი | 29 | 14 | 6 | 9 | 33:26 | 48 |
| ჰიბერნიანი | 29 | 14 | 5 | 10 | 47:42 | 47 |
| ჰართსი | 29 | 11 | 9 | 9 | 32:28 | 42 |
| მოზერუელი | 29 | 11 | 6 | 12 | 35:35 | 39 |
| კილმარნოკი | 30 | 11 | 2 | 17 | 38:50 | 35 |
| ინვერნესი | 28 | 8 | 9 | 11 | 34:37 | 33 |
| დანფერმლაინი | 29 | 6 | 8 | 15 | 25:46 | 26 |
| დანდი | 29 | 6 | 6 | 17 | 28:56 | 24 |
| ლივინგსტონი | 29 | 6 | 5 | 18 | 24:49 | 23 |
| დანდი იუნ. | 29 | 4 | 10 | 15 | 29:48 | 22 |

**I დივიზიონი. XXX ტური**

ერდრი — ფოლკირკი 2:2; კლაიდი — ქუინი 0:1; ჰამილტონი — სენტ მირენი 0:0; პარტიკი — როსი 0:0; რეითი — სენტ ჯონსტონი 1:2

**II დივიზიონი. XXX ტური**

ალოა — ბრეჩინი 1:1; ბერვიკი — სტირლინგი 2:2; ფორფარი — დამბარტონი 6:0; მორტონი — ეარი 2:1; სტრანრარი — არბროთი 3:3

**III დივიზიონი. XXX ტური**

ისტ სტირლინგი — კოუდენბითი 2:1; გრეტნა — ქუინზ პარკი 4:0; მონტროუზი — ელგინი 2:0; პიტერჰედი — ალბიონი 2:3; სტენჰაუზმური — ისტ ფაიფი 1:2

# რა მოხდა როიალ პარკ ჰოტელში
## ოფიციანტმა კოული კომისიასთან ჩაუშვა

*გუშინ პრემიერლიგის საგანგებო კომისიის წინაშე „ჩელსიმ" აღიარა, რომ მართლაც შეხვდა „არსენალის" გვერდის ავლით ამ კლუბის ფეხბურთელს, ეშლი კოულს ოღონდაც, „ჩელსის" წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ შეხვედრის ინიციატორი თავად კოული იყო, რაც იმაში გამოიხატა, რომ მოლაპარაკებებს კოულის აგენტი, ჯონათან ბარნეტი აწარმოებდა*



**კომისიის** წინაშე წარსდგნენ „ჩელსის" დირექტორი პიტერ კინიონი და მენეჯერი ჟოზე მაურინიუ, რომლებმაც განმარტეს, რომ „ჩელსის" არავითარი კონტრაქტი არ შეუთავაზებია კოულისთვის, ამ ფეხბურთელის ყიდვა საერთოდ არ აინტერესებთ. ახლა კომისია კოულის აგენტს, ბარნეტს უნდა გაესაუბროს.

„არსენალის" ბოსმა, არსენ ვენგერმა კი, რომელმაც შაბათს, სათასო მატჩი გააცდენინა კოულს, თქვა: „სამწუხარო ისტორიაა, შენმა მეზობელმა თავისი გავლენა ასე არ უნდა გამოიყენოს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, ლიგამ ამას პასუხი უნდა გასცეს. ასეთი რამ ძალიან მოქმედებს გუნდზე".

კოულ-„ჩელსის" შეხვედრის ისტორია კი ლონდონის „როიალ პარკ ჰოტელში" ქვეყანას ამ სასტუმროს ოფიციანტმა რეი მესონმა მოჰფინა — აქამდე, კოულის აგენტი ბარნეტი ამ შეხვედრის ფაქტს უარყოფდა, როცა საქმე ოფიციალურ იერს მიიღებს, კომენტარს მაშინ გავაკეთებო. ახლა კი ამბობს: „ეს ცინიზმია, თითქოს მე მოვაწყვე. აქამდე პატივს ვცემდი კომისიას და არაფერს ვამბობდი".

ოღონდაც, ამ ნათქვამს ფასი ნაკლები ექნება, რადგან „ჩელსი" ამბობს, რომ ბარნეტმა დაურეკა სუპერაგენტ პინი ზაჰავის და შეხვედრის მოწყობა სთხოვა. ზაჰავი კი ის კაცია, რომელმაც რომან აბრამოვიჩს თავის დროზე „ჩელსი" აყიდინა, მერე კი 12 ფეხბურთელი.

კოულის მხრის მოთხოვნა კვირაში 85 ათასი გირვანქა ყოფილა, რახან „არსენალში" მას 55 ათასი ჰქონია. „პარკ ჰოტელში" ოთახი ზაჰავის დაუჯავშნავს და ბარნეტიც იქ ყოფილა.

მოკლედ, თუ ეს ყველაფერი დამტკიცდება, ჯონათან ბარნეტი აგენტის ლიცენზიას დაკარგავს, კოულის ბედს კი „არსენალი" განსაზღვრავს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# 100 იუბილარი

დაარსდა: 14 მარტი, 1905
ინგლისის ჩემპიონი: 1 (1955)
ინგლისის ასოციაციის თასი: 3 (1970, 1997, 2000)
ინგლისის ასოციაციის თასის ფინალისტი: 4 (1915, 1967, 1994, 2002)
ინგლისის ლიგის თასი: 3 (1965, 1998, 2005)
ლიგის თასის ფინალისტი: 1 (1972)
ინგლისის სუპერთასი: 2 (1956, 2000)
ევროპის თასების მფლობელთა თასი: 2 (1971, 1998)
ევროპის სუპერთასი: 1 (1998)

## როგორ იცვლებოდა ლოგო

**1905 - 1952**

კლუბის პირველ ლოგოზე აღბეჭდილი მცხოვანი სამხედრო პირის გამო, „ჩელსიმ“ ასეთი მეტსახელი შეიძინა: პენსიონერები. საინტერესოა, რომ ეს ლოგო არასოდეს ამშვენებდა კლუბის მაისურს, თუმცა მატჩების პროგრამების გარეკანზე ეხატა

**1952 - 1953**

ტედ დრეიკმა, ვინაც „ჩელსის“ მენეჯერი1952-ში გახდა, მეტსახელი „პენსიონერები“ იწყინა და გადაწყვიტა, აქცენტი საკლუბო ფერზე — ლურჯზე გადაეტანა. ამისათვის ახალი ლოგო მოიგონა, რომელზეც კლუბის აბრევიატურა ლურჯ ფარზე იყო ამოტვიფრული. დრეიკმა მიზანს მიაღწია

**1953 - 1986**

კლუბის ყველაზე ცნობილი ემბლემა, რომლითაც 33 წლის განმავლობაში „ჩელსიმ“ თავის უდიდეს წარმატებებს მიაღწია. სწორედ ეს ემბლემა იყო პირველი, რომელიც კლუბის მაისურებზე ამოიტვიფრა. მისი დიზაინი კი „ჩელსის“ იმდროინდელ თავმჯდომარეს ერლ კადოგანს ეკუთვნის

**1986 - 2005**

კომერციული თვალსაზრისით ყველაზე ეფექტური „ჩელსის“ რიგით მეოთხე ლოგო გამოდგა. იმავდროულად გასაყიდად განკუთვნილ საკლუბო ატრიბუტებზე გამოიყენება ლოგოს სხვადასხვა ვარიანტები, რომლებშიც ლომი და აბრევიატურა წრეში ან ფარზეა აღბეჭდილი

**2005**

საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით კლუბმა ახალი ლოგო შექმნა, რომელიც ამა წლის მაისში ოფიციალურად გამოცხადდება „ჩელსის“ ახალ ემბლემად. ეს ლოგო კლუბის 50 წლის წინანდელი ლოგოს მიხედვით შეიქმნა და მის მოდერნიზებულ ვარიანტს წარმოადგენს

# ჩელსი ნახშირის საწყობიდან

*14 მარტი „ჩელსის“ დაბადების დღეა — დღეს ეს ლონდონური კლუბი 100 წლისა მოიყარა.*

*რას წარმოადგენს „ჩელსი“ დღეს, ვინძლო ყველამ იცოდეს, „ოქროს ხანას“ რასაც უწოდებენ, ლონდონელებს ასეთი დრო სწორედ ახლა უდგათ, მაგრამ ნაკლებად ცნობილია კლუბის დაარსების ისტორია და შეიძლება ითქვას, ეს სრულიად შემთხვევით მოხდა. ამ ასი წლის წინ „ფულემს“ სტადიონის დაქირავებაზე უარი რომ არ ეთქვა, „ჩელსი“ არ იარსებებდა...*

## მადლობა ფულემს უარისთვის



ასეთი იყო პირველად „სტემფორდ ბრიჯი“–

**ისტორია** 1877 წლიდან იწყება, როცა ლონდონში ახალი სტადიონი, „სტემფორდ ბრიჯი“ ააშენეს. სტადიონის მფლობელი ლონდონის სპორტული კლუბი იყო, თუმცა მიზეზთა გამო 1904 წელს სპორტულმა კლუბმა სტადიონი უძრავი ქონებით მოვაჭრე ლონდონელ გას მირსს მიჰყიდა. მირსი სპორტთან მაინცდამაინც ახლოს არ იდგა და „სტემფორდ ბრიჯის“ შეძენა მისთვის რიგითი კომერციული გარიგება იყო. ასეთი გათვლა ჰქონდა — იყიდდა სტადიონს და რომელიმე ლონდონურ კლუბს მიაქირავებდა. აქედან კი მუდმივი და სტაბილური შემოსავალი ექნებოდა.

მოკლედ მირსმა, თავის ძმასთან ერთად „სტემფორდ ბრიჯი“ იყიდა, შეალამაზა, იმ დროისთვის მართლაც საუკეთესო სტადიონად აქცია და დამქირავებელთა ძებნას შეუდგა. აქ კი მირსს იღბალმა უმტყუნა. სტადიონის დაქირავებით ერთადერთი ლონდონური კლუბი, „ფულემი“ დაინტერესდა, რომელსაც თავისი „კრივენ კოტეჯის“ ახალი არენით შეცვლა სურდა, მაგრამ გარიგება არ შედგა, მირსი და „ფულემი“ ფასზე ვერ შეთანხმდნენ.

საქმის ამგვარად შემობრუნებამ მირსი დაალონა, სტადიონზე გული აიცრუა და ერთი ხანობა „სტემფორდ ბრიჯის“ სარკინიგზო კომპანიისთვის მიყიდვასაც ფიქრობდა. რკინიგზელებს ნახშირის საწყობი სჭირდებოდათ და სტადიონის ამ მიზნით გამოყენებას აპირებდნენ...

ეგებ „სტემფორდ ბრიჯი“ მართლაც ქცეულიყო ნახშირის საწყობად, მირსის მეგობარი ფრედერიკ პარკერი რომ არა. მან მირსს ურჩია, რაკი სტადიონის დამქირავებელი ვერ მონახე, შენც ადექი და საკუთარი კლუბი დააარსეო. გას მირსს ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა.

მირსი კარგა ხანს ახალი კლუბის სახელზეც ფიქრობდა. რამდენიმე ვარიანტი იყო. მაგალითად, „კენსინგტონი“, ან სტადიონის სახელის მიხედვით, „სტემფორდ ბრიჯი“, მაგრამ ბოლოს ისევ პარკერის იდეამ გაიმარჯვა და კლუბის ნათლიაც გახდა. ახალ კლუბს „ჩელსი“ დაარქვეს.

ასე და ამგვარად, ასი წლის წინ, 1905 წლის 14 მარტს „ჩელსი“ ოფიციალურად დაარსდა.



– დღეს კი ასეთია

## მოედანსმიღმა ინტრიგები

**კლუბის** დაარსებას, ბუნებრივია, მომდევნო ნაბიჯი უნდა მოჰყოლოდა, ანუ „ჩელსის“ რომელიმე ლიგაში უნდა ეთამაშა. ჩელსელებმა განაცხადი იმ დროს ლონიერ სამხრეთ ლიგაში შეიტანეს, მაგრამ სამხრეთ ლიგის სხვა ლონდონელმა წევრებმა, „ფულემმა“ და „ტოტენჰემმა“ „ჩელსის“ თავისთან მიღება იუარეს, შეეშინდათ, რომ „ჩელსი“ მათი გულშემატკივრების ნაწილს თავისკენ გადაიბირებდა. „ფულემმა“ და „ტოტენჰემმა“ კარგად იმუშავეს, სამხრეთ ლიგის სხვა კლუბებიც თავისკენ გადაიბირეს და „ჩელსი“ ახლოს არ გაიკარეს.

მირსს და პარკერს, სხვა რომ არაფერი დარჩენოდათ, განაცხადი ინგლისის ფეხბურთის ლიგაში აფრინეს. ეს ლიგა ძირითადად ჩრდილოურ კლუბებს აერთიანებდა, მაგრამ ნელ-ნელა სამხრეთისკენაც მოიწევდა და ამდენად, ლონდონური კლუბის თავის შემადგენლობაში გაერთიანება ამ მიზნისთვის მისწრება იყო.

1905 წლის 1 ივნისს ახალი კლუბის მიღებას კენჭი უყარეს და „ჩელსის“ ინგლისის ფეხბურთის ლიგის მეორე დივიზიონში მიუჩინეს ადგილი.

ახალი კლუბის პირველი მატჩი იმავე წლის 2 სექტემბერს გაიმართა: ლონდონელებმა სტუმრად 0:1 წააგეს „სტოკპორტ ქაუნთისთან“. მომდევნო მატჩი კი „ჩელსისთვის“ პირველი საშინაო იყო და პირველი გამარჯვებითაც აღნიშნა — „ჰალ სიტის“ 5:1 მოუგო.

ჩემპიონატის მომდევნო 36 შეხვედრაში „ჩელსი“ მხოლოდ ექვსჯერ დამარცხდა და მესამე ადგილზე გავიდა, პირველ დივიზიონში გადასვლამდე ერთი საფეხური დააკლდა.

პირველ დივიზიონში „ჩელსი“ უკვე თავის მეორე სეზონის ბოლოს აღზევდა, მაგრამ აღზევება ხანმოკლე გამოდგა. ორი სეზონი გუნდი დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოდა და მესამე სეზონში მაინც გავარდა.

ორი წლის მერე „ჩელსიმ“ პირველ დივიზიონში დაბრუნება შეძლო და ინგლისის თასის ნახევარფინალშიც გააღწია. ოღონდ ამ დროისთვის ცოცხალი აღარ იყო კლუბის დამაარსებელი გას მირსი, რომელიც 1912 წლის თებერვალში 37 წლისა გარდაიცვალა.



ჯანლუკა ვიალიმ და დენის უაიზმა „ჩელსის“ მეორე და ჯერჯერობით ბოლო ევროტიტული 1998 წელს მოუპოვეს

# მოპარული ევროპა

**დამაარსებლის** გარდაცვალებიდან 1952 წლამდე, მთელი 40 წელი, „ჩელსის“ ჩემპიონატში არაფრისთვის მიუღწევია, თავის გამოჩენის ერთადერთ შეჯიბრად მისთვის ასოციაციის თასი რჩებოდა. პირველ ფინალს „ჩელსიმ“ 1920 წელს უწია, როცა „ოლდ ტრეფორდზე“ 0:3 წააგო „შეფილდ იუნაიტედთან“. ის ფინალი ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში „ხაკისფერი ფინალის“ სახელით შევიდა, რაკი სტადიონზე მაყურებელთა უმრავლესობა ხაკისფერ უნიფორმაში გამოწყობილი სამხედროები იყვნენ.

ვითარება კლუბის ისტორიაში მეხუთე მწვრთნელმა, ძველმა არსენალელმა და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელმა ტედ დრეიკმა შეცვალა. ჯერჯერობით ის ერთადერთ მწვრთნელად რჩება, „ჩელსი“ ინგლისის ჩემპიონი რომ გახადა. ეს 1955 წელს მოხდა და საინტერესოა, რომ იმ სეზონში მთავარი გუნდის გარდა, „ჩელსის“ ჭაბუკთა, ახალგაზრდული და სარეზერვო შემადგენლობებიც თავიანთი ლიგების ჩემპიონები გახდნენ.

მაგრამ საფეხბურთო ცნობარების თვალიერებისას, მომდევნო სეზონის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში „ჩელსის“ ვერ ალმოაჩენთ. ინგლისის ფეხბურთის ლიგამ ჩემპიონს ევროთასზე თამაშზე უარი უთხრა, ისედაც გადატვირთული საშინაო კალენდარი გვაქვსო.

ისტორია გვამცნობს, რომ ჩელსელები ლიგის უარმა დათრგუნა, თამაშის ხალისიც კი დაუკარგა და შედეგად მომდევნო სეზონში ჩემპიონი მე-16 ადგილზე გავიდა.

ჩავარდნას უსახურ სეზონთა წყება და 1970 წლის დადგომა მიჰყვა, როცა „ჩელსიმ“ ინგლისის თასის ფინალში ჯეკი ჩარლტონის „ლიდსი“ დაამარცხა. 1912 წლის მერე ეს პირველი ფინალი იყო, რომელსაც გადათამაშება დასჭირდა.

ამჯერად ლიგას გადატვირთული კალენდარი აღარ უხსენებია და „ჩელსიმ“ თასების მფლობელთა თასზე ითამაშა.

ითამაშაო, ვთქვით. უბრალოდ ითამაშა კი არა, თასიც მოიგო. ფინალში ლონდონელთა მეტოქე კი თვით მადრიდის „რეალი“ გახლდათ.

ათენში გამართულ ფინალურ მატჩში ფავორიტად, ცხადია, „რეალი“ ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, 55-ე წუთზე „ჩელსი“ პიტერ ოსგუდის გოლით დაწინაურდა.



ლეგენდარული
პიტერ ოსგუდი

თამაშის დასრულებას წამებიღა უკლდა, რომ მადრიდელებმა ჯონ დემპსის უხეში შეცდომით ისარგებლეს და გაათანაბრეს. გამარჯვებული ვერც დამატებითმა დრომ გამოავლინა და რაკი პენალტების სერია მაშინ არ არსებობდა, ორი დღის მერე გადათამაშება დაინიშნა.

გადათამაშებაში პირველი გოლი სწორედ დემპსიმ გაიტანა, მერე თამაშზე ფეხმტკივანად გასულმა ოსგუდმა შეაგდო. „რეალმა“ ერთი გოლის გაქვითვა კი მოახერხა, მაგრამ მეტი ვერ შეძლო და „ჩელსიც“ თავის პირველ ევროპულ ჯილდოს დაეუფლა.

ამის მერე სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა და „ჩელსის“ ისტორიაში უამრავი საინტერესო ამბავი მოხდა. „ჩელსიმ“ კიდევ რამდენიმე თასიც მოიგო, თუმცა კლუბში აბრამოვიჩის ეპოქის დადგომაზე მნიშვნელოვანი, ვფიქრობთ, არაფერი მომხდარა. უფრო სწორად, როგორც თავშივე მოგახსენეთ, კლუბს „ოქროს ხანა“ სწორედ ახლა უდგას, მაგრამ ბოლო დროს იქ დატრიალებულ ამბებზე ისედაც გამუდმებით ვწერთ და ვამბობთ და ამდენად, აქ ამაზე აღარ შევჩერდებით.

**გიორგი დარჯანია**



რომან აბრამოვიჩი — „ჩელსის“ „ოქროს ხანის“ შემოქმედი

# იმის ჯინაზე... ყველას ყველაფერი სურს

## ინგლისი

### ასოციაციის თასი მეოთხედფინალი

**ბოლტონი 0:1 *არსენალი***

0:1 ლიუნგბერგი (3)

**საუთჰემპტონი 0:4 *მანჩესტერი***

0:1 როი კინი (2), 0:2 კ. რონალდო (45), 0:3, 0:4 სქოულზი (48, 87)

***ბლეკბერნი* 1:0 ლესტერი**

1:0 დიკოვი (83პ)

***ნიუკასლი* 1:0 ტოტენჰემი**

1:0 კლუივერტი (5)

**წლეულს,** ინგლისის ასოციაციის თასს სულ სხვანაირი ფასი დაედო, დიდი გუნდები გაალმასებით იბრძვიან ფინალში გასასვლელად. მიზეზი ერთია: „ჩელსის“ პოზიციის კვალობაზე, თასი, რომელიც ყოველთვის ყველაზე საპატიო ჯილდო იყო ინგლისში, კვლავ მოექცა „მანჩესტერის“ ინტერესის სფეროში.

საქმე კი ასეა — „ჩელსი“ თასიდან რახანია, გავარდნილია. აი, „არსენალი“ კი ზედიზედ მეექვსედ გავიდა ნახევარფინალში. „მეთოფეებმა“ ფრედი ლიუნგბერგის გოლით იმარჯვეს ბოლტონში, სადაც მასპინძლები მე-9 წუთიდან ათნი თამაშობდნენ: სენეგალელი ელ-ჰაჯი დიუფი სტუმართა მეკარე ლემანთან დავისთვის გააძევეს. საქმე ჯარიმის დროზე შესრულებას შეეხებოდა და დიუფმა უკვე მერამდენედ, სულელურად გააგდებინა თავი მსაჯს, როცა იდაყვი ჰკრა მეკარეს.

„ბოლტონის“ თავკაცმა სემ ალარდაისმა ეს გაძევება დიდ უსამართლობად ჩათვალა, თუმცა ბრძოლა გაგრძელდა და ბოლტონელთა შორის მთავარ კაცად კევინ დევისი იყო, რომელსაც მიუხედავად კაცნაკლებობისა, ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლო. თუმცა, არაერთი გოლების შეგდება „მეთოფეებსაც“ გამოუვიდოდათ, ჯუსი იასკელაინენს რომ არ ევაჟკაცა. თავად გოლის ავტორმა, ლიუნგბერგმა ერთხელ ცარიელ კარსაც ააცილა ბურთი.

არსენ ვენგერმა კი თქვა: „ისინი უხეშობის ზღვარზე თამაშობდნენ. დიუფიც იმიტომ გაძევეს, რომ ყოველთვის ასეთ ზღვარზე თამაშობს. ატმოსფერო მძიმე იყო. აქ რომ ჩამოდიხარ, უკეთესს არ უნდა მოელოდე, არც მინდორზე და არც ტრიბუნებზე“.

ნახევარფინალში გავიდა „მანჩესტერიც“, რომელიც საუთჰემპტონს სტუმრობდა და იქაურ „სენტ მერიზე“ ოთხი უპასუხო გოლი გაიტანა. ჰარი რედნაპმა ფიცხელი ბრძოლა შესთავაზა ალექს ფერგიუსონს, ოღონდაც აქედან არაფერი გამოვიდა: როი კინის და კრისტიანო რონალდოს წყალობით საქმე პირველ ტაიმშივე გაირკვა, ხოლო მეორე ტაიმის თავსა და ბოლოში პოლ სქოულზმა გაიტანა ორჯერ.

რედნაპს არ გაჰკვირვებია, რომ მისმა გუნდმა ვერაფერი გააწყო: „ძირითადის ხუთი კაცი გვაკლდა და მაინც ბრძოლას ვაპირებდით. რეალურად კი სხვადასხვა კლასი იყო“.

მარკ ჰიუზის დამოძღვრილმა „ბლექბერნმა“ პოლ დიკოვის გვიანი პენალტით დაამარცხა ქვედალიგელი „ლესტერი“ და ნახევარფინალში გავიდა, ხოლო „ნიუკასლმა“ მშობლიურ „სენტ ჯეიმს პარკზე“ ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტის ადრიანი გოლით „ტოტენჰემი“ გამოთიშა ტურნირს. კლუივერტი მარჯვედ შეეგება ალან შირერის პასს.

ნახევარფინალების წილისყრა დღეს გაიმართება.

**ირაკლი გამყრელიძე**

### ჩემპიონატი. XXXVIII ტური

**ბარნლი 2:1 როტერჰემი**

0:1 ჯილკრისტი (4), 1:1 გრანტი (11), 2:1 სინკლერი (14)

**ძოვენთრი 1:1 კარდიფი**

1:0 ჯონი (16), 1:1 ბალოკი (19)

**ძრიუ 0:1 სანდერლენდი**

0:1 ელიოტი (58)

**იფსვიჩი 6:0 ნოტინგემი**

1:0 ნეილორი (27), 2:0 ვესტლეიკი (36), 3:0, 4:0 მილერი (60, 64პ), 5:0 კუქი (67), 6:0 დე ვოსი (71)

**ლიდსი 1:1 ჯილინგემი**

0:1 ჰოუპი (43), 1:1 ჰალსი (81)

**პლიმუთი 5:1 ბრაიტონი**

1:0 ჩედვიკი (8), 1:1 ოტვეი (11), 2:1, 3:1 უოტონი (13პ, 21), 4:1 ნორისი (36), 5:1 ტეილორი (88)

**პრესტონი 2:2 ვულვზი**

1:0 კროსველი (3), 1:1 კრადოკი (10), 2:1 ალექსანდერი (53პ), 2:2 სეოლი (73)

**ქუინზ პარკი 3:1 უოტფორდი**

1:0 ფურლონგი (34), 2:0, 3:0 გალენი (45, 58), 3:1 ერდლი (80)

**რედინგი 3:1 ვესტ ჰემი**

1:0, 2:0, 3:0 კიტსონი (13, 27, 57), 3:1 შერინგემი (82)

**სტოკი 2:0 შეფილდი**

1:0, 2:0 ნოელ-უილიამსი (57, 59)

**უიგანი 2:0 მილუოლი**

1:0 ელინგტონი (58პ), 2:0 რობერტსი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 37 | 21 | 9 | 7 | 65:27 | 72 |
| სანდერლენდი | 37 | 22 | 6 | 9 | 58:33 | 72 |
| იფსვიჩი | 37 | 20 | 9 | 8 | 68:44 | 69 |
| დერბი | 37 | 17 | 9 | 11 | 56:47 | 60 |
| პრესტონი | 37 | 17 | 9 | 11 | 52:49 | 60 |
| რედინგი | 37 | 15 | 12 | 10 | 43:34 | 57 |
| ვესტ ჰემი | 36 | 16 | 6 | 14 | 50:46 | 54 |
| სტოკი | 36 | 15 | 9 | 12 | 27:24 | 54 |
| შეფილდი | 36 | 15 | 9 | 12 | 44:45 | 54 |
| ლიდსი | 38 | 13 | 13 | 12 | 44:42 | 52 |
| ქუინზ პარკი | 36 | 15 | 7 | 14 | 46:46 | 52 |
| მილუოლი | 37 | 14 | 9 | 14 | 37:34 | 51 |
| ბარნლი | 36 | 12 | 13 | 11 | 29:30 | 49 |
| ვულვზი | 37 | 10 | 17 | 10 | 55:51 | 47 |
| უოტფორდი | 37 | 10 | 14 | 13 | 45:47 | 44 |
| პლიმუთი | 37 | 12 | 8 | 17 | 45:50 | 44 |
| ბრაიტონი | 37 | 12 | 8 | 17 | 31:50 | 44 |
| ქრიუ | 37 | 11 | 10 | 16 | 55:68 | 43 |
| ლესტერი | 35 | 9 | 15 | 11 | 35:34 | 42 |
| კარდიფი | 36 | 10 | 11 | 15 | 38:40 | 41 |
| ქოვენთრი | 37 | 10 | 10 | 17 | 46:60 | 40 |
| ჯილინგემი | 37 | 10 | 8 | 19 | 36:57 | 38 |
| ნოტინგემი | 36 | 8 | 12 | 16 | 35:53 | 36 |
| როტერჰემი | 37 | 3 | 13 | 21 | 28:57 | 22 |

### პირველი ლიგა. XXXVIII ტური

ბრისტოლი — ბარნსლი 0:0; ჩესტერფილდი — ჰადერსფილდი 2:1; დონკასტერი — ბრენტფორდი 0:0; ჰარტლპული — ტრანმერი 0:1; ჰალი — ტორკი 2:0; ლუტონი — სუინდონი 3:1; დონსი — პორტ ვეილი 1:1; პიტერბრო — ბრედფორდი 2:2; შეფილდ უენსდი — ბლეკპული 3:2, სტოკპორტი — კოლჩესტერი 1:2; უოლსოლი — ბორნმუთი 1:2; რექსემი — ოლდემი 1:0

### მეორე ლიგა. XXXVIII ტური

ბოსტონი — გრიმსბი 1:1; ბერი — როვერსი 1:1; დარლინგტონი — იოვილი 2:1; ლეიტონი — კემბრიჯი 1:1; მენსფილდი — ოქსფორდი 1:3; ნოტსი — კიდერმინსტერი 1:3; რაშდენი — ნორთჰემპტონი 3:2; სკანთორპი — ჩელტენემი 4:1; შრიუსბერი — მაკლსფილდი 0:1; საუთენდი — ლინკოლნი 1:1; სუონსი — როჩდეილი 2:2; უიკომბი — ჩესტერი 4:2

### კონფერენსლიგა გადადებული მატჩები

ქონვი — ალდერშოტი 2:2; ბარნეტი — ქროული 3:0; კარლაილი — აკრინგტონი 2:0; მორეკემბი — დაგენემი 1:0; სკარბორო — ლეი 3:0; ტემუორთი — ნორსვიჩი 3:0. *ფარნბორო — გრეივსენდი და ფორესტ გრინი — ჰერეფორდი გადაიდო*

## რუსეთი

### პრემიერლიგა. I ტური

**ლოკომოტივი 2:0 ტომი**

1:0 ლებედენკო (33), 2:0 ლოსკოვი (64)
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, სენიკოვი, ბუგაევი, ასათიანი (პაშინინი 88), ფ. ლიმა, ომელიანჩუკი, მამინოვი, ბილიალეტდინოვი, ლოსკოვი, სიჩოვი, ლებედენკო (ხოხლოვი 59)
მწვრთნელი: იური სიომინი

**კრილია 2:0 ალანია**

1:0 ბუტი (31), 2:0 პოშკუსი (48)
ალანია: რადიჩი, პაგაევი, აგაევი, ბარასა, ფუზაილოვი, გ. ბაზაევი (აილაროვი 67), კანკავა, კრისტოფერი (დარასელია 76), ტუდორი (დადუ 68), გოგნიევი, ჯ. ბაზაევი
მწვრთნელი: ბახვა თედეევი

**ზენიტი 4:1 დინამო**

1:0 კრიჟანაცი (39), 2:0 არშავინი (47), 3:0 კერჟაკოვი (50), 3:1 ნუნუ ფრეშაუ (59), 4:1 მარეში (73)

**შინიკი 1:1 ამკარი**

0:1 ოლეკსიჩი (40), 1:1 კულჩი (70)

**სპარტაკი 0:2 მოსკოვი**

0:1 იოპი (24), 0:2 კირიჩენკო (55)

**ტორპედო 3:1 როსტოვი**

1:0 პანოვი (2), 2:0 ვოლკოვი (53), 3:0 სემშოვი (67), 3:1 მნგუნი (68)

**ცსკა 3:0 ტერეკი**

1:0 ოლიჩი (19), 2:0 დანი კარვალიუ (60), 3:0 რახიმიჩი (82)

**სატურნი 0:0 რუბინი**

**ჩემპიონმა** „ლოკომოტივმა“ პირველ ტურში დებიუტანტ „ტომს“ მოუგო. ეს მატჩი „ლოკომოტივისთვის“ საიუბილეო, მე-400 გამოდგა. ციმბირელმა სტუმრებმა საკმაოდ შთამბეჭდავად ითამაშეს და იური სიომინის ქებაც დაიმსახურეს. „ტომის“ მწვრთნელმა ბორის სტუკალოვმა კი თქვა, მეგონა, უარესად ვითამაშებდითო.

შეხვედრის დასაწყისში ციმბირელებს ორი საგოლე მომენტი ჰქონდათ — დენის კისელიოვის თავით ახლოდან დარტყმული ბურთი ოვჩინიკოვმა კუთხურზე მოისროლა, ხოლო ამის შემდეგ ალექსეი მედვედევი „ლოკოს“ მეკარესთან პირისპირ გავიდა და ამჯერადაც ოვჩინიკოვმა იყოჩაღა.

# ნაგვის გატანის დროა

## პეტერბურგმა მოსკოვი ურნაში ჩააგდო




რუსეთის ჩემპიონთა პირველი საამსეზონო გოლი იგორ ლებედენკომ (შუაში) გაიტანა

მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში კი მასპინძელთა კლასმა იძალა. დმიტრი ლოსკოვმა საჯარიმო დარტყმა შეასრულა, „ტომის“ მეკარე პაველ დიაკონოვმა მოიგერია, მაგრამ იგორ ლებედენკომ მცველთა წამიერი მოდუნებით ისარგებლა და საგოლედ დაამატა.

დაწინაურებულმა „ლოკომოტივმა“ ზურგი გაამაგრა და კონტრშეტევებზე გადაეწყო. მეორე ტაიმის შუაში მასპინძლებმა კიდევ ერთი საჯარიმო მოინაგრეს, რომლის შესრულებაც ლოსკოვმა ითავა. „ლოკოს“ კაპიტნის დარტყმული ბურთი გზად მცველს შეეხო და გეზნაცვალი მრგვალი საგანიც დაბნეული დიაკონოვის კარში შევარდა.

„ოვჩინიკოვმა რამდენჯერმე აშკარად გვიხსნა — განაცხადა ნამატჩევს იური სიომინმა — მაგრამ მთავარია, რომ სამი ქულა ავიღეთ. საიუბილეო თამაშის წაგების უფლება არ გვქონდა“.

ოლეგ რომანცევმა თერთმეტგრადუსიან ყინვაში ხუთი პორტუგალიელი ათამაშა ძირითად შემადგენლობაში „ზენიტის“ წინააღმდეგ. ამ საქმიდან კი ის გამოვიდა, რომ ნევისპირელებმა დედაქალაქელები პირწმინდად დაჩაგრეს — ოთხი გაუტანეს და ამდენივეს შეგდება კიდევ შეეძლოთ.

„ზენიტის“ ხორვატმა ლეგიონერმა, ცენტრალურმა მცველმა კრიჟანეცმა ანგარიში ტაიმის მიწურულს გახსნა, როცა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთთან ეულად დარჩა და მხოლოდ ფეხის დახვედრებაღა დასჭირდა.

მეორე ნახევრის დასაწყისში მასპინძლებმა მოსკოვის „დინამოს“ საჯარიმო აატალახეს და სამ წუთში ორი გოლი მიითვალეს. ჯერ არშავინმა იზეირა, მერე კი კერჟაკოვმა.

„დინამოს“ პორტუგალიელმა ნუნუ ფრეშაუმ ბესჩასტნიხის პასით ერთის გაქვითვა შეძლო, მაგრამ მალე პაველ მარეშმა სამბურთიანი სხვაობა ისევ აღადგინა.

„ზენიტის“ ქომაგ[illegible] მოსკოვური გუნდები [illegible]ლია. ამიტომაც გამოფინეს შეურაცხმყოფელი პლაკატი: „ნაგვის გატანის დროა!“ პლაკატზე ურნა ეხატა, რომელსაც მოსკოვის „დინამოს“ საკლუბო ლოგო ამშვენებდა.

ეგორ ტიტოვმა, რომელმაც სამთვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა, პირველ ოფიციალურ მატჩში ითამაშა. ტიტოვის დაბრუნება „სპარტაკისთვის“ მარცხიანი გამოდგა. „თეთრ-წითლებმა“ დედაქალაქურ დერბიში წააგეს. „მოსკოვი“ პირველ ტაიმში იოპის გოლით დაწინაურდა, „სპარტაკს“ კი გაქვითვა მალევე შეეძლო, მაგრამ ალენიჩევმა პენალტი უხეიროდ შეასრულა — ცენტრში და სუსტად დარტყმული ბურთი ქევნოვმა იოლად მოიხელთა.

მეორე ნახევრის დასაწყისში კირიჩენკომ კიდევ ერთხელ დაამწუხრა მასპინძელთა მეკარე კოვალევსკი და „სპარტაკის“ მოულოდნელი მარცხიც ასე გამოცხვა.

ვლადიკავკაზის „ალანიას“ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა ჯაბა კანკავამ, ხოლო ვიტალი დარასელია შეხვედრის დასრულებამდე თოთხმეტი წუთით ადრე შევიდა მოედანზე. „ალანიამ“ სამარაში „კრილია სოვეტოვთან“ წააგო. სტუმართა მწვრთნელმა ბახვა თედეევმა ნამატჩევს დაჩივლა, გუნდში ლეგიონერების რაოდენობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, თერთმეტი კაცის შერჩევა გამიჭირდაო.

იაროსლავლის „შინიკს“ მოედანი არ უვარგა და ამიტომ პერმის „ამკარს“ ნოვოროსიისკში უმასპინძლა. შეხვედრას წვიმა ახლდა, სველ ბალახზე მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს და ქულები გაიყვეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. XXV ტური

**ტვენტე 3:0 როზენდალი**

1:0 შუკრუ (12), 2:0 ტუმა (38), 3:0 კულინა (88)

**ბრედა 1:2 ვიტესი**

0:1 მ. ამოა (23), 0:2 კნოპერი (80), 1:2 ბუსაბუნი (84)

**ჰერენვენი 1:2 ვალვაიკი**

0:1 ოოსტი (78), 1:1 სამარასი (82), 1:2 პუტერი (85)

**ტილბურგი 2:1 დენ ბოსხი**

0:1 ვან დერ ლააკი (37პ), 1:1 დენისენი (74), 2:1 კალუვე (86)

**ნაიმეგენი 0:1 აიაქსი**

0:1 მადურო (51)

**პსვ ეინდჰოვენი 4:0 დენ ჰააგი**

1:0 პარკი (6), 2:0 ვან ბომელი (28), 3:0 პარკი (42), 4:0 ალექსი (88)

**ალკმაარი 3:2 გრააფსხაპი**

0:1 მაგნო (25), 1:1 კრომკამპი (40), 2:1 ლანძაატი (45), 3:1 ელხატაბი (70), 3:2 მაგნო (90)

**უტრეხტი 1:2 გრონინგენი**

0:1 ნევლანდი (8), 1:1 კორნელისე (17), 1:2 კორნელისე (41)

**ფეიენოორდი 4:1 როდა**

1:0 ონო (6), 2:0 კასტელენი (23), 2:1 არუნაკონე (52), 3:1 კუიტი (69პ), 4:1 ს. კალუ (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 24 | 19 | 4 | 1 | 65:13 | 61 |
| ალკმაარი | 24 | 17 | 6 | 1 | 56:18 | 57 |
| აიაქსი | 24 | 16 | 5 | 3 | 51:21 | 53 |
| ფეიენოორდი | 24 | 14 | 5 | 5 | 66:28 | 47 |
| ვიტესი | 25 | 13 | 4 | 8 | 43:33 | 43 |
| ტვენტე | 25 | 11 | 5 | 9 | 33:28 | 38 |
| უტრეხტი | 25 | 10 | 6 | 9 | 29:28 | 36 |
| ჰერენვენი | 24 | 10 | 5 | 9 | 39:42 | 35 |
| ვალვაიკი | 25 | 9 | 7 | 9 | 32:34 | 34 |
| გრონინგენი | 24 | 9 | 5 | 10 | 34:39 | 32 |
| როდა | 25 | 8 | 6 | 11 | 42:43 | 30 |
| ბრედა | 25 | 8 | 6 | 11 | 33:49 | 30 |
| ტილბურგი | 25 | 8 | 4 | 13 | 28:48 | 28 |
| დენ ჰააგი | 24 | 7 | 5 | 12 | 29:39 | 26 |
| ნაიმეგენი | 25 | 5 | 8 | 12 | 25:35 | 23 |
| გრააფსხაპი | 25 | 4 | 6 | 15 | 26:57 | 18 |
| როზენდალი | 25 | 5 | 2 | 18 | 24:58 | 17 |
| დენ ბოსხი | 24 | 2 | 3 | 19 | 13:55 | 9 |

### II დივიზიონი. XXV ტური

დოორდრეხტი — მაასტრიხტი 0:5; ეინდჰოვენი — ოსი 1:1; ზვოლე — კამბური 0:3; სიტარდი — ჰელმონდი 1:3; ჰერაკლესი — იგლსი 1:3; სპარტა — ჰაარლემი 6:1; ტელსტარი — ექსელსიორი 2:1; ვეენდამი — ემენი 1:0; ვენლო — ვოლენდამი 3:0

## ბელგია

### იუპილერლიგა. XXV ტური

**მუსკრონი 0:3 სტანდარდი**

0:1 გერარტსი (23), 0:2 კოვალენკო (51), 0:3 რუსელი (75)

**შარლერუა 0:0 სენტ ტრუიდენი**

**ბრიუსელი 2:1 მონსი**

0:1 ალიუ (7), 1:1 სელსი (31), 2:1 კულეკი (32)

**ლუვიე 1:2 ვესტერლო**

0:1 კონანი (6), 1:1 ჯებური (63), 1:2 ბროსკე (73)

**ლოკერენი 0:1 ბეერსხოტი**

0:1 ჰოფკენსი (66)

**ოსტენდე 1:2 გენტი**

1:0 ლანდუიტი (5), 1:1 ვრანკენი (42), 1:2 ჟბარი (78)

**სერკლ ბრიუგე 1:3 ანდერლეხტი**

0:1 დინდანე (3), 0:2, 0:3 იესტროვიჩი (40, 49), 1:3 როია (51)

**ლიერსი 1:3 ბევერენი**

0:1 კაიპერი (1), 1:1 იმშო (42), 1:2 არუნინა (50), 1:3 რომარიჩი (76)

**გენკი 2:1 ბრიუგე**

1:0 ენგელაარი (38), 2:0 ვანდენბერგი (54), 2:1 ბალაბანი (59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 25 | 20 | 3 | 2 | 66:18 | 63 |
| ანდერლეხტი | 25 | 17 | 4 | 4 | 53:24 | 55 |
| გენკი | 25 | 14 | 6 | 5 | 38:27 | 48 |
| სტანდარდი | 24 | 14 | 5 | 5 | 41:21 | 47 |
| გენტი | 25 | 13 | 4 | 8 | 32:26 | 43 |
| შარლერუა | 25 | 12 | 7 | 6 | 30:25 | 43 |
| ვესტერლო | 25 | 11 | 4 | 10 | 27:36 | 37 |
| ლუვიე | 24 | 10 | 6 | 8 | 33:23 | 36 |
| ლოკერენი | 25 | 8 | 9 | 8 | 27:28 | 33 |
| ბევერენი | 25 | 8 | 6 | 11 | 36:40 | 30 |
| ბეერსხოტი | 25 | 8 | 5 | 12 | 26:25 | 29 |
| ლიერსი | 25 | 8 | 5 | 12 | 39:48 | 29 |
| სერკლი | 25 | 8 | 4 | 13 | 36:61 | 28 |
| მუსკრონი | 25 | 6 | 6 | 13 | 33:38 | 24 |
| სენტ ტრუიდენი | 25 | 6 | 6 | 13 | 28:41 | 24 |
| ბრიუსელი | 25 | 6 | 2 | 17 | 24:49 | 20 |
| ოსტენდე | 25 | 4 | 7 | 14 | 24:48 | 19 |
| მონსი | 25 | 5 | 3 | 17 | 30:45 | 18 |

### II კლასი. XXV ტური

სენტ ჟილი — დესელი 2:0; გეელი — პატრო 1:0; ანტვერპენი — ვიზეტი 0:1; დაინცე — რონსი 1:2; ვაასლანდი — ჰეუსდენი 1:1; ვირტონი — ტუბიცე 0:3; აალსტი — კორტრაიკი 0:3; რუზელარე — ვიგორი 1:4; ვარეგემი —ეუპენი 1:0

## პორტუგალია

### პრემიერლიგა. XXV ტური

**ბრაგა 1:1 მარიტიმუ**

0:1 პენა (52), 1:1 ვენდერი (71პ)

**ბენფიკა 2:0 ჟილ ვისენტე**

1:0 მანტორაში (52), 2:0 მიგელი (88)

**პორტუ 0:4 ნასიონალი**

0:1 ფიდალგუ (4), 0:2 ალონშო (61), 0:3 ვიეირუში (70), 0:4 ბრუნო (84)

**აკადემიკა 0:0 რიუ ავე**

**მორეირენსე 0:0 ლეირია**

**ბეირა მარი 2:1 ეშტორილი**

0:1 ჟოაუ პაულუ (25), 1:1 აჰამადა (57), 2:1 მაკფი (90)

**სპორტინგი 0:2 პენაფიელი**

0:1 რობერტუ (66), 0:2 ნდოი (81)

**გიმარაეში 3:1 სეტუბალი**

1:0 ელპიდუ სილვა (14), 1:1 ალბერტ მეიონგი (22), 2:1 ელპიდუ სილვა (45), 3:1 ივან ჟურჟევიჩი (66)

**ბოავიშტა — ბელენენსეში**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 25 | 14 | 6 | 5 | 39:23 | 48 |
| პორტუ | 25 | 12 | 9 | 4 | 30:20 | 45 |
| ბრაგა | 25 | 12 | 8 | 5 | 36:19 | 44 |
| სპორტინგი | 25 | 12 | 6 | 7 | 50:30 | 42 |
| ბოავიშტა | 24 | 11 | 8 | 5 | 32:30 | 41 |
| გიმარაეში | 25 | 10 | 7 | 8 | 28:23 | 37 |
| რიუ ავე | 25 | 8 | 13 | 4 | 30:29 | 37 |
| მარიტიმუ | 25 | 8 | 12 | 5 | 27:22 | 36 |
| ნასიონალი | 25 | 10 | 4 | 11 | 33:32 | 34 |
| ლეირია | 25 | 7 | 12 | 6 | 25:23 | 33 |
| ბელენენსეში | 24 | 9 | 5 | 10 | 33:28 | 32 |
| სეტუბალი | 25 | 8 | 8 | 9 | 35:35 | 32 |
| პენაფიელი | 25 | 8 | 3 | 14 | 26:41 | 27 |
| მორეირენსე | 25 | 5 | 10 | 10 | 21:33 | 25 |
| ჟილ ვისენტე | 25 | 6 | 5 | 14 | 24:33 | 23 |
| ეშტორილი | 25 | 6 | 5 | 14 | 30:43 | 23 |
| ბეირა მარი | 25 | 5 | 8 | 12 | 25:46 | 23 |
| აკადემიკა | 25 | 5 | 7 | 13 | 20:34 | 22 |

### II დივიზიონი. XXV ტური

შავეში — ნავალი 0:0; ოლიალენსე — ოვაირენსე 1:0; ალვერკა — ფერეირა 3:3; ესპინიუ — სანტა კლარა 2:0; გონდომარი — ავეში 2:0; ლეიშოეში — პორტიმონენსე 2:0; ფელგეირაში — ფეირენსე 3:2; ვარზიმი — მაია 1:0; მარკუ — ამადორა 1:2

## თურქეთი

### სუპერლიგა. XXIV ტური

ანკარაგიუჯიუ — დენიზლი 1:1; კონია — მალათია 2:0; ტრაბზონი — საქარია 4:3; ისტანბული — გალათასარაი 0:3; დიარბაქირი — გაზიანთეფი 3:0; რიზე — სებათი 2:1; სამსუნი — ქაისერი 3:3; ანკარა — ბეშიქთაში 2:4; ფენერბაჰჩე — გენჩლერი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 24 | 20 | 2 | 2 | 63:12 | 62 |
| გალათასარაი | 24 | 18 | 3 | 3 | 46:14 | 57 |
| ტრაბზონი | 24 | 17 | 4 | 3 | 50:19 | 55 |
| ბეშიქთაში | 24 | 13 | 6 | 5 | 50:29 | 45 |
| რიზე | 24 | 10 | 7 | 7 | 28:21 | 37 |
| დენიზლი | 24 | 10 | 6 | 8 | 32:29 | 36 |
| კონია | 24 | 8 | 10 | 6 | 47:45 | 34 |
| გაზიანთეფი | 24 | 9 | 4 | 11 | 34:39 | 31 |
| მალათია | 24 | 9 | 4 | 11 | 29:35 | 31 |
| გენჩლერი | 24 | 8 | 6 | 10 | 33:32 | 30 |
| ანკარა | 24 | 8 | 6 | 10 | 33:35 | 30 |
| დიარბაქირი | 24 | 8 | 5 | 11 | 25:36 | 29 |
| ანკარაგიუჯიუ | 24 | 7 | 7 | 10 | 22:35 | 28 |
| სამსუნი | 24 | 7 | 6 | 11 | 32:45 | 27 |
| საქარია | 24 | 5 | 4 | 15 | 30:53 | 19 |
| ქაისერი | 24 | 5 | 4 | 15 | 32:57 | 19 |
| ისთანბული | 24 | 3 | 9 | 12 | 21:39 | 18 |
| სებათი | 24 | 1 | 7 | 16 | 25:57 | 10 |

## საბერძნეთი

### ეროვნული ლიგა. XXII ტური

კალამარია — პანიონიოსი 3:3; პანათინაიკოსი — ირაკლისი 0:0; არისი — ოფი 3:2; ხალკიდონა — ქსანთი 2:1; ეგალეო — კერკირა 1:0; ერგოტელისი — პაოკ 0:1; კალითეა — იონიკოსი 0:0; ოლიმპიაკოსი — აეკ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 22 | 13 | 7 | 2 | 39:13 | 46 |
| პანათინაიკოსი | 22 | 14 | 4 | 4 | 36:12 | 46 |
| აეკ | 22 | 12 | 9 | 1 | 32:17 | 45 |
| ქსანთი | 22 | 11 | 6 | 5 | 35:23 | 39 |
| პაოკ | 22 | 10 | 5 | 7 | 31:27 | 35 |
| ხალკიდონა | 22 | 8 | 7 | 7 | 22:22 | 31 |
| ეგალეო | 22 | 6 | 11 | 5 | 19:18 | 29 |
| ირაკლისი | 22 | 8 | 5 | 9 | 20:21 | 29 |
| პანიონიოსი | 22 | 6 | 8 | 8 | 17:21 | 26 |
| კალითეა | 22 | 5 | 9 | 8 | 30:33 | 24 |
| ოფი | 22 | 6 | 6 | 10 | 29:33 | 24 |
| არისი | 22 | 4 | 10 | 8 | 20:27 | 22 |
| იონიკოსი | 22 | 4 | 9 | 9 | 14:27 | 21 |
| კალამარია | 22 | 4 | 8 | 10 | 21:37 | 20 |
| ერგოტელისი | 22 | 5 | 4 | 13 | 17:36 | 19 |
| კერკერა | 22 | 3 | 6 | 13 | 15:30 | 15 |

# საშინელება ბრძელდება

## ბრაზილიაში ლუის ფაბიანოს დედა გაიტაცეს



**„პორტუს“** ბრაზილიელ ლეგიონერ ლუის ფაბიანოს დედა შეიარაღებულმა ყაჩაღებმა გაიტაცეს სანდრა ელენე კლემენტე ქალაქ კამპინაში საკუთარი სახლის სიახლოვეს მეგობარ ქალთან ერთად მიდიოდა, როცა მას ხელი სტაცეს, ავტომობილში ჩასვეს და მიიმალნენ.

ჯერჯერობით უცნობია, ყაჩაღებმა მოითხოვეს თუ არა გამოსასყიდი თანხა.

ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ეს უკვე გატაცების მესამე შემთხვევაა — ორი კვირის წინ „სან პაულუს“ ფორვარდ გრაფიტეს დედა აიყვანეს მძევლად, მაგრამ პოლიციამ იყოჩაღა და ქალბატონი გაათავისუფლეს. გასული წლის ნოემბერში კი მოგეხსენებათ, რობინიოს დედა გაიტაცეს, რომელიც 40-დღიანი იძულებითი პატიმრობის შემდეგ გაუშვეს. ბრაზილიური მედიის ცნობით, რობინიოს ოჯახმა გამოსასყიდი გადაიხადა.

საინტერესოა, რას იზამს ახლა ლუის ფაბიანოს ოჯახი?

**ვაჟა ხუციშვილი**

# 156-ე რეკორდი
## ავიამშენმა დინამო დაანგრია



დინამოელ ლაშა გამყრელიძეს გიორგი ნიკოლაძე გადაეღობა

**გუშინდელი** ტურის ცენტრალურ შეხვედრას, „დინამო" — „ავიამშენს", წინ არაფრით გამორჩეული სტუ — „ბურჯი" უძღვოდა. ეს იყო მატჩი, რომლის შედეგიც თუ შეიძლება ასე ითქვას, წინასწარ იყო ცნობილი — ტექნიკოსთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. „სტუ-ჯეოსელმა" გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ ეს ისე მოახერხა, ეროვნული ჩემპიონატის რეკორდი გამოაცხო ერთი გუნდის მიერ მოხვეჭილი ქულების რაოდენობის მხრივ.

დიახ, სტუ გახდა პირველი გუნდი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში 150-ქულიან ზღვარს ასცდა. აქამდელ 13 ჩემპიონატში ეს ბარიერი ვერავის დაეძლია, ტექნიკოსებმა კი თელაველებს 156 ქულა ჩაუგდეს. რეკორდი თბილისის „დინამოს" ეკუთნოდა, რომელმაც წინა სეზონში „ქუთაისთან" 147 ქულა დააგროვა.

ხსენებული სამეულიდან ორი დაეჯახა გუშინ ტურის ცენტრალურ მატჩში. ცხრილში „სტუ-ჯეოსელის" უკან მყოფი გუნდები — „ავიამშენი" და „დინამო" ხვდებოდნენ ერთმანეთს. ორივეს 4-4 წაგება ჰქონდა და ამ თამაშის შემდეგ უნდა გარკვეულიყო ის, ვინც ცხრილში მეორე ადგილზე გამაგრდებოდა.

ორივემ დიდი სიფრთხილით რომ დაიწყო თამაში. „დინამომაც" და „ავიამშენმაც" მყარი დაცვითი ბარიერი შექმნა საკუთარი სამწამიანის გარშემო, ისეთი, რომ ვერც ერთმა გუნდმა სამი წუთის განმავლობაში ბურთი ვერ ჩააგდო. ეს მშრალი პერიოდი „ავიატორმა" დავით ბერძენიშვილმა დაასვენა მისთვის ჩვეული ნახევარბრუნით, თუმც, როგორც აღმოჩნდა, ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი ჩაგდებული ბურთი ამ მატჩში.

„ბერძენის" უქულობას საბედისწეროდ არ უმოქმედია „ავიამშენზე", რადგან სხვა მეფარეებმა გამოიღეს ხელი. სწორედ მაღლების დახმარებით მოიპოვა „ავიამშენმა" პირველი უპირატესობა — საწყისი მეოთხედის დასრულებამდე ორწუთნახევრით ადრე 11:5 დაწინაურდა. დინამოელებმა სისწრაფეს უმატეს და მცირე შესვენებამდე დარჩენილი დროში 7:0 იმარჯვეს — 14:13 ტომარაძის სამწყსოს სასარგებლოდ.

„ავიამშენმა" უკანა ხაზში გაჩენილი ნაპრალის ამოვსება ფარქვეშ გამაგრებით სცადა და მოედანზე კახა შენგელიაც გამოჩნდა. დინამოელებს არ მოეძევებოდათ შენგელიას ზომა-წონის კაცი და გარკვეულწილად ამით იყო განპირობებული მათი ზონურ დაცვაზე გადაწყობა. შენგელიას მეურვე ვალერი კილაძეს საბოლოოდ 13 ქულა კი მოუგროვდა, მაგრამ უმეტესად იგი შორი ტყორცნებით გადიოდა ფონს, რადგან სამწამიანში შესვლა უჭირდა.

შენგელიას პერიოდულად უხვად ამარაგებდნენ პასებით და ისიც ცდას არ აკლებდა, ჩასაგდებს აგდებდა.

„დინამომ" ორიოდ წუთში სწორედ კონტრშეტევებით გაუბათილა მეტოქეს 4-ქულიანი ლიდერობა და 6 ქულით იქით გაიჭრა წინ. ეს მოხდა ტაიმის დასრულებამდე სამიოდ წუთით ადრე და, ცოტაც რომ მოენდომებინა, ტომარაძის გუნდს შანსი ჰქონდა, შესვენებაზე გვარიანი ჰანდიკაპით გასულიყო, მაგრამ პირიქით კი მოხდა: „ავიამშენში" გამოცდილმა მოთამაშეებმა იძალეს და ტაიმის ბოლოს უკვე მოსეშვილის გუნდი იგებდა — ამროსი ორმოცაძემ მიზანიც გამოაჩინა, პასის უნარიც და მოხსენების ალღოც — 33:32 დიდი შესვენებისთვის.

მესამე მეოთხედი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა — ჯერ „ავიამ" მოიპოვა 6-ქულიანი ლიდერობა და „დინამომ" კონტრშეტევებით კვლავ წყალში ჩაუყარა ჯაფა მეტოქეს. ის კი არა, ტომარაძის გუნდი მესამე ათწუთეულის ბოლოს 54:50 იგებდა, თუმც იმავ ორმოცაძის გონებამახვილური გარჯის წყალობით გადამწყვეტი მეოთხედის წინ ფრე დაფიქსირდა.

გუნდებმა ტაქტიკა არ შეცვალეს, ანუ „დინამო" ისევ უკანა ხაზიდან, „ავიამშენი" კი სამწამიანიდან უტევდა. მოსეშვილის გუნდში თავი გამოიჩინა ახალგაზრდა მამუკა ბოლქვაძემ, რომელიც თორნიკე ნინიაშვილის არყოფნის გამო თუ იმყოფებოდა მოედანზე, თორემ აქამდე ძირითადად მარქაფებში იჯდა. ის კარგად შეუწყვილდა შენგელიას და დინამოელთა ფარქვეშეთს დაეპატრონა.

სწორედ შენგელია-ბოლქვაძემ წამოიწყეს ის შტურმი, რომელმაც „დინამო" წელში გატეხა. ტომარაძის გუნდი 60:58 იგებდა, მაგრამ ფარქვეშ ჩაიმუხლა და როცა დავით თორთლაძის სამქულიანიც მიიღო, უკვე 60:67 აგებდა.

„დინამომ" შორი სროლებით სცადა თამაშის გადარჩენა და ნიკა ჩხატარაშვილმა მას სულიც შთაბერა — მიჯრით 5 ქულა მიითვალა, მაგრამ სირენამდე ორი წუთით ადრე გიორგი ნიკოლაძემ უაღრესად მნიშვნელოვანი სამქულიანი ჩააგდო ლამის ცენტრიდან და დინამოელების მებრძოლი სულიც ამ ნატყორცნმა ჩაკლა.

**ირაკლი პერტაია**

### 13 მარტი. ვერის ბაღი

**სტუ 156:89 ბურჯი**
31:23 43:20 39:23 43:23

**სტუ:** კოდია (4), გაგნიძე (17), ძიძიგური (3), ლ. შანიძე (30), მათიაშვილი (19), მარკოიშვილი (32), ჯაფარიძე (13), გოგობერიშვილი (6), წიწნიეაძე (12), კობრეიძე (20)
**ბურჯი:** ქუჯაიძე (6), ქუაძე (3), სეხნიაშვილი (17), პაპუნაშვილი (11), ნუცუბიძე (7), დოლმაზაშვილი (5), ამირანაშვილი (2), ს. შერმადინი (7), ცერცვაძე (5), ნინუა, ქასტაური (26)
**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, მალხაზ ანდღულაძე
**კომისარი:** როლანდ ბელოვანი

**ავიამშენი 84:73 დინამო**
13:14 20:18 21:22 30:19

**ავიამშენი:** თორთლაძე (13), ხოშტარია (14), ორმოცაძე (15), ბოლქვაძე (10), ბერძენიშვილი (2); შენგელია (17), ნიკოლაძე (13), წოწელია
**დინამო:** გამყრელიძე (14), ხეცურიანი (7), ლაფანაშვილი (11), ჩხატარაშვილი (9), კილაძე (13); ა. ბერიშვილი (14), ბექაური (3), კვიმსაძე (2), სუხიშვილი
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**მაკაბი 86:105 თუჯი**
27:22 25:31 15:35 19:17

**მაკაბი:** ბადრიძე (16), გვარამაძე (21), კორკოტაძე (8), შერმადინი (12), ვაშაკიძე (27); ფიცხელაური (2)
**თუჯი:** ლიპარტელიანი (12), გოგსაძე (2), ჩაჩუა (8), ტყეშელაშვილი (23), დანელიანი (22); ცაკვავა (19), ფლენტი (9), მურჯიკნელი (8), ტაბატაძე (2)
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ლიკა ქაჯაია
**კომისარი:** მურმან ქორიძე

**თსუ 104:72 სსუ**
26:14 34:20 12:17 32:21

**თსუ:** ფანჩულიძე (14), მ. ბერიშვილი (13), მარხვაშვილი (26), ლომიძე (12), ბერაია (20), ხიზანიშვილი (10), ინწკირველი (9)
**სსუ:** იმედაშვილი (8), პატარაია (3), მ. ხოშტარია (7), ბ. ნოზაძე (4), ქვილითაია (12), ონიკაშვილი (8), გოლეთიანი (14), ცხაკაია (3), ზანგურაშვილი (7), ჭოველიძე (5)
**მსაჯები:** ხათუნა გაბედავა, დავით არეშიძე
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

# ოთარ ქორქია



გარდაიცვალა საქართველოს უდიდესი კალათბურთელი ოთარ ქორქია. მოედნის ლომი ცენტრალურ თავდამსხმელად იყო იმ „დინამოში", რომელიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ხდებოდა ჯერ კიდევ სტალინის დროს. მერე ის იყო მწვრთნელი იმ თბილისის „დინამოსი", რომელმაც ევროპული თასი მოიპოვა მადრიდის „რეალთან" ჭიდილში.

ოთარ ქორქია იყო საბჭოთა ნაკრების წევრი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი და კიდევ მრავალი ჯილდოს მომპოვებელი, ოღონდ, ამის ჩამოთვლა მთავარი არ არის, რადგან ოთარ ქორქია როგორც მოთამაშე, როგორც ხასიათი და ლიდერი სრულიად ფარავდა თავის ყველა ჯილდოს. ცენტრალური თავდამსხმელის პირობაზე მას სრულიადაც არ ეთქმოდა მაღალი, ოღონდაც მისი თამაშის უნარი და ვარსკვლავობა სრულიად არ გაფიქრებინებდათ, რომ ოთარ ქორქიას რაიმეში სჭირდება განსაკუთრებული სიმაღლე.

ის კალათბურთისთვის და ლიდერობისთვის იყო დაბადებული და დიდი ქუთაისური სკოლის პირველი სახელგავარდნილი ვარსკვლავი გახლდათ. ოთარ ქორქიას თამაში და კაპიტნობა დღემდე სამაგალითოდ გამოჰყვა კალათბურთს. ასეა ხოლმე, როცა დიდი მოთამაშე ხარ.



საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, ევროპისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი
ოთარ ქორქია
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, ევროპისა და სსრ კავშირის სამ-სამგზის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი, სეოკ-ის ორდენოსანი
ოთარ ქორქია
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური

## საქართველო 20:13 რუმინეთი

12 მარტი. თბილისი. ეროვნული სტადიონი

# ბედნიერი 13

## საქართველომ რუმინეთს ანთიმოზ ივერიელი წაართვა



თედო ზიბზიბაძემ მეტოქე შებოჭა, ბურთი აართვა და გამარჯვების ლელო გაიტანა

| საქართველო | | რუმინეთი |
|---|---|---|
| ოთარ ბარკალაია | 15 | დანუც დუმბრავა |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 14 | კრისტიან სუანი |
| თედო ზიბზიბაძე | 13 | ვალენტინ მაფტეი |
| ირაკლი გიორგაძე | 12 | რომეო გონტინიაკი |
| ირაკლი მაჩხანელი | 11 | იოან თეოდორესკუ |
| პალიკო ჯიმშელაძე | 10 | იონუც ტოფანი |
| ირაკლი აბუსერიძე | 9 | ლუჩიან სირბუ |
| ბესიკ უდესიანი | 8 | ფლორინ კოროდიანუ |
| ზვიად მაისურაძე | 7 | მარიან ტუდორი |
| გია ლაბაძე | 6 | კოსტიკე მერსონი |
| მამუკა გორგოძე | 5 | კრისტიან პეტრე |
| ილია ზედგინიძე (კაპ) | 4 | სორინ სოკოლი (კაპ) |
| დავით ზერაქაშვილი | 3 | მარჩელ სოკაჩიუ |
| აქსენტი გიორგაძე | 2 | მარიუს ტინკუ |
| მამუკა მაგრაქველიძე | 1 | პეტრუ ბალანი |

### შეცვლაზე შევიდნენ

მიხეილ სუჯაშვილი, ვეთანდილ კოპალიანი, ლევან დათუნაშვილი, რატი ურუშაძე, ლაშა ფირფილაშვილი

მსაჯი: ჯულიო დესანტისი (იტალია)

| საქართველო | რუმინეთი |
|---|---|
| *2 ლელო: ლაბაძე, ზიბზიბაძე* | *1 ლელო: სოკოლი* |
| *2 გარდასახვა: ჯიმშელაძე; 2 საჯარიმო: ჯიმშელაძე* | *1 გარდასახვა: ტოფანი; 2 საჯარიმო: ტოფანი* |

**მატჩის** დამთავრებას აღარაფერი უკლდა, რუმინელებმა მარცხნიდან მარჯვნივ შეტევა რომ გაშალეს. ბურთის ჩათამაშება ჩვენზე უკეთ ეხერხებათ და რამდენჯერაც სცადეს, სულ პრობლემები შეგვიქმნეს. სადაცაა, მსაჯი თამაშს დაამთავრებს, ანგარიშია 13:13 და რუმინეთი ჩვენს ნახევარზეა გამოსული. წესის ერთი, პატარა დარღვევა და ტოფანი საჯარიმოს დაგვირტყამს...

...მაგრამ, ერთი წუთით... სადაა ბურთი?

სანამ რუმინელები მას ერთმანეთის ფეხებქვეშ ეძებდნენ, თედო ზიბზიბაძეს კარგა 30 მეტრი ჰქონდა გარბენილი. ვისაც შეეძლო, გამოეკიდა, სხვებმა თავში ხელები წაიშინეს...

და ლელო!

წამიერად მოხდა ყველაფერი, ხეირიანად ვერც დავინახეთ. მგონი, ვერც მორაგბეები გაერკვნენ, რუმინელებიც და ქართველებიც. მოედანზე მყოფი 30 მოთამაშიდან იმ წამს მხოლოდ თედომ იცოდა, რასაც აკეთებდა, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა და ჩვენ მის 13-ნომრიან ზურგს ვხედავდით...

პალიკო ჯიმშელაძემ მეორე ქართული ლელოც გარდასახა და 20:13.

სასოწარკვეთით, ლამის მუშტებით შემოგვიტიეს რუმინელებმა. მსაჯმაც აცადა და ზედახორაში ბურთი რომ დაკარგეს, თამაშის დამთავრება ბრძანა. ამდენი მარცხი, იმედგაცრუება და უცებ ასეთი თამაში, ასეთი გამარჯვება!

რა ჯახი იყო, რა თავდადება! კარგა ხანია, ასეთი შემართული ბორჯღალოსნები არ გვინახავს. პორტუგალიასთან ლამის სულელურად წაგებული მატჩი ხომ გახსოვთ? არა, რუმინელებს სულ სხვა ქართველები ეომებოდნენ. იგივე სახელები და გვარები, მაგრამ ეს სულ სხვა გუნდი იყო, ახალი გუნდი, ქართული „საროს“ ახალ და კოხტა ფორმაში.

ვიომებთო, თამაშამდე თქვა კაპიტანმა ილო ზედგინიძემ და 80 წუთი იომა. იომა ნაკრებში დაბრუნებულმა ვეტერანმა გია ლაბაძემაც, თედომაც, სამივე ირაკლიმ და საერთოდ ყველამ. თავი რომ არ მოვიტყუოთ, რუმინეთი საქართველოზე ძლიერია, ოდნავ მაინც. „მუხის ფოთლები“ არც შერკინებაში არიან ჯაბანნი და ბურთის ხელდახელ თამაშში ხომ ჩვენზე შორს წასვლა შეუძლიათ. რამდენჯერმე, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, მწვავედ შემოგვიტიეს, დაცვის ხაზიც გაჭრეს, მაგრამ ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ პირველად დამარცხდნენ ქართველებთან და ანთიმოზ ივერიელის თასიც უხალისოდ დაგვითმეს. ამასთან, ეს მათი პირველი მარცხი იყო თბილისში. აქამდე ბორჯღალოსანთა შეცდომების ხარჯზე იგებდნენ, ახლა კი პირიქით მოხდა, ქართველებმა ისარგებლეს მათი შეცდომებით.

რუმინელთა შეცდომას მოჰყვა პირველი ქართული ლელოც. პირველ ტაიმში პალიკო ჯიმშელაძემ და იონუც ტოფანმა წყვილი საჯარიმოები გაცვალეს. ჯაჯგურის და ჩახურული თამაშის შემდეგ სტუმრები მეორეში მოვიდნენ თამაშის იშტაზე. იმავ ტოფანმა დაახლოებით 52-ე წუთზე ჩვენი ხაზი გაჭრა და თითქმის ლელომდე ირბინა, მაგრამ ირაკლი მაჩხანელმა გვიხსნა. რაქიდან გამოტანილი ბურთი ტოფანმა მოიხელთა და არეკნის დარტყმა დაგვიპირა, მაგრამ ახმახმა ლაბაძემ ლაზათიანად დაუფარა, თავადვე მოიხელთა ბურთი, 60 მეტრი ირბინა და შეხვედრის პირველი ლელო გაიტანა. ჯიმშელაძემ გარდასახა და 13:6.

რუმინელები არ დაბნეულან, ლუჩიან სირბუმ მასპინძელთა დაცვა გაარღვია და მართალია, მცველებმა შებოჭეს, მაგრამ საქმეში რუმინული მძიმე არტილერია ჩაერთო და შერკინებამ ჯგუფური ლელო დაგვიდო. ტოფანმა გარდასახა. ანგარიშიც 13:13 გათანაბრდა.

მეტოქეებმა არც ამის შემდეგ მოგვაწყინეს. თითქოს ორივე მხარე ფრეზეც ყაბულს ჩანდა, თუმც რუმინელები უფრო მწვავედ იჩხვლიტებოდნენ. ბოლო წუთებზე ტოფანმა ცენტრიდან გარისკა საჯარიმოს დარტყმა, თუმც კარს ვერ უწია და აბუსერიძემ კიდეზე, ცენტრთანვე მოიგერია ბურთი.

სტუმართა კიდევ ერთი შეტევა, კიდევ ერთი შეცდომა და მეორე ქართული ლელო, რომელიც პირადად ზიბზიბაძის დამსახურებაა.

თანაბარი თამაში იყო, რომელიც საქართველომ დამსახურებულად მოიგო.

მადლობა, ბორჯღალის ბიჭებო, თავდადებისთვის და ამ სიხარულისთვის.

**ირაკლი ფირაშვილი**

12 მარტი. პრაღა

**ჩეხეთი 42:5 უკრაინა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 4 | 3 | 0 | 1 | 126:46 | 6 |
| პორტუგალია | 3 | 3 | 0 | 0 | 73:33 | 6 |
| რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 84:44 | 4 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 69:62 | 2 |
| უკრაინა | 3 | 0 | 0 | 3 | 11:143 | 0 |
| რუსეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 25:50 | 0 |

**19 მარტი**

ჩეხეთი — რუსეთი
უკრაინა — რუმინეთი

**4 ივნისი**

რუსეთი — პორტუგალია

**11 ივნისი**

რუსეთი — უკრაინა
საქართველო — ჩეხეთი
რუმინეთი — პორტუგალია



ჩვენს მორაგბეებს ანთიმოზ ივერიელის თასი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემაც მიულოცა

გიო ახვლედიანის




## შაბათის ამბავი

მიხარია, მაგრამ რა მიხარია! გვიხარია, მაგრამ რა გვიხარია! აი, ასეთი ვითარებაა.

ძველად რომ იტყოდნენ, მიხარიან, არ კი მჯერაო, ზუსტად ისეა საქმეა.

ეს როგორ გამოდნა და როგორ გამოვიდა. როგორ გამოაძრო თედო ზიბზიბაძემ ბურთი იმ ჯაჯგურიდან, როგორ გადაირბინა და როგორ მოვუგეთ რუმინელებს.

უკვე მეორედ მოვუგეთ, სახლში კიდევ პირველად. მართალია, სამი ამდენი წაგებული გვაქვს ამ მუხის ფოთლების ხალხთან, მაგრამ ახლა ამის თვლის დრო არ არის.

სამსოფლიოთასოდ საქმე გვარიანად გამოვიკეთეთ.

რუმინეთი დამარცხებულია!

მაშ, იღბალს ხომ არ მივუტოვებივართ და საქმეც ჩამქრალი არ არის.

როგორღაც ჩუმად მოდიოდა ეს თამაში, ხმაური ნაკლები იყო. იყო რეკლამა, ჰემფრი ბოგარტის დროების სტილში, ახალი სამოსიც იყო, მაგრამ ხმაური არ იყო და საერთოდაც, პორტუგალიაში მარცხის შემდეგ ხალისიც როგორღაც ნაკლებად შეიმჩნეოდა.

საქმე იცით რა არის? განწყობა. რომ გაუგებ გემოს მსოფლიოს თასზე შენი გუნდის ცქერას, მერე იმაზე ხარ მიმართული. მე ასე დამემართა და სხვისი კი არ ვიცი. ამ ჩვენს სარაგბო ამბავში ყველაფერს მსოფლიოს თასს ვუკავშირებ. რა ვქნა, იმის გემო ახლაც მახსოვს.

მაგრამ პირველი სასიხარულო ამბავი ის იყო, რომ ხალხი სტადიონზე ბლომად მოვიდა. საერთოდ, ეს ნიშნავს, რომ სანაკრებო რაგბი ჩვენს გულებშია. ეს გულებში შესვლა გუშინ არ დაწყებულა და სასიხარულო ისიც იყო, რომ ყმაწვილობის უმეტესი ნაწილი და თვით გოგომჯკებიც წესებში გარკვეულნი აღმოჩნდნენ, ვთქვათ, ხუთი წლის წინანდელი დაბნეულობა და ამით შობილი აგრესია აღარ იყო.

ეგებ ეს არ არის სალაპარაკო ამ გემრიელი გამარჯვების შემდეგ, მაგრამ ესეც ამბავია. უკვე სულ სხვანაირი.

გამარჯვება კიდევ დილებული იყო, რადგან, რაც ბოლოსკენ მიდიოდა თამაში იმათ ნახევარზე სულ ვერ მივდიოდით და ისაც კი გავიფიქრე, ეს რუმინელები მგონი ფრეს სჯერდებიან-მეთქი. ჩვენ კი მოგება გვინდოდა. და მოვიდა ეს მოგება. როგორ მოვიდა, ერთ წამში. როგორ გამოაძრო ბურთი იქიდან და როგორ სწორად მოტრიალდა. წინ კიდევ ცარიელი გზა...

ძალიან მაგარი იყო.

არ იყო მხოლოდ იღბალი. ასე მგონია. ძალიან დიდი ფასის მოგება იყო იმისთვის, რომ იღბალი ყოფილიყო. ამდენ ოფლსა და ჭიდაობაში დიდი მოგება გამოდნა.

წინ, მსოფლიოს თასისკენ!

# ნამატჩევს

*საქართველოსა და რუმინეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის შემდეგ გაიმართა ტრადიციული პრეს-კონფერენცია*

**რობერტ ანტონინი (რუმინეთის ნაკრების ტექნიკური დირექტორი):** მოწინააღმდეგეს გამარჯვებას ვულოცავ და ღირსეული თამაშისთვის მადლობას ვუხდი. მიუხედავად იმისა, რომ დამსახურებულად იმარჯვეთ, ვთვლი, რომ იღბალიც თქვენს მხარეს იყო. ჩემი აზრით, ლოგიკური შედეგი 13:13 იქნებოდა, თუმცა ბედმა სხვაგვარად ინება. ორიოდე სიტყვა იტალიელ მსაჯზეც მინდა ვთქვა. ვიმედოვნებ, მომავალში მას ველარასოდეს ვიხილავთ, რადგანაც ძალიან ცუდად იმსაჯა და რამდენჯერმე ჩვენი შეტევა დასკვნით ფაზაში შეაჩერა. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ლელო ჩვენთვის მსაჯს არ დაუდია, ქართველებმა დაგვიდეს და სამართლიანადაც გაიმარჯვეს.

**სორინ სოკოლი (რუმინეთის ნაკრების კაპიტანი):** მსაჯობაზე ლაპარაკი დაუსრულებლად შეიძლება და ასეთი რამ ყველა მატჩს თან ახლავს. მთავარი, რისი აღნიშვნაც მინდა, ის არის, რომ დღეს საქართველოს ნაკრები იყო ძალიან ძლიერი. დაცვაში თავგანწირვით და ჭკვიანურად ითამაშეთ, რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო.

**დავით ჩავლეიშვილი (საქართველოს ნაკრების მწვრთნელი):** პირველ ტაიმში თანაბარი ბრძოლა იყო, თუმცა მატჩის მეორე ნახევარში რუმინელებმა თამაშის გახსნა და ბურთის უკეთ გათამაშება მოახერხეს, რის გამოც მთელი ტაიმის განმავლობაში დაცვაში ყოფნამ მოგვიწვია და იძულებული გავხდით, კონტრშეტევებზე აგვეგო თამაში. თანახმა ვარ, ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა, თუმცა ერთხელ ჩვენც ხომ უნდა გაგვიმართლოს. რამდენჯერ ყოფილა, რომ სწორედ უიღბლობის გამო წაგვიგია იგივე რუმინეთის ნაკრებთან. ადრე თუ მათ უმართლებდათ, ახლა ყისმათი ჩვენს მხარეს იყო და ამაში გასაკვირი არაფერია. მსაჯობასთან დაკავშირებით კი სრულიად საწინააღმდეგო აზრი მაქვს. იტალიელმა ნორმალურად იმსაჯა და თუ ცდებოდა, ეს ორივე მხარეს თანაბრად აზარალებდა. ტენდენციურობა არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, მის გადაწყვეტილებებს მატჩის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია.

**ილია ზედგინიძე (საქართველოს ნაკრების კაპიტანი):** მინდა, მთელ გუნდს მადლობა მოვუხადო თავდადებისთვის. დღეს ყველანი ერთ მუშტად ვიყავით შეკრულნი და ნამდვილად გუნდურ წარმატებას მივაღწიეთ. თავი არავინ დაზოგა და ბოლო წუთებამდე ვიბრძოლეთ. კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ყველას ამისთვის.

**ლადო ფულუკიძე**



გადიკო კოთიაშვილის ფოტო

ირაკლი გიორგაძემ ფლორიან კოროდიანუსთან ჯახში მუხლი დაიშავა, კოროდიანუს კი ტვინი შეერყა

# კოროდიანუ გადარჩა

**რუმინელთა** ძლევით გამოწვეული გუშინწინდელი სიხარული ერთმა უსიამოვნო გარემოებამ კინაღამ ჩაგვიშხამა. თამაშის დასრულებიდან რამდენიმე წუთში რუმინელთა 8 ნომერი, ფლორინ კოროდიანუ შეუძლოდ შეიქნა და გონება დაკარგა, რის გამოც სასწრაფოდ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მთელი თამაშის განმავლობაში შეუპოვრობითა და ყიჩიანი ბურთაობით გამორჩეულ კოროდიანუს ერთ-ერთ ეპიზოდში ირაკლი გიორგაძის მუხლი ჯახუში მოხვდა. შეჯახება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მუხლმტკივანი გიორგაძე შესაცვლელი შეიქნა, რუმინელმა თამაში გააგრძელა და ბოლო წუთამდე მოედანზე გახლდათ, გასახდელში გასულს კი წნევა დაუვარდა...

გუშინ ამბის გასაგებად რესპუბლიკურ საავადმყოფოში მისულთ მორიგე ექთანმა სულ მთლად გაგვიხეთქა გული. პალატის ნომერი რომ ვიკითხეთ, გვიპასუხა, ეგ ბიჭი აღარ არისო.

საბედნიეროდ, თურმე იმას გულისხმობდა, გაწერეს და სასტუმროში წავიდაო. საავადმყოფოს ექიმის, ზაზა კიწურაშვილის განმარტებით, კოროდიანუს ქალა-ტვინის დახურული ტრავმა და თავის ტვინის შერყევა მიუღია, თუმცა ტრავმაზე მეტად წაგებით ყოფილა გამწარებული.

ასე რომ, სერიოზული არაფერია და რუმინელი სამშობლოში ხვალ გაემგზავრება.

**ლადო ფულუკიძე**

## ექვსი ერი 2005

# პირია მონასტერი

**შაბათ-კვირას** 6 ერის ტურნირმა მეოთხე ტური მიითვალა და ერთი ისეთი მატჩიც გამოცხვა, საქმაოდ რომ არია მონასტერი. აქამდე დაუმარცხებელი ირლანდიელები შაბათს დუბლინში ფრანგებს იღებდნენ და გამარჯვების შემთხვევაში, ტურნირის დასრულებამდე 1 ტურით ადრე ქულათა მაქსიმუმს აგროვებდნენ. ასევე დაუმარცხებელი უელსელები კვირას ედინბურგში მეზობელ შოტლანდიელებს მიუხდებოდნენ და გამარჯვებაც არ უნდა გასჭირვებოდათ. შესაბამისად ირლანდიასაც და უელსსაც 4-4 გამარჯვება მოუგროვდებოდათ და ყველაფერი მეხუთე ტურში, კარდიფში გადაწყდებოდა, სადაც „დრაკონები" ირლანდიელებს უმასპინძლებდნენ. ასეთი იყო მეოთხე ტურის პრელუდია.

შაბათის მატჩი ინგლისსა და იტალიას შორის ყველაზე ნაკლებ საინტერესო გახლდათ. ინგლისელებს 3 წაგების შემდეგ ტიტულის მოგების შანსი აღარ შერჩათ, იტალიელებს კი ეს შანსი არც ტურნირის დაწყებამდე ჰქონიათ.

თვიქენემში ინგლისმა 39:7 დაამარცხა იტალიელები. 3 ლელო მარკ კუეტომ გაიტანა, თითოჯერ კი ტომპსონმა, ბალშოუმ და ჰაზელმა გაილელოვეს. ორი გარდასახვა და ერთიც საჯარიმო დარტყმა ჰოჯსონის ანგარიშზეა. ერთი გარდასახვა გუდიმაც გაიტანა.

იტალიელთაგან ლელო ტრონკონმა დადო, პეენსმა კი რეალიზაცია მოახერხა.

შარშანდელმა ჩემპიონმა საფრანგეთის ნაკრებმა დუბლინში ირლანდიას სძლია და სატურნირო ცხრილიც ჩახლართა. ირლანდიასა და საფრანგეთს ახლა თითო წაგება და 3 მოგება აქვთ. თუ ბოლო ტურში ირლანდიელებმა უელსის დამარცხება შეძლეს, ამ სამ გუნდს ერთნაირი ქულები მოუგროვდება.

საფრანგეთმა მასპინძლები 26:19 დაამარცხა. ეს დომინისის 2 და ბაბის 1 ლელოს წყალობაა, რომელთაც იაშვილმა გარდასახვა და 2 საჯარიმო მიამატა. 3 ქულა დელაჟიმაც მოუტანა თავის გუნდს არეკნის წყალობით. ირლანდიელთაგან ოდრისკოლმა და ოგარამ იყოჩაღეს. პირველმა ლელო გაიტანა, მეორემ კი გარდასახვა და 4 საჯარიმო.

კვირის მატჩი შოტლანდიელებსა და უელსელ „დრაკონებს" შორის მოულოდნელობის გარეშე დასრულდა. სტუმრებმა მასპინძლებს 46:22 სძლიეს. უელსმა 6 ლელოს გატანა შეძლო. ორ-ორი რის უილიამსის და კევინ მორგანის ანგარიშზეა, თითოც შეინ უილიამსის და რაიან ჯონსის. 5 გარდასახვა და 2 ზუსტი საჯარიმო სტივენ ჯონსმა შეასრულა. შოტლანდიელთაგან ლელოები ლამონმა, კრეიგმა და პატერსონმა გაიტანეს. ამ უკანასკნელმა 2 გარდასახვა და 1 ზუსტი საჯარიმოც მიითვალა.

**ლადო ფულუკიძე**

## ზე-თორმეტი

| | 11 მარტი |
|---|---|
| დუნედინი | ჰაილენდერსი 23:0 ბულზი |
| კანბერა | ბრამბისი 22:19 სტორმერსი |
| დურბანი | შარქსი 23:29 ჰურიკეინსი |
| | 12 მარტი |
| ნელსონი | ქრუზეიდერსი 59:29 რედსი |
| ჰამილტონი | ჩიფსი 18:9 ბლუზი |
| იოჰანესბურგი | ქეთსი 19:40 ვარატასი |

| | თ | ქ |
|---|---|---|
| ვარატასი | 3 | 15 |
| ჰურიკეინსი | 3 | 13 |
| ბრამბისი | 3 | 13 |
| ქრუზეიდერსი | 3 | 10 |
| ბლუზი | 3 | 8 |
| სტორმერსი | 3 | 7 |
| ჰაილენდერსი | 3 | 6 |
| ქეთსი | 3 | 5 |
| ჩიფსი | 3 | 4 |
| ბულზი | 3 | 2 |
| რედსი | 3 | 2 |
| შარქსი | 3 | 1 |

## ძიუდო

# პარიზი — მოსკოვი

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელმა კომისიამ, რომელიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ კანდიდატი ქალაქების შესაძლებლობებს სწავლობს, პარიზში შაბათს დაასრულა თავისი ვიზიტი.

როგორც მოსალოდნელი იყო, კომისიის წევრები პარიზის შეფასებისას სიტყვაძუნწნი იყვნენ და თავიანთ დასკვნებს მოგვიანებით წერილობით დადებენ. თუმცა, კომისიის ხელმძღვანელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ელ მუტავაკელმა ბოლოს მაინც აღნიშნა, რომ პარიზში კარგი ინფრასტრუქტურაა და ამ ეტაპზე მეტის თქმა არ შეგვიძლიაო. კომისიის წევრებმა მუშაობისას მასპინძლებს 200-ზე მეტი კითხვა დაუსვეს და ყველაზე ამომწურავი პასუხი მიიღეს. მუტავაკელმა მასპინძლები იმითაც დაამშვიდა, რომ 10 მარტს სოციალური მოთხოვნებით პროფკავშირული მსვლელობისას და ტრანსპორტის მუშაკთა გაფიცვას ჩვენს კომისიაზე გავლენა არ მოუხდენიაო.

პრესკონფერენციის დასასრულს ელ მუტავაკელმა თქვა, მოსკოვში შეხვედრამდეო და კომისიამ პარიზიდან მართლაც გუდა-ნაბადი აიკრა, გუშინ კი ბოლო კანდიდატ მოსკოვს ეწვია.

მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი მაღალ შეფასებას აძლევს რუსეთის დედაქალაქის შანსებს. ამბობს, რომ ჩვენი მთავარი კოზირი ისაა, რომ ოლიმპიურ თამაშებს მთლიანად ქალაქის ტერიტორიაზე ჩავატარებთ და სხვაგან არცერთი შეჯიბრება არ გაიმართება, როგორც ეს სხვა ოლიმპიურ დედაქალაქებში ხდებაო.

„ჩვენ გვჭირდება მხოლოდ რამდენიმე ბაზის მოდერნიზება და მოსკოვის სრული დაკომპლექტებისთვის მხოლოდ ხუთიოდე სტადიონისა და ოლიმპიური სოფლის აშენება მოგვიწევს" — თქვა იური ლუჟკოვმა.

ლუჟკოვი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ მოსკოვს უკვე აქვს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის გამოცდილება (1980 წ.).

„ეს გამოცდილება განვაახლეთ 1998 წელს მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშებით, აგრეთვე სპორტული შეჯიბრებით, რომლის სახელწოდებაც იყო „მოსკოვი — იუტა" — ასე იმშვიდებს თავს იური ლუჟკოვი, მაგრამ თუ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის გამოცდილებაზე იქნება საუბარი, მაშინ გამოდის, რომ ამ მხრივ მოსკოვი პარიზსაც ჩამორჩება და ლონდონსაც.

ასეა თუ ისე, ყველაფერი 6 ივლისს გაირკვევა სინგაპურში, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია თავის ვერდიქტს საბოლოოდ გამოიტანს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## ოლიმპიზმი

# ქართველებს ჩეხური ოქრო-ვერცხლი ჩამოუსხეს

**ამ უქმეებზე** პრაღაში „მსოფლიოს თასის" სახელმინიჭებული მორიგი საერთაშორისო ტურნირი ქართველ ძიუდოისტთათვის საკმაოდ იღბლიანად წარიმართა. შოთა ხაბარელის თერთმეტი რჩეულიდან შვიდმა მედლამდე მიაღწია, ერთს — გრიგოლ მამრიკიშვილს კი ზედ შეჯიბრის წინ აწეულმა ტემპერატურამ ჭიდაობა საერთოდ არ დააცალა.

პირველი ოქრო ქართულ ყულაბაში ვახტანგ ხოსიტაშვილმა (60 კგ) ჩააჩხრიალა. ორ წონაში კი სულაც ქართული ფინალი შედგა. 100 კილოგრამში ივერი ჯიქურაულმა გია გუგავას აჯობა, ხოლო მძიმე წონაში ალექსი დავითაშვილმა — ლაშა გუჯეჯიანს.

ნახევარფინალამდე მივიდნენ ერთი წონით მაღლა, 73-ში მოჭიდავე დავით მარგოშვილი და ირაკლი ცირეკიძე (90კგ), თუმც იქ ველარას გახდნენ და ბრინჯაოს დასჯერდნენ. ადრეულ ეტაპზე დამარცხებულებს — ზაზა კედელაშვილს (66კგ), დავით კუპრაშვილსა (73კგ) და მინდია ბოდაველს (90კგ) კი მესამე ადგილისთვის ბრძოლა ერთი უბრალო მიზეზის გამო არ გაუგრძელებიათ. პრაღაში რატომღაც დამამშვიდებელ ეტაპს ზურგი აქციეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# პარიზი მასპინძლობდა

პარიზს 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა სწადია და პირველი სერიოზული კომისიაც მიიღო. სოკ-ის დელეგაციას განთქმული ქალბატონი ნავალ ელ მუტავაქელი ხელმძღვანელობდა და ის თავად პრეზიდენტმა შირაკმა მიიღო.



REUTERS პარიზიდან



REUTERS ბირმინგემიდან

# არის ფინალი

ყვირილი ბადმინტონმაც იცის. დანიელი კამილა რიტერ იული იმას ზეიმობს, რომ მან და მისმა შერეულმა მეწყვილემ ტომას ლეიბორნმა ფინალში გააღწიეს. ინგლისის ღია პირველობა კი ბირმინგემში მიმდინარეობს.

# მსტაფეტის მსროლელი

ავსტრიულ ჰოხფილცენში გრძელდება ბიატლონის მსოფლიო ჩემპიონატი. ამ რუსმა, სერგეი ჩეპიკოვმა კარგად ისროლა და კარგადაც ისრიალა. ჯამურ-გუნდურად კი რუსეთი მეორე ადგილზე გავიდა 4X7,5 კილომეტრ ესტაფეტაში. ჩემპიონები ნორვეგიელები გახდნენ.




REUTERS ჰოხფილცენიდან

# ვინუსი დაფაზე

რა თქმა უნდა, ვინუს უილიამსი ჩოგბურთში უფრო მაგარია, ვიდრე სერფაობაში. სატალღე დაფაზე წოლა როგორღაც სასაცილოც კი გამოსდის. თუმც, პიკანტურიც. ხალისია, მოკლედ.






REUTERS სეულიდან

# სეულის მომგები

აი, ვინ მოიგო სეულის განთქმული მარათონი. მიხვდებით, რომ ეს ხმელი ჯეილი კენიელი უნდა იყოს. სახელად კი უილიამ კიპსანგი ჰქვია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ვუზელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge